საქართველო

მეთოდიკური საუკუნეში.

დ. კარიჭაშვილის ძმისა.

სურათებით.

ტფილისი.
ელექტრ. სტამბა, წ. ვ. ქორთ. ამხ. * Электропеч. грузинск. издательск. т-ва
1902.

საქართველო

მეთოკრამეტე საუკუნეში.

დ. კარიჭაშვილის მიერ.

29028

სურათებით.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
აკად. ი. გრიშაშვილის
სახელობის
ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Гришашвили
Академия наук ГССР

ტფილისი.
ელექტრ. სტამბა ქართ. წ. გ. ამხ. * Электронеч. грузинск. издательск. т-ва.
1902.

Дозволено цензурою. 16 октября 1902 года. Гор. Тифлисъ.

საქართველო მეთოერმეტე საუკუნეში.

შ ე ს ა ვ ა ლ ი.

I.

საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა.—მისი საზღვრები.—ქართველები და მათი მეზობლები.

მეთორმეტე საუკუნეში საქართველომ მიაწია უმაღლესს წერტილს თავის ძლიერებისას და დაიკავა იმოდენა არე-მარე, რაოდენიც არა სჭერია სხვა დროს. მთელი ეს ხანი წარმოადგენს დიდებულს ძლევა-მოსილს ბრძოლას მოსაზღვრე მუსულმანს სახელმწიფოებთან. ქართველები არამც თუ იცავდენ თავის თავს მტერთაგან, პირ-იქით თითონვე ესხმოდენ თავს მტრებსა, ძლევა-მოსილნი შედიოდენ მათ ქვეყნებში და იპყრობდენ იმისთანა ადგილებს, რომელნიც მტერთა სამკვიდრო საკუთრებას შეადგენდენ.

ამ საუკუნის საქართველოს სამეფოს წრეში შედიოდა მთელი ქართველთა სამკვიდრო ტერიტორია, ე. ი. ბასეინები მტკვრისა მის მარჯვენა და მარცხენა ჩასართავებით ეკლეცამდე და ალაზნამდე, ჭოროხისა, რიონისა და ენგურისა. ქართველთა სამკვიდრებელის მიწა-წყლის გარეშე საქართველოს

ეკუთნოდა კიდევ აფხაზეთი და სასომხეთის ჩრდილოეთი ნაწილი ქალაქ ანითურთ. ამას გარდა საქართველოს მეფისგან დამოკიდებულნი იყვენ ჩრდილოეთით ოსეთი და აღმოსავლეთით შირვანი (მტკვრის მარცხნივ) და რანი (მტკვრის მარჯვნივ). ასე რომ პოლიტიკური გავლენა და უფლება საქართველოსი ამ საუკუნეში განისაზღვრებოდა—აღმოსავლეთით თეთრის (კასპის) ზღვით, ჩრდილოეთით კავკასიის მთაგრეხილით, დასავლეთით შავის ზღვით და სამხრეთით არაქსით (არეზით) და მტკვრისა და ჭოროხის სათავეებით.

ამნაირად მეთორმეტე საუკუნის საქართველოში თავმოყრილნი იყვენ ყველა ქართველთა ტომნი, ერთის ენით მოსაუბრენი, ერთის სარწმუნოებით შეკავშირებულნი და ერთის ინტერესით გამსჭვალულნი. ქართველებთან ერთად იყვენ აგრეთვე აფხაზები, რომელნიც, იმის მიუხედავად რომ ჩამომავლობა და ენა ერთი არა ჰქონდათ ქართველებთან, დიდის ხნის ისტორიულად ერთად ცხოვრებამ მჭიდროდ დაუკავშირა ქართველობას. დანარჩენი უცხო ელემენტები—ოსები, სომხები და მუსულმანები, თუმცა კი პოლიტიკურად დაკავშირებულნი, სამწუხაროდ, არ იყვენ შეთვისებულნი და შეხორცებულნი ქართველობასთან. ეს მოხერხდებოდა მხოლოდ დიდის ხნით მჭიდრო ცხოვრებით და ერთნაირის კულტურის გავრცელებით. სომხები და შირ-

ვანის და რანის მუსულმანობა ახლად ამ საუკუნეში იყვენ დაკავშირებულნი პოლიტიკურად საქართველოსთან და, მაშასადამე, ისტორიულს ხნოვანობას ვერ შეეძლო მათი ქართველებთან შეთვისება; ამას გარდა, ისინი ენით და სარწმუნოებით ძრიელ განსხვავებულნი იყვენ ქართველთაგან, რაიცა აგრეთვე ხელს უშლიდა ქართველებთან შეთვისებას. რაიცა შეეხება ოსებს, თუმცა ისინი უფრო ადვილი შესათვისებელნი იყვენ, რადგან მათი პოლიტიკური კავშირი საქართველოსთან ახალი არ იყო, მაგრამ მათი გეოგრაფიული მდებარეობა და ველური კულტურა მუდამ აფერხებდა მათ შეთვისებას ქართველებთან. ამ მიზეზებთან ერთად, თუ სახეში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ქართველები თავის დღეში არ ცდილან განგებ, მოხერხებით და მით უფრო ძალ-დატანებით რომლისამე დამორჩილებულის ერის გაქართველებას ან თავიანთ სარწმუნოებაზე მოქცევას, ადვილად გასაგები ხდება, თუ რატომ მეთორმეტე საუკუნეში არ შეეხორცენ და არ შეეთვისენ უცხო ელემენტები ქართველებს. ამ გარემოებითვე აიხსნება, რომ მთელი მეთორმეტე საუკუნის ისტორიის ტვირთის მზიდველი და ჭაპანის მწეველი იყო ქართველობა, ხოლო სხვა უცხო ელემენტები მხოლოდ სარგებლობდენ ქართველების შრომით და სისხლით.

ქართველთა მოსაზღვრე ხალხნი ამ საუკუნეში

იყვენ ბერძნები, სპარსები, თურქები, რომელთაც დააარსეს რავდენიმე წვრილი სამფლობელო სასომ-ხეთისა და ბიზანტიის ნატამალზე, და მთიელები. ბერძნების გარდა, რომელთაც თავიანთ სისუსტის გამო ამ საუკუნეში არ შეეძლოთ არც მტრობა და არც მოყვრობა ქართველებისა, და კავკასიის მთი-ელთა გარდა, რომელნიც ქართველებს მათ ძლიე-რებისა გამო მტრობას ვერ გაუბედავდენ, ყველა მოსაზღვრეები ქართველთა წინაამდეგნი იყვენ, ცდილობდენ საქართველოს დამხობას და მშვიდბი-ანობას იცავდენ მხოლოდ იძულებით.

II.

საქართველოს სოციალი წეს-წყობილება.

საქართველოს სოციალი წეს-წყობილება მეთორ-მეტე საუკუნეში წარმოგვიდგენს შემდეგს სურათს. მთელის ერის თავში იდგა და ქვეყნის პატრონი იყო მეფე, რომელიც მართავდა სამეფოს. მას მოსდევდენ დიდებულები, რომელნიც მეფის შემდეგ უწარჩინე-ბულესნი პირნი იყვენ ქვეყანაში, მეფესთან ერთად იღებდენ მონაწილეობას სამეფოს საქმეთა მართვა-ში, მასთან ერთად ზრუნავდენ ქვეყნის სიკეთისა-თვის და ასრულებდენ უმაღლესის ხელისუფლების და ერისთავების თანამდებობას. დიდებულთ მოსდევ-დენ აზნაურები, რომელნიც, მართალია, პირდაპირ

მონაწილეობას არ იღებდენ სამეფოს მართვაში, მაგრამ დიდს სამსახურს უწევდენ თავიანთ პირადის შრომით და სისხლით. ისინი შეადგენდენ ცხენოსნს ჯარს, მეცხოვნობას სწევდენ დაპყრობილს ციხე-ქალაქებში და ასრულებდენ დაბალს ხელისუფლობას.

აზნაურებს მოსდევდენ გლეხები. ესენი იყვენ მიწის შემმუშავებლები და ყოველნაირის ხარჯისა და ბეგარის გადამხდელები და თან მეომრებიც, როდესაც სამშობლო გაჭირვებაში ჩავარდებოდა, ანუ საჭირო იქნებოდა სამშობლოს დიდებისათვის გალაშქრება.

ეს სამი წოდება—დიდებულთა, აზნაურთა და გლეხთა, თუმცა მემკვიდროებითი იყო, მაინც ერთითგან მეორეში გადასვლა ხშირად ხდებოდა. გლეხი აზნაურდებოდა და აზნაური დიდებულდებოდა რაიმე ღვაწლისათვის. აგრეთვე დიდებული უბრალო აზნაურის ხარისხზე იქვეითებდა და აზნაური გლეხად იქცეოდა რაიმე დანაშაულის გამო.

ამ სამს წოდებასთან სამეფოში იყო კიდევ მეოთხე წოდება—სასულიერო, რომელიც თითქო ცალკე სამეფოს წამოადგენდა ისეთისავე იერარქიით, როგორიც იყო საერო უწყებაში. უმაღლესი მეფის მსგავსი ადგილი ეკავა კათოლიკოზს, დიდებულებისა მთავარ-ეპისკოპოზებს და ეპისკოპოზებს, მათ შემდეგ აზნაურის მსგავსი ადგილი ეჭირათ მონასტრის

წინამძღვრებს და ქორ-ეპისკოპოზებს, ხოლო სულ დაბალი ადგილი ეკავათ ხუცესებს, მღვდლებს და დიაკვნებს და აგრეთვე უბრალო ბერებს.

იყო კიდევ ერთი მცირე-რიცხვოვანი წოდება, რომელსაც დიდი მნიშვნელობა არა ჰქონდა საქართველოში. ესენი იყვენ მოქალაქეები, შემდგარნი ორის წყებისაგან: მდიდარის ვაჭრებისაგან და მეწვრილმანე-ხელოსანთაგან.

მეფე ითვლებოდა სამეფოს პატრონად და მთელი მიწა-წყალი მის საკუთრებად. ამ მიწას ამუშავებდენ გლეხები და მეფეს სამაგიეროდ უხდიდენ ხარჯს და ბეგარას. მეფისგან აზნაურებს ჰქონდათ მიცემული სასარგებლოდ და სარჩოდ მამული იმ გლეხებით, რომელნიც ამ მამულზე ცხოვრებდენ. მამულის მფლობელობასთან ერთად მეფისგან დათმობილი ჰქონდათ აზნაურებს მომეტებული ნაწილი გლეხის სამსახურისა. დიდებულებსაც აგრეთვე ჰქონდათ მიცემული მეფისგან დიდი მამული მასზედ მცხოვრების გლეხებით და აზნაურებით, რომელნიც მეფის სამსახურის მომეტებულს ნაწილს დიდებულს უწევდენ.

ამნაირად ერთის მხრით მიწის მფლობელობა, მეორე მხრით მეფის სამსახური ჰქმნიდა საქართველოს მაშინდელს სოციალს წეს-წყობილებას. მეფე იყო ბატონი, სხვები იყვენ მისი ყმები. უწარჩინებულესი მეფის ყმები იყვენ დიდებულები, რომელ-

თაც ეჭირათ მამული და დაქვემდებარებული ჰყავ-
დათ ამ მამულის მოსარგებლე გლეხები და აზნაურე-
ბი. უკანასკნელნი ან მეფეს ექვემდებარებოდენ პირ-
დაპირ, ან რომელსამე დიდებულს. ერთსაც და მე-
ორე შემთხვევაშიაც აზნაურებს ექვემდებარებოდენ
გლეხები, რომელნიც მათ მამულზედ ცხოვრებდენ.
ბოლოს იყვენ გლეხები, რომელნიც ცხოვრებდენ
ან პირდაპირ მეფის მამულზე, ან პირდაპირ დიდე-
ბულისაზე, ან აზნაურისაზე, რომელიც თავის მხრით
ან პირდაპირ მეფის ყმა იყო, ან დიდებულისა. ამი-
ტომ გლეხი იყო ოთხნაირი: 1) პირდაპირ მეფის
ყმა, 2) სამეფო აზნაურის ყმა, 3) დიდებულის ყმა
და 4) დიდებულის აზნაურის ყმა. აზნაური ორნაი-
რი იყო: 1) პირდაპირ მეფის ყმა და 2) დიდებუ-
ლის ყმა. დიდებული პირდაპირ მეფის ყმად ითვლე-
ბოდა. ხოლო ყველანი საერთოდ მეფის ყმებად ით-
ვლებოდენ.

დიდებულის ვალდებულება მეფის წინაშე მდგო-
მარეობდა იმაში, რომ მას მეფის ბძანებისამებრ
უნდა მოეკრიფა თავის საყმოში ჯარი აზნაურთა და
გლეხთაგან და გამოსულიყო სალაშქროდ. ასეთივე
ვალდებულება აწვა მეფის აზნაურს. დიდებულის
აზნაური კი დიდებულის მოთხოვნილებისამებრ უნ-
და გამოსულიყო თავის გლეხებით დიდებულის დრო-
შის ქვეშ საბრძოლელად. მეფის ყმა გლეხები ვალ-
დებულნი იყვენ, როგორც პირადის სალაშქრო სამ-

სახურით, ისე ხარჯის ძლევით და ბეგარის გადახდით. დიდებულის გლეხი მოვალე იყო დიდებულისთვის ეძლია ხარჯი, ეწია ბეგარა და გასულიყო სალაშქროდ მის მოთხოვნისამებრ. აზნაურის გლეხიც მოვალე იყო ეძლია მისთვის ხარჯი, ეწია ბეგარა და გაჰყოლოდა სალაშქროდ მას. დიდებულის გლეხები, ისე როგორც აზნაურისა, პირდაპირის ბატონის სამსახურის გარდა, მოვალენი იყვენ ზოგიერთი ხარჯი და ბეგარა ეხადათ მეფისთვისაც. ხოლო დ დებულის აზნაურის გლეხები, სამეფო სამსახურისა და ბეგრის გადახდის გარდა, სამსახურს უწევდენ აგრეთვე დიდებულსაც.

ასეთივე დამოკიდებულება არსებობდა სასულიერო უწყებაში. კათოლიკოზს და მცხეთის ეკკლესიას ჰქონდა დიდი მამულები, რომლებზედაც მოსახლეობდენ გლეხები და აზნაურები. პირველს შემთხვევაში გლეხები და აზნაურები ითვლებოდენ საკათოლიკოზო ან მცხეთის ყმებად, მეორე შემთხვევაში ისინი იწოდებოდენ სამონასტრო ყმებად. მათი დამოკიდებულება კათოლიკოზისა და მონასტრებისაგან ისეთივე იყო, როგორც დიდებულისა და აზნაურისაგან.

მეფეს შეეძლო, თუ საჭიროდ დაინახავდა, საერთო სარგებლობისათვის ან დასასჯელად, წაერთმია მამული დიდებულისთვის ან სამეფო აზნაურისთვის ზედ-მოსახლე გლეხებითურთ და მიეცა ან სხვა

დიდებულისა და აზნაურისათვის, ან ეკკლესიისათვის. თუ მეფე უდანაშაულოდ ართმევდა დიდებულს ან აზნაურს, ჩვეულებრივ სხვაფრივ აკმაყოფილებდა მას ახალის მამულის მიცემით სამაგიეროდ.

დიდებულებს და აზნაურებს შეეძლოთ თავიანთ მამულის გაყიდვა ან გაჩუქება, მაგრამ ყოველთვის მეფის თანხმობა უნდა აეღოთ.

მოქალაქეები ექვემდებარებოდენ ან პირდაპირ მეფეს ან რომელსამე გამოჩენილს დიდებულს, რომელსაც აძლევდენ ისინი ხარჯს და სალაშქრო სამსახურს უწევდენ.

III.

სამოქალაქო და სამხედრო წეს-წყობილება.

მეფედ ხდებოდა ჩვეულებრივ მეფის უფროსი ვაჟი შვილი, რომელსაც მეფე თავისსავე სიცოცხლეში აცხადებდა მეფედ ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, მემკვიდრედ. ასე მოიქცა გიორგი II დავით აღმაშენებელის შესახებ, დავით აღმაშენებელი დიმიტრის შესახებ, გიორგი III თამარის შესახებ და თამარი გიორგი ლაშას შესახებ. მხოლოდ რაიმე გარემოება უნდა ყოფილიყო, რომ მამას ტახტი გამოეწირა თავის უფროსის ვაჟისთვის და მიეცა შემდეგისთვის. ასეთი შემთხვევა მოხდა დიმიტრის მეფობაში, როდესაც დიმიტრიმ უპირატესობა მიანიჭა უმცროსს

შვილს გიორგის და ამით უფროსი შვილი დავითი ძალიან გაანაწყენა, რამაც გამოიწვია რევოლუცია, რომლის შედეგი იყო დიმიტრის გადადგომა და დავითის გამეფება. თუ საკუთარი ვაჟი ან მახლობელი ნათესავი ვაჟი არ ეყოლებოდა მეფეს, მეფობა გადადიოდა ქალიშვილზე. თავის სიცოცხლეში მეფედ გამოცხადებულს შვილს მეფე ადგამდა გვირგვინს და ასრულებდა ცერემონიას დიდებულთა თანადასწრებით. ისიც მამასთან ერთად იწოდებოდა მეფედ, მაგრამ ნამდვილად კი არ მეფობდა. მხოლოდ ხანდახან მოხდებოდა, რომ მამა სიცოცხლეშივე სტოვებდა მეფობას და შვილი ხდებოდა სრულს მეფედ, როგორც მოიქცა გიორგი II, რომელმაც 1089 წ. მეფობაზე ხელი აიღო და დავითს ჩააბარა. მაგრამ საფიქრებელია, რომ ასეთი ხელის აღება მეფობაზე უფრო ძალდატანებითი უნდა ყოფილიყო, როგორც ცხადათა ჩანს დიმიტრის მაგალითითგან.

შეფედ შვილის გამოცხადება მამისავე სიცოცხლეში უდრიდა მემკვიდრის დანიშვნას, რომელიც ახლანდელს დროშია მიღებული. ამნაირად წინდაწინვე მეფედ დანიშნული ადვილად და დაუბრკოლებლად იჭერდა მამის სიკვდილის შემდეგ ტახტსა. ამ ნამდვილს გამეფებას მეფე იხდიდა დიდის ამბით და ცერემონიით. იკრიბებოდენ დიდებულები სამეფოს ყველა კუთხითგან, თავს იყრიდა ჯარი, შემდგარი აზნაურთა და გლეხთაგან და მათ წინ ხდე-

ბოდა დაგვირგვინება და ტახტზედ ასვლა. მთავარ-ეპისკოპოსი ადგამდა მეფეს თავზე გვირგვინს, დიდებულები აცმევდენ პორფირს, ზეზს, ფესვედს და ბისონს, არტყავდენ ხმალს, აძლევდენ ხელში სკიპტრას. ამის შემდეგ მეფე ადიოდა ტახტზე და ამბობდა სიტყვას. ამ შემთხვევისა გამო იმართებოდა ნადიმი და მეფის ხაზინითგან აძლევდენ საჩუქრებს და მოწყალებას.

მეფე ხშირად იწოდებოდა შვიდის სამეფოს მეფედ და მისი სამეფო შვიდის სამეფოსაგან შემდგარად, რის გამოც მეფე იხსენიებოდა მეფეთა-მეფეთ. ეს ტიტული ნამდვილის გამომთქმელი არ იყო. ის იყო გადმოღებული არაბთაგან, რომელთა ხალიფის საბძანებელი ითვლებოდა შვიდის სამეფოსაგან შემდგარად და ხალიფის ტიტულიც იყო შვიდის სამეფოს მბძანებელი*).

მართალია, მეფე ითვლებოდა უმაღლესს გამგებლად ქვეყნისა, მაგრამ ის არ იყო ერთად-ერთი გადამწყვეტი საქმისა და განუსაზღვრელის უფლების მექონი. დიდებულთა დაუკითხავად და მოუწონებლად ნაბიჯს ვერ გადასდგამდა. რა საქმეც უნდა ყოფილიყო, თუ რამე სამეფოსათვის მნიშვნელობა ჰქონდა, დიდებულების ყრილობა უნდა გაემართა

*) Malcolm, t. I, p. 61.

და იმათთვის ეკითხა, მოესმინა მათი აზრი და შემდეგ მიეღო უმეტესობის აზრი, თუმცა ხანდახან უმცირესობის აზრსაც არჩევდა და თავის პასუხის გების ქვეშ იქცეოდა. მაგრამ ეს ძალიან იშვიათად მოხდებოდა ხოლმე. ხელისუფლებსაც კი მეფე დიდებულთა რჩევით ნიშნავდა და თვით ლაშქრობის დროსაც მეფეს, როგორც უმთავრესს ჯარის წინამძღოლს, დიდებულები ჰყავდა მრჩევლებად.

სახელმწიფო საქმეების სამართავად მეფეს ჰყავდა ხელისუფლები. ყველაზე დიდი ხელისუფალი იყო ამირ-სპასალარი, შემდეგ მსახურთუხუცესი, მას მოსდევდენ მანდატურთუხუცესი, მეჭურჭლეთუხუცესი, მწიგნობართუხუცესი, მდივანი, მეჯინიბეთუხუცესი და სხ. ამათ ებარათ მთელის სამეფოს საერთო საქმეები და მეფის მახლობელნი და მუდამ თანამხლებელნი იყვენ. სამეფო გაყოფილი იყო საერისთავოებად და ყველა საერისთავოში თვითო ერისთავი იჯდა, რომელიც მეფის მოალაგე იყო. საერისთავოები იყო: ქართლისა, კახეთისა, ერეთისა, რაჭა-თავკვერისა, სვანეთისა, გურიისა, ეგრისისა, აფხაზეთისა, სამცხისა, კლარჯეთისა. ტფილისში იყო განსაკუთრებული მოხელე ქალაქისა და მის არე-მარის მმართველად, რომელსაც ერქვა ტფილისისა და ქართლის ამირა*).

*) ეს ტიტული იყო ნაშთი არაბთა მფლობელობის დროისა, როდესაც ტფილისს მართავდა ხალიფის სახელით ამირა.

სამხედრო წესიერება საკმაოდ განვითარებული იყო მეთორმეტე საუკუნეში. ყოველი ქართველი, რა წოდებისაც უნდა ყოფილიყო, მოჯალე იყო საომრად გამოსულიყო და მეომრად გადაქცეულიყო. მეომრები შეადგენდენ სპასა ანუ ლაშქარს. ლაშქარი გაყოფილი იყო რაზმებად, რომელთაც ჰყავდათ უფროსნი—სპასპეტები. ჯარის ნაწილის უფროსი იწოდებოდა სპასალარად, ხოლო მთავარ-უფროსი მთელის საქართველოს ჯარისა ამირ-სპასალარად.

ქართველთა გარდა ჯარი სდგებოდა უცხოთაგანაც, რომელნიც მოწვეულ იქნებოდენ ხოლმე ჯამაგირით, მაგალ., ოსები, ყივჩაყები, ვარანგები, და ტყვეებად წამოყვანილთ და გაქრისტიანებულთ მუსულმანთაგან. უკანასკნელთაგან შემდგარი ჯარი იწოდებოდა მონასპად.

გალაშქრების დროს ჯარს თან მისდევდა სპასალარისა და სპასპეტის გარდა ეპისკოპოზი ჭყონდიდელი და ჯვარის-მტვირთველი. ის ჯარი, რომელიც მეფეს ეხლდა და იცავდა მას, იწოდებოდა ტაძრეულთა ჯარად. ჯარი, რომელსაც აყენებდენ ციხეებში დასაცველად, იწოდებოდა ციხოვანად. ციხის უფროსს ერქვა ციხის პატრონი. ომის დაწყების წინად ჯარს აწყობდენ ამნაირად: წინამბრძოლად აყენებდენ სამხრეთის საქართველოს მკვიდრთ, მემარჯვენედ იმიერ-საქართველოს მკვიდრთ და მემარ-

ცხენედ ამიერ-საქართველოს მკვიდრთ. ჯარი ორნაირი იყო: ცხენოსანი და ქვეითი.

იარაღი ჰქონდათ ქართველებს: ფარი, მახვილი, წათი, ხმალი, ოროლი, შვილდ-ისარი, შუბი და ლახვარი. სამხედრო ჩაცმულობა: ჯაჭვი და მუზარადი. საომარი მოწყობილობა იყო ფილაკავანი, მოსაგერებელი—სხარტი და ხანდაკი.

საომარი საკრავები იყო: სპილენძ-ჭური, ბუკი, ქოსი და წინწილა.

IV.

სამღვდელოება, საეკლესიო წეს-წყობილება, საეკკლესიო კრებანი.

საქართველოს ეკლესიის უფროსი იყო კათოლიკოსი ანუ პატრიარქი, რომელსაც ირჩევდა მეფე დიდებულების დაკითხვით მთავარ-ეპისკოპოზთაგან. თუმცა ის ემორჩილებოდა მეფეს, მაგრამ პატივი კი მეფისა ჰქონდა მინიჭებული და დიდს მონაწილეობას იღებდა სამეფოს გამგეობაში დიდებულებთან ერთად. კათოლიკოზის შემდეგ იყვენ მთავარ-ეპისკოპოსები და ეპისკოპოსები, რომელნიც მართავდენ ცალკე მაზრებს, საეპისკოპოზოებად წოდებულებს. კათოლიკოზად და ეპისკოპოზებად ჩვეულებრივ დიდებულთაგანნი ხდებოდენ. ეპისკოპოზებს მოსდევდენ ქორეპისკოპოზები და წინამძღვრები მონასტ-

რებისა. სულ ბოლოს იდგენ ხუცესნი, მღვდელნი და დიაკონნი. ბერობაში ამათ უდრიდენ მონაზონები და მეუდაბნოეები. დიდი პატივი ჰქონდათ აგრეთვე ქორეპისკოპოზებს და წინამძღვრებს, რომელნიც აგრეთვე დიდებულთა და აზნაურთაგანნი იყვენ. მაგრამ არც ხუცესნი და დიაკონნი იყვენ დაჩაგრულნი, თუმცა ისინი მომეტებულად გლეხკაცთაგანნი იყვენ. ისინი გათავისუფლებულნი იყვენ ყოველგვარის ხარჯისა და ბეგრისაგან.

29028

ეპისკოპოზებს ეძლეოდათ სახელი იმ სოფლისგან ან ქალაქისგან, სადაც იყო მათი კათედრა, მაგ. ჭყონდიდელი (ჭყონდიდში), ქუთათელი (ქუთაისში), აწყვერელი (აწყვერში), ალავერდელი (ალავერდში), ბედიელი (ბედიაში), იყალთოელი (იყალთოში), ურბნელი (ურბნისში), მროველი (რუისში).

სასულიერო სამსახურის გარდა ეპისკოპოზები საერო გამგეობაშიაც იღებდენ მონაწილეობას და ხან სამხედრო თანამდებობაც ეპყრათ. დიდებულთა რჩევაში მონაწილეობას იღებდენ და ლაშქრობაშიაც, თუ თითონ არ წინამძღვრობდენ, მეფეს თან დასდევდენ და რჩევას აძლევდენ. ხოლო ჭყონდიდელი მუდამ მეფის მახლობელი იყო და მწიგნობართ-უხუცესობას ასრულებდა.

სამძიმო საეკლესიო საქმეების გადასაწყვეტად ხშირად მეფე და კათოლიკოზი მართავდენ საეკლესიო კრებას, სადაც იღებდენ მონაწილეობას კა-

თოლიკოზი, ეპისკოპოზები, ქორეპისკოპოზები, წინამძღვრები, მონაზონები, ხუცესები და მეუდაბნოეები.

V.

გონების გავითარება. — მწერლობა. — მონასტრების ღვაწლი საქართველოში და უცხოეთში.—არაბების და სპარსების განათლების გავლენა.

პოლიტიკურს გავითარებასთან მეთორმეტე საუკუნეში საქართველო გავითარდა გონებრივადაც. ეს გავითარება მზადდებოდა და ფეხს იდგამდა ადრითგანვე, როდესაც გამრავლდა ქართველთა მონასტრები უცხოეთში, სადაც ბერები თარგმნიდენ ბერძნულითგან, სირიულითგან და სომხურითგან, როგორც საღვთო წერილის წიგნებს, ისე ყოველსავე საღვთისმეტყველო, საფილოსოფოსო და სამეცნიერო ნაწერებს.

ამგვარს მწერლობასთან ერთად ქართველები ბერძნულს ენაზედ ცნობილობდენ აგრეთვე ძველის წარმართობის დროის მწერლობას და ეცნობოდენ ბიზანტიის სამართალს, საზოგადო ცხოვრებას და ხელოვნებას—მხატვრობას, არქიტექტურას და სხვათა. ხოლო მეთორმეტე საუკუნის გაძლიერებულის სამეფოს მთავრობამ საგანგებო ყურადღება მიაქცია საბერძნეთის განათლების შეთვისებას და გადმოლე-

ბას საქართველოში. ამ აზრით დავით აღმაშენებელმა გაგზანა საბერძნეთში 40 ყმაწვილი კაცი, რომელთაც შეისწავლეს საბერძნეთის მწერლობა, მეცნიერება და გადმოიტანეს საქართველოში. დავითის კვალს, უეჭველია, მისდევდენ ამ საქმეში სხვა მეფეებიც და საბერძნეთში ყმაწვილის კაცების გზავნით ხელს უწყობდენ ბიზანტიის განათლების გადმოტანას საქართველოში.

მეთორმეტე საუკუნეშიაც, როგორც წინადაც, მოღვაწეობდენ უცხოეთში ქართველთაგან დაარსებული მონასტრები, სადაც ბერები განაგრძობდენ თავიანთ შრომას და თარგმნიდენ თუ თავად ადგენდენ და გადაწერით ავრცელებდენ სხვა-და-სხვა შინაარსის წიგნებს. ამისთანა მოღვაწეობისათვის მეფეები უხვად სწირავდენ ამ მონასტრებს და გასავითარებლადაც სწორედ იქა ჰგზანიდენ ყმაწვილს კაცებს.

უცხოეთში ამ საუკუნეში იყვენ შემდეგი ქართველთ მონასტრები: ათონისა, კონსტანტინოპოლისა (რომანასი), კვიპრისა, შავიმთისა (ანტიოქიაში), იერუსალიმისა, სინასი და სხ.

უცხო ქვეყნებში აშენებულის ქართველთა მონასტრების მსგავსად საქართველოს მონასტრებიც ირჯებოდენ და მოღვაწეობდენ, სკოლებს მართავდენ და ზრდიდენ ყმაწვილებს. თვითონ დავით აღმაშენებელმა განგებ დააარსა გელათის მონასტერი

იმ აზრით, რომ გამხდარიყო, ათონის მონასტრის მსგავსად, განათლების გამავრცელებლად საქართველოში.

საბერძნეთისა და საქრისტიანო აზიის გარდა საქართველოს გავითარებაზე დიდი გავლენა ჰქონდა, როგორც წინა საუკუნეში ისე მეთორმეტეში, მაჰმადიანს აზიასაც—არაბებსა და სპარსებს. საუკუნოებრივი კულტურული კავშირი სპარსეთთან, ცოტა ხნით შეწყვეტილი ქრისტიანობის მიღების პირველს ხანებში, არ შეიძლებოდა არ განახლებულიყო შემდეგში, თუმცა, რა თქმაა, მუდამ ეს კავშირი ქრისტიანობის კონტროლს ქვეშ იქნებოდა. მეთორმეტე საუკუნეში კი მუსულმანთა ერთა კულტურა, მათი მეცნიერება და მწერლობა ისე ძლიერი შეიქნა, რომ ქართველები, თუმცა სულით და გულით ქრისტიანები, მაინც არ ერიდებოდენ და ეწაფებოდენ მათაც. ამის მაგალითს გვაძლევს თვით გვირგვინოსანი მეფე დავით აღმაშენებელი, რომელიც არ ერიდებოდა და სწავლობდა ცნობის-მოყვარეობით მაჰმადიანთა საღვთო სჯულს—ყორანს. ეჭვს გარეშეა, რომ ქართველები ამ საუკუნეშიაც და წინადაც სწავლობდენ არაბულს და სპარსულს ენებს, ცნობილობდენ მათ მწერლობას და მეცნიერებას და ეცნობოდენ მათ ისტორიას და ცხოვრებას. ამის საბუთად ჩვენ შეგვიძლიან დავასახელოთ როგორც ორიგინალი ისე თარგმანი თხზულებანი

მეთორმეტე საუკუნისა: ვეფხის-ტყაოსანი რუსთაველისა, აბდულ-მესია შავთელისა, თამარიანი ჩახრუხაძისა, ვისრამიანი სარგის თმოგველისა, ამირან-დარეჯანიანი მოსე ხონელისა და სხვანი. პირველი სამი თხზულება, თუმცა ორიგინალი თხზულებანი არიან, მაინც წამოგვიდგენენ დიდს გავლენას არაბ-სპარსთა მწერლებისას და მეცნიერებისას, ხოლო დანარჩენნი ან თარგმნილნი არიან სპარსულითგან ან გადმოკეთებულნი და ამნაირად მომასწავებელნი სპარსეთის მწერლობის გავლენისა.

ამნაირად ქართველთა განათლება და კულტურა მეთორმეტე საუკუნეში იყო ორის ერთი-ერთმანერთის წინაამდეგის ელემენტის შეზავებულის გავლენის ქვეშ—ქრისტიანულისა და მუსულმანურისა.

VI

ეკონომიური მდგომარეობა.

თუმცა ჩვენ ბევრი არაფერი ცნობები გვაქვს ქართველის ერის ეკონომიურის მდგომარეობის შესახებ მეთორმეტე საუკუნეში, მაინც შეგვიძლიან ვიქონიოთ საზოგადო წამოდგენა მის შესახებ. წინა საუკუნის დამლევს საქართველო ძალიან დავარდნილი იყო ნივთიერად. 1080 წლითგან მოკიდებულმა თურქთა გამუდმებულმა შემოსევამ რავდენისამე წლის გამავლობაში სულ ააფორიაქა ერის სიმდიდრე და

ცეცხლს მისცა სოფლები და ქალაქები, ტყეები, ვენახები და დათესილი ჭირნახული. თურქებმა დაანგრიეს ციხეები, სიმაგრეები, მონასტრები და საყდრები და მოიტაცეს რაც კი რამ ოქრო-ვერცხლი, ძვირფასი ქვები და ჭურჭელ-იარაღი ნახეს. გაწყდა აუარებელი რიცხვი ქართველთა და, ვინც გადარჩა, დიდს სიღარიბეში ჩავარდა.

მეთორმეტე საუკუნეში-კი სრულებით სხვა სურათს წამოადგენს საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა. მთელის ამ საუკუნის გამავლობაში ქართველს ერს მტრის შიში არა ჰქონია და ამიტომ იგი არხეინად და გულმოდგინედ შრომობდა. უმთავრესი შრომა-კი მიწის შემუშავება იყო. საქართველოს მადლიანი ნიადაგი კარგს ნაყოფს აძლევდა მშრომელს და ამიტომ ქართველს სარჩოც უხვად ჰქონდა. მშვიდობიანის შრომით ნაშოვნს სარჩოს ქართველობა უმატებდა ომიანობის დროის ნაშოვნს სიმდიდრეს. ქართველთა ყოველს გამარჯვებას თან დიდის ალაფის შოვნა მოსდევდა. ხოლო, როგორც შემდეგ დავინახავთ, მთელი ეს საუკუნე ქართველთათვის ურიცხვთა გამარჯვებათა ხანა იყო. ნაშოვნი ალაფი ამდიდრებდა ყველას: მეფის ხაზინას, დიდებულთ, აზნაურთ და გლეხთა. ეკონომიურად მოლონიერებულმა და სასოება-მიცემულმა ქართველობამ ააშენა სოფლები, ქალაქები, მონასტრები და საყდრები, გაიყვანა გზები და არხები. ვინც-კი გა-

მრჯელი და მკლავ-მაგარი იყო, ყველას ჰქონდა სარჩო. ხოლო ვისაც რაიმე მიზეზით არ შეეძლო შრომა ან ომით სარჩოს შოვნა, უხვს მოწყალებას ღებულობდა მეფისა და დიდებულთაგან.

სიმდიდრის დატრიალების გამო აღებ-მიცემობაც გავითარდა. ეკონომიურად მოღონიერებამ გააძრავლა ქართველთა რიცხვი ისე, რომ მეცამეტე საუკუნის ნახევარში, მონგოლთა შემოსევის შემდეგ საქართველოში, მატიანის მოწმობით, 4.000,000 მკვიდრზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. თუ მაშინ ამდენი იყო, მეთორმეტე საუკუნის საქართველოს სამეფოში 8 ან 6 მილიონი მაინც იქნებოდა. მაგრამ სიმდიდრის გავრცელებას კარგს მხარესთან ცუდი მხარეცა ჰქონდა მაშინდელის ქართველებისთვის. წარჩინებული წოდება, ომიანობისაგან მოცლილი, მიეცა ფუფუნებას და განცხრომას, რომლის დამღუპველმა გავლენამ იჩინა თავი მეცამეტე საუკუნის დამდეგს, როდესაც საქართველოს დაესხენ მონგოლები.

დავით აღმაშენებელი

I

საქართველოს მდგომარეობა დავით აღმაშენებელის გამეფების წინ.

მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევარში სელჯუკების სულთნებმა, ჯერ თოღრულ ბეგმა, შემდეგ მისმა ძმისწულმა ალპ-არსლანმა და მას უკან უკანასკნელის შვილმა მელიქ-შაჰმა დაიმორჩილეს სპარსეთი და მთელი დასავლეთის აზიის მუსულმანობა. მუსულმანთა ქვეყნების შემდეგ თურქები შეუდგენ ქრისტიანთა ქვეყნების დამორჩილებას. სასომხეთი სრულიად დაიპყრეს. ბიზანტიას თანდათანობით აცლიდენ პროვინციებს და საქართველოსაც ხეირს არ აყრიდენ გამუდმებულის შემოსევით. ალპ-არსლანის დიდს სახელმწიფოსთან მეზობლად დაარსდა ბიზანტიის ნატამალზე საქართველოს საზღვრად სელჯუკების მეორე სამეფო, იკონიის სამეფოდ წოდებული. მძლავრმა სულთანმა არპ-არსლანმა მისცა ნება თავის ნათესავს სულეიმანს დაეარსებია საკუთარი სამეფო იმ ქვეყანათაგან, რომლებსაც ქრისტიანებს წაართმევდა. სწორედ ამ სულეიმანმა დაა-

არსა იკონიის სამეფო და ბიზანტიას წაართვა თითქმის მთელი ანატოლია ჰელესპონტამდე და შავს ზღვამდე. ამავე სულთანის ჯარებმა გაიხადეს თავიანთ სათარეშოდ საქართველო, რომელსაც პირველად შემოესიენ ისინი 1080 წ.

ამ წელს თურქებმა ამირა აჰმადის წინამძღოლობით ისე აიღეს საქარველოს ციხე ყარსი, რომ გიორგი მეფემ, რომელიც იმ დროს ჯავახეთში იყო ყველის ციხესთან, ვერ შეიტყო. ყარსის აღების შემდეგ აჰმადი ყველის ციხისკენ გაემართა და მოულოდნელად დაეცა მეფე გიორგის, რომელიც ამის გაგებაზე გაიქცა აჭარისაკენ და თურქებს დაუტოვა დიდი დავლა. მეფე აჭარითგან გადავიდა აფხაზეთს, ხოლო თურქები აივსენ დავლით და უკანვე დაბრუნდენ.

უკან დაბრუნებულს აჰმადის რაზმს გზად შეხვდა თურქების უფრო დიდი ლაშქარი, რომელიც ორის ამირას იასის და ბუჟღობის წინამძღოლობით მიდიოდა ბიზანტიის სამფლობელოსკენ სალაშქროდ. აჰმადისაგან შეიტყო ამ ორმა ამირამ, რომ საქართველო კარგი სადავლო ადგილი იყო და შეფეც შორს იყო წასული აფხაზეთში. ამის გამგონე თურქებმა სწრაფად გადმოიარეს საქართველოს საზღვრები და მოედვენ ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა კუთხეებს: ასისფორნს, კლარჯეთს, შავშეთს, აჭარას, ქართლს, არგვეთს, შუა-ჰმერეთს და ეგრისს. ეს

იყო 1080 წლის თიბათვეში. თურქებმა დაწვეს არტანუჯი, ქუთაისი და კლარჯეთის მონასტრები, სადაც-კი წინაამდეგობა შეხვდათ. რაც-კი ნახეს, ყველაფერი ააფორიაქეს და ინავარდეს სანამ თოვლი არ მოვიდა. შეშინებული მცხოვრებლები, ვინც გაჟლეტას გადურჩა, გაიხიზნენ ციხე-სიმაგრეებში, მთებში და ტყეებში და შეეფარენ კლდეებში და გამოქვაბულებში. ზამთრის დადგომისათანავე თურქები წავიდენ, მაგრამ ქართველებს მაინც ხეირი არ დაადგათ სიცივის გამო, რადგან მათი საცხოვრებელი ბინები აოხრებული იყო მტერთაგან. მტრებმა არ აკმარეს ქართველებს ერთი შემოსევა. დადგა თუ არა გაზაფხული 1081 წლისა, კიდევ შემოვიდენ და მოედვენ იმავე ადგილებს. ხალხი ხელ-ახლა გაიხიზნა. თურქებმა ამ წელს დაჰყვეს საქართველოს არე-მარეში ზამთრის დადგომამდე და ზამთრის პირს ისევ უკან წავიდენ. გახიზნულმა ქართველობამ ველარ გამობედა თავის ბინაზე დაბრუნებულიყო, რადგან მომავალის გაზაფხულისთვის კიდევ ელოდა მტრის შემოსევას. მართლაც 1082 წელსაც თურქები კიდევ შემოვიდენ საქართველოში და დარჩენ ზამთრის დამდეგამდე. აგრეთვე მოიქცენ 1083 წ. ხალხი შეწუხდა და ბევრიც გაწყდა, ქვეყანა გაოხრდა და მხეცების სადგურად გადაიქცა. გიორგი მეფემ ვერ მოახერხა თავის ლონით თურქების განდევნა და ალაგმვა. მათმა მოულოდნელმა

და გაბედულმა შემოსევამ თავზარი დასცა მეფესაც და ერსაც. დიდებულთა რჩევით მეფემ გადაწყვიტა წასულიყო სპარსეთს სულთან მელიქ-შაჰთან, გამოეცხადებინა მისთვის მორჩილება და ეთხოვნა, რომ დაეცვა მისი სამეფო იკონიის თურქთა თავ-დასხმისაგან.

1084 წ. გიორგი მეფე წავიდა ისპაანს და სთხოვა მელიქ-შაჰს მფარველობა, რის სამაგიეროდაც დაჰპირდა ერთგულებას და ხარჯის ძლევას. მელიქ-შაჰმა კარგად მიიღო გიორგი მეფე, დაჰპირდა მფარველობას და დაავალა შემწეობა აღმოეჩინა მის ჯარისათვის კახეთის მეფის აღსართანის წინაამდეგ. კახეთის დასაჭერად მელიქ-შაჰმა გამოგზანა ჯარი და მასვე გამოაყოლა გიორგი მეფეც. თურქთა ჯარი და გიორგი მეფე შევიდენ კახეთში ღვინობისთვეში და მიადგენ ვეჟანის ციხეს, სადაც გამაგრდა მეფე აღსართანი. თურქნი დიდხანს ადგენ ციხეს, მაგრამ ვერ მოახერხეს მის აღება. თოვლიც მოვიდა. გიორგი მეფეს მოსწყინდა თურქთა ბანაკში ყოფნა, თავი დაანება მათ და წამოვიდა თავის სამეფოში. თურქებმა დაიჭირეს სუჯეთი, მთელი ივრის პირი და კუხეთი.

ამავე წელს გიორგი მეფემ მეფედ გამოაცხადა თავისი შვილი დავითი და უწოდა სევასტოსი. ხოლო თითონ მიიღო ტიტული მეფეთ-მეფისა და კე-

საროსისა *). მაშინ დავითი იქნებოდა თერთმეტის წლისა და, ცხადია, ქვეყნის გამგეობაში არ შეეძლო რამე მონაწილეობის მიღება. გიორგისგან თურქთა ჯარის მიტოვება კახეთში ამ ქვეყნის დაპყრობამდე სასიამოვნოდ არ უნდა დარჩენოდა მელიქ-შაჰს და ამის გამო არც ძალიან თავს გაიცხელებდა გიორგის მფარველობისათვის. მით უფრო, რომ კახეთის მეფემ აღსართანმა უფრო საგრძნობლად დაუმტკიცა მას თავისი ერთგულება და მორჩილება. როდესაც დაინახა, რომ კახეთის დიდი ნაწილი თურქებმა დაიჭირეს, აღსართან მეფე წავიდა ისპაანს, გამოუცხადა მორჩილება მელიქ-შაჰს და ნიშნად ერთგულებისა მაჰმადიანობა მიიღო. მელიქ-შაჰმა კახეთი ისევ აღსართანს მისცა და თავის სამეფოში გამოისტუმრა დიდის წყალობით.

ამნაირად არაფერი სარგებლობა მოუტანია ქართველებისთვის გიორგი მეფისაგან სულთან მე-

*) იხ. ქრონიკები თ. ჟორდანიასი, ტ. I, გვ. 232.

რომ დავითი მეფედ გამოცხადებულ იქმნა მამისგან სწორედ 1084 წ., ამას ემოწმება ვახუშტიც, რომელიც დავითის მეფობას სთვლის 41 წელს. ეს რიცხვი რომ მივუმატოთ 1084 წ., გამოვა 1125 წ., რომელიც არის დავითის სიკვდილის წელი. ვახუშტის საითგანღაც სცოდნია მეფობის ხანა და რაკი გამეფების წლად მიუღია 1089 წ., როდესაც ის მარტოდ-მარტო შეიქნა მეფედ, ამიტომ მის სიკვდილის წლად უჩვენებია 1130 წ.

ლიქ-შაჰის ნახვას. იკონიის თურქები თავისას არ იშლიდენ და ესხმოდენ საქართველოს საზღვრებს. გაზაფხულით იწყებოდა მათი შემოსევა და შემოდგომით თავდებოდა.

თურქებთან ერთად ხეირს არ აყრიდა საქართველოს გამუსულმანებული კახეთის მეფე აღსართანიც. თურქთა მძლავრობით გალაღებულმა და მათ შემწეობით გაძლიერებულმა დაიჭირა ქართლის მომეტებული ნაწილი.

საქართველოს პოლიტიკურს გაჭირებას დაერთო სტიქიონური უბედურება. 1088 წ. მოხდა საშინელი მიწის ძვრა, რომელმაც დიდი ზიანი მისცა საქართველოს სოფლებს და ქალაქებს, სადაც დაირღვა სახლები, საყდრები, ციხის კედლები და სხვა შენობანი და ნანგრევებში მოჰყვა მრავალი ხალხი. არამც თუ მარტო კაცის ხელით აგებული შენობანი დაირღვენ, არამედ დაიგალენ მთებიც და კლდეებიც. საშინელი ის იყო, რომ მიწის ძვრა ერთხელ-კი არ მოხდა, არამედ რავდენჯერმე დროგამოშვებით და გასტანა ერთს წელიწადს, ასე რომ 1089 წელშიაც მოხდა რავდენჯერმე მიწის ძვრა.

ჯერ თურქების მძლავრობამ, შემდეგ საშინელმა მიწის ძვრამ დიდი ზედმოქმედება იქონიეს გიორგი მეფეზედ და ამიტომ მან გადასწყვიტა ქვეყნის მართვაზე ხელი აეღო და გადაეცა მეფობის ტვირთი თავის შვილის დავითისთვის, რომელიც, როგორც

ზევით იყო ნათქვამი, უკვე გამოცხადებული იყო მისგან მეფედ. 1089 წ. გიორგი მეფემ დააგვირგვინა დავითი. თითონ გიორგი-კი მხოლოდ სახელით იყო მეფედ და მარტო რჩევას თუ აძლევდა თავისს შვილს.

II.

საქართველო დავითის გამეფების წამს.—ზრუნვა მის მოშენებისათვის.—შეპყრობა და განდევნა ლიპარიტ ორბელიანისა.—პოლიტიკური ცვლილება აზიაში და მისი შედეგი.

დავით აღმაშენებელი.

როგორც ვნახეთ, საქართველო სამწუხარო მდგომარეობაში იყო 1089 წ., როდესაც გიორგი II-მ ტახტი გადასცა თავის თექვსმეტის წლის შვილს დავითს. კახეთი შეადგენდა ცალკე სამეფოს, რომელსაც ეჭირა ქართლის დიდი ნაწილიც. ტფილისი, რუსთავი, სამშვილდე, აგარანი და მთელი სომხეთი თურქების ხელთ იყო. თრიალეთი და კლდეკარნი ეჭირა ლიპარიტ ორბელიანს, რომელიც თუმცა გარეგნობით მეფის მორჩილად ითვლებოდა, ნამდვილადკი დამოუკიდებლად იქცეოდა. თურქები თავისუფლად დათარეშობდენ მთელს სამხრეთს საქართველოში

და მტკვრის პირად. ხალხი მხოლოდ სიმაგრეებში და მიუდგომელს ადგილებში იმყოფებოდა. სოფლები და ქალაქები ოხრად იყვენ დარჩენილნი. ხვნა-თესვა და სხვა მრეწველობა შეჩერებული იყო.

ამიტომ დავით მეფის პირველი საზრუნავი საქმე იყო მკვიდრთა დასახლება გაოხრებულს და დაცარიელებულს ადგილებში და მიწის შემუშავებისათვის ხელის მოკიდება. ამ აზრით მან მოიწვია დიდებულნი და აზნაურნი, რომელნიც ციხე-სიმაგრეებში იყვენ გახიზნულნი, შეაგონა მათ თავიანთ ადგილებზედ დაბრუნებულიყვენ და თავიანთ მაგალითით დაებრუნებინათ დაბალი ხალხიც თავის ბინაზედ. ახალგაზდა, მხნე და მამაცის მეფის შეგონებამ გასჭრა. ხალხს მიეცა იმედი, მიატანა მიტოვებულს ადგილებს და ამნაირად გაოხრებულმა სოფლებმა და ქალაქებმა იწყეს მოშენება. თურქები უწინდებულად ჰბედავდენ თარეშობას მათგან შეყვაბულს ადგილებში, მაგრამ ისე თავისუფლად და მოურიდებლად ველარ ახერხებდენ. ქართველი ხალხი, ახლა ცოტად გამხნევებული და იმედ-მიცემული, წინაამდეგობას უწევდა თურქებს და უკან აბრუნებდა შემოსეულებს. თვით დავით მეფე, საცა შეხვდებოდა თურქთა ლაშქარს, აგრძნობინებდა, რომ ახლა-კი ისე ადვილი არ იყო საქართველოს აკლება-აოხრება. ამიტომაც თურქები უფრო ფრთხილად

იქცეოდენ და, თუ არ მოპარვით ან დიდის ჯარით, ველარ ჰბედავდენ შემოსევას.

გარეშე მტრების ალაგმვასთან ერთად დავითი მოწადინებული იყო აელაგმა და დაეთრგუნა შინაური მტრებიც. ასეთი მტრები იყვენ უმთავრესად მძლავრი დიდებულები, რომელთაც დიდი მამული ჰქონდათ და მიჩვეულნი იყვენ მეფის წინაამდეგ მოქმედებას. მათ შორის შესამჩნევი იყო ლიპარიტ ორბელიანი, რომლის მამა-პაპასთან დიდი ბრძოლა ჰქონდათ წინანდელს მეფეებს მათ დაუდგრომელობის და ურჩობის გამო. ლიპარიტ ორბელიანს არ მოეწონა დავითის მხრით მეფურის ხელმწიფების გამოჩენა დიდებულებზედ და 1093 წ. გაიზრახა მისგან გადგომა სპარსეთის ახალის სულთანის ბარქიაროქის შემწეობით. დავითმა შეუტყო მას განზრახვა და ფიცხლავ შეიპყრო იგი. იმედ-გაცრუებულმა და ცბიერმა ლიპარიტმა მოიკატუნა თავი, მეფეს გამოუცხადა მორჩილება და შეჰფიცა საკვლავოდ ერთგულება. დავითმა მაშინვე გაათავისუფლა და დაუბრუნა ყველა ქვეყნები, რაც წინად ეჭირა, მაგრამ ლიპარიტმა არ დაიცვა ფიცი და გათავისუფლდა მხოლოდ იმიტომ, რომ ხელ-ახლად დაეწყო დავითის წინაამდეგ მოქმედება. დავით მეფემ კიდევ შეუტყო და შეიპყრო. ორს წელს ჰყავდა დაპატიმრებული და შემდეგ 1095 წელს გაათავისუფლა იმ პირობით, რომ განდევნილიყო საქარ-

თველოთგან. ლიპარიტი წავიდა საბერძნეთს და იქ გადაიცვალა, ხოლო მისი მამული დავითმა მისცა მის შვილს რატი ორბელიანს.

ქართველთა ერის საბედნიეროდ დავით მეფის მეცადინეობას თავის სამეფოს გაძლიერებისათვის დიდად შეუწყო ხელი თურქთა სახელმწიფოს დაუძლურებამ მელიქ-შაჰის სიკვდილის შემდეგ და იმ დროს დაწყებულმა ჯვაროსანთა ლაშქრობამ. მელიქ-შაჰის სიკვდილის შემდეგ 1092 წ. მისმა ოთხმა შვილმა ერთმანერთს დაუწყეს შეცილება ტახტისა და გამართეს ურთიერთთ შორის ბრძოლა. ამ შინაურის არეულობით ისარგებლეს ზოგიერთმა მძლავრმა ამირებმა და დამოუკიდებელნი შეიქნენ. ამ შინაურს ბრძოლას თურქთა სამფლობელოს დასაუძლურებლად ზედ დაერთო ჯვაროსანთა ლაშქრობა. 1096 წ. ევროპის ქრისტიანებმა გამოილაშქრეს აზიაში მუსულმანთაგან ქრისტეს საფლავის გასათავისუფლებლად და ამით დიდს შიშში ჩააგდეს მთელი მუსულმანობა დასავლეთის აზიისა. 1096 წ. ჯვაროსნები მივიდენ კონსტანტინოპოლში. 1097 წ. გადმოვიდენ აზიაში და დაიჭირეს ნიკეა. 1098 წ. დაიპყრეს ედესა და ანტიოქია, ხოლო 1099 წ. თვით იერუსალიმი და ამ ნაირად შუა სამუსულმანოში დააარსეს ქრისტიანთა დამოუკიდებელი სამეფო და სამთავროები. მთელი მუსულმანობა ჯვაროსანთა წინააღმდეგ მიიმართა და ამით შესვენება მიეცა მათ-

გან საქართველოს. დავით მეფემ ისარგებლა ამ შესვენებით და მოუსპო ხარჯის ძლევა თურქების სულთანს, ხოლო გახიზნული ხალხი უშიშრად დაასახლა იმ ადგილებში, რომლებშიაც თურქები მანამდე ყოველს წელიწადს შემოდიოდენ და თარეშობდენ.

დავითს ახლა ორი უმთავრესი საგანი ჰქონდა შესასრულებელი: 1) კახეთის შემოერთება და 2) წართმევა თურქებისათვის იმ ადგილებისა, რომლებიც საქართველოს არე-მარეზე მათ ეჭირათ.

III.

კახეთის შემოერთება დავითის მიერ.—რატი ორბელიანის სიკვდილი დი მისი მამულის დაჭერა მეფისგან.

როგორც ზევით მოვიხსენიეთ, სპარსეთითგან დაბრუნებულმა გამუსულმანებულმა კახეთის მეფემ აღსართანმა დაიჭირა კახეთი და ქართლის ზოგიერთი ადგილებიც წაართვა გიორგი მეფეს. აღსართანის შემდეგ კახეთში გამეფდა 1086 წ. მისი შვილი კვირიკე, რომელიც, მატიანის თქმით, შესანიშნავი იყო თავისის ხასიათით, მხნეობით და ქრისტიანულის ქცევით.

დავით მეფე ვერ დასთმობდა ქართლის იმ ადგილებს, რომლებიც ეჭირა კახეთის მეფეს, ამიტომ მიადგა კახელებისგან დაჭერილს ქართლის ციხეებს

და ზედი-ზედ აიღო ერთი მეორის შემდეგ. უკანასკნელად დავითმა აიღო ციხე ზღდაზენი და ამნაირად დაიბრუნა კახეთისგან ქართლის ყველა ნაწილები (1101 წ.). დარჩა ახლა მხოლოდ თვით კახეთის სამეფოს გაუქმება და მისი დანარჩენს საქართველოსთან შემოერთება. ესეც მალე მოხდა.

1102 წ. მოკვდა კვირიკე მეფე და მის მაგიერ გამეფდა ძმის-წული მისი აღსართან, მატიანის თქმით, კაცი უმსგავსო და მეფობის უღირსი. კახელებს არ უყვარდათ იგი მის საძაგელის ქცევისათვის. ამასთან კახეთის მცხოვრებთა კარგა დიდს ნაწილს უკეთესად მიაჩნდა დანარჩენს საქართველოსთან ერთად ცხოვრება და მხნე და ჭკვიანის მეფის დავითის ხელთ ყოფნა. შესდგა დიდებულთა შორის დასი აღსართანის წინააღმდეგ. აი ამ დასის მოთავეთ ბარამ არიშიანმა და ქავთარ ბარამიძემ შეიპყრეს აღსართანი და მისცეს დავით მეფეს შეპყრობილი. დავითმა ისარგებლა ამ შემთხვევით და სწრაფად დაიჭირა მთელი კახეთი (1104 წ.).

კახეთის დაჭერა დავითისაგან არ იამათ თურქებს და ამიტომ სულთანის მოჰამედის ბძანებით შემოვიდენ მის და განძის ათაბაგის ჯარები კახეთის ჩამოსართმევად. თურქებს მიემხრენ ზოგიერთი კახელები, რომელთაც გაცალკევება ერჩივნათ საქართველოსთან ერთობას. მტრის ჯარს შეხვდა დავით მეფე ერწოში და დიდი ომი გაუმართა მას. გამარ-

ჯვებული დარჩა დავითი და ამ ნაირად მტკიცედ დაიჭირა კახეთი სამუდამოდ (1105 წ.).

ამავე ხანებში გადაიცვალა თრიალეთისა და კლდეკარის მფლობელი რატი ორბელიანი და, რადგან მემკვიდრე არ დარჩა მას, დავით მეფემ კანონისამებრ სახასოდ დასდო მისი მამული. ამნაირად მოისპო ორბელიანთა გვარის ის შტო, რომელიც მთელის გასულის საუკუნის გამავლობაში მეფეთა წინაამდეგი და საქართველოს ერთობის მშლელი იყო. მეფემ ამ მამულის მართვა-გამგეობა ჩააბარა თევდორე ორბელიანს.

IV.

საეკლესიო კრება და მისგან დაწერილი ძეგლი.

როდესაც დავით მეფემ მოაგვარა თავის სამეფოს საქმეები იმდენად, რომ გარეშე მტერთაგან უზრუნველ-ჰყო სამეფო და მხოლოდ-ღა საჭირო იყო მუყაითობა და გამჭრიახობა მტერთა ხელთ მყოფის საქართველოს ნაწილების დასაბრუნებლად, მან მიაქცია თავისი ყურადღება საქართველოს საეკლესიო და ზნეობრივს მდგომარეობას.

მტერთაგან აკლებისა და დაჩაგვრის დროს საქართველოს ეკლესიაში დამკვიდრდენ უწესოებანი. დიდებულთა თავგასულობამ და თავნებობამ საეკ-

ლესიო წესებსაც დასდო თავისი დაღი. ამიტომ მეფეს არ შეეძლო არ ეზრუნა საქართველოს საეკ-ლესიო წეს-წყობილებაში სასურველის წეს-რიგის ჩამოგდებისათვის და მით ზნეობრივის მხარის გაუმ-ჯობესებისათვის, რაოდენადაც-კი ზნეობრივს მხა-რეზე გავლენა ჰქონდა ეკლესიას. 1103 წ. მეფემ მოიწვია საეკლესიო კრება, რომელზედაც დაესწრენ კათოლიკოზი, ეპისკოპოზები, მღვდლები, დიაკონე-ბი, მონაზონები, დაყუდებულები და მეუდაბნოეები. კრება მოხდა რუისისა და ურბნისის შუა ადგილს. კრების თავჯდომარედ იყო საქართველოს კათოლი-კოზი იოანე. კრებამ განიხილა საეკლესიო საქმე-ები, რომლებიც-კი ასე თუ ისე საყურადღებონი იყვენ და მათ შესახები თავისი გადაწყვეტილებანი აღნიშნა **ძეგლის წერაში**, რომელიც შესდგება 15 მუხლისაგან:

1) კრებამ განკვეთა ანუ გადააყენა ეპისკოპო-ზობითგან ის პირნი, რომელთაც მძლავრობით ჰქონ-დათ დაჭერილი მღვდელ-მთავრის ადგილი, თუმცა თავიანთ ცხოვრებით და სწავლით სრულიად უღირს-ნი იყვენ ამ თანამდებობისა. მათ ადგილს კრებამ დაადგინა მღვდელ-მთავრებად სხვა უფრო ღირსე-ული პირები.

2) სამღვდელ-მთავრო და სამღვდელო პირებისა-თვის განაწესა წლოვანობა, რომლის უადრეს არ

შეიძლებოდა მათი ხელდასხმა, მაგალითად 35 წელი ეპისკოპოზთათვის, 30 მღვდელთათვის, 25 დიაკონთათვის, 8 წიგნის მკითხველთათვის. ამასთან აკრძალა კრებამ ერთსა და იმავე დღეს ერთის ხარისხითგან მეორე და მესამე ხარისხზედ აყვანა ხელდასხმით.

3) წესი ხელდასხმისა, აგრეთვე კურთხევა ეკლესიისა, დამყარება საკურთხევლისა და კურთხევა მირონისა, კრების გადაწყვეტილებით, უნდა მომხდარიყო ისე, როგორც გიორგი მთაწმინდელის მიერ დაწერილს კურთხევანში იყო მოხსენებული.

4) კრებამ აკრძალა ქრთამის ანუ ძღვნის მიღება ხელდამსხმელის მიერ ხელდასხმულისაგან.

5) აგრეთვე აკრძალა მოხმარება, რა გვარის მიზნითაც უნდა ყოფილიყო, ეკლესიის გარეშე ყოველისავე საეკლესიო ანუ ეკლესიისთვის შეწირულის ნივთისა.

6) აკრძალულ იქნა ეკლესიის გარეშე ნათლისცემა, დაგვირგვინება, მონაზონის კურთხევა; აეკრძალა ხუცეს-მონაზონს გვირგვინის კურთხევა, აგრეთვე ერისგანს მღვდელს მონაზონის კურთხევა. დადგენილ იქნა, რომ უნდა ზიარებულიყვენ ცოლქმარნი პირველისა და მეორე გვირგვინის კურთხევის შემდეგ. მეორედ გვირგვინის მაკურთხეველი

ხუცესი არ უნდა მისულიყო სამხრად გვირგვინ-ნაკურთხებთან და პირველი გვირგვინი არ უნდა ჰკურთხებოდათ მეორედ დასაქორწინებლებს.

7) აკრძალულ იქნა ჩჩვილთ ქალ-ვაჟთა გვირგვინის კურთხევა. თუ მშობლებისთვის საჭირო იქნებოდა რამე მიზეზით მოყვრობა ქალ-ვაჟის პატარაობაში, ნება ეძლეოდათ პატარები დაეწინდათ, ხოლო დაქორწინება-კი მაშინ უნდა მომხდარიყო, როცა ისინი ასაკს მოვიდოდენ. ჯვარ-დასაწერი ქალი 12 წლისაზედ ნაკლები არ უნდა ყოფილიყო.

8) კრებამ დაავალა კათოლიკოზს და ეპისკოპოზებს, რომ ქორეპისკოპოზებად სჯულისა და საღვთო წიგნთა მცოდნე აერჩიათ, მღვდლებად და დიაკონებად ღვთის მოშიში და საქრისტიანო წესთა დამცველი კაცები დაეყენებინათ, რათა ქრთამისათვის არ გაეცათ არც ერთი იმ წესთაგანი.

9) რადგან დიდი შფოთი და განხეთქილება ხდებოდა მონასტრებში იმის გამო, რომ ერთსა და იმავე მონასტერში რავდენიმე (10—20) მოძღვარი ითვლებოდა, ამიტომ კრებამ დაადგინა — თითო მოძღვარი ჰყოლოდა თითო მონასტერს, ხოლო თუ ძალიან დიდი იქნებოდა მონასტერი, შეეძლო ჰყოლოდა ორი მოძღვარი.

10) კრებამ აკრძალა მონასტრებში სავაჭრო კრებების გამართვა და საზოგადოდ ყოველნაირის ქალაქურის და სოფლურის წესის შემოღება.

11) აკრძალა აგრეთვე ერთს საკურთხეველზედ მრავალთ სულთათვის მრავალთ მღვდელთაგან ჟამის წირვა. უკანონოდ აღიარა ჟამის წირვა ცოცხლისა ანუ მიცვალებულისათვის სხვა დროს, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც დაწესებულნი იყვენ აღაპთათვის და სულის ხსენებისათვის.

12) კრებამ დაადგინა, რომ ანტიოქიის და სხვა ეკლესიათა წესისამებრ ხელ-ახლად მოენათლათ როგორც წარმართი ვინც გრიგორიანთა სარწმუნოებითგან გადავიდოდა მართლმადიდებლობაზე.

13) აკრძალულ იქნა მართლ-მადიდებელი შეუღლებოდა მწვალებელს ან წარმართს.

14) აკრძალულ იქნა აგრეთვე წესი შორითგან ქორწინებისა, რომელიც იმ დროს ყოფილა მიღებული საქართველოში მომეტებულად დიდებულთა და წარჩინებულთა შორის. როდესაც საცოლო და საქმრო სხვა-და-სხვა ადგილს იქნებოდენ, იმათი შეუღლება ასე ხდებოდა. საცოლოს ეკურთხებოდა გვირგვინი ერთს რომელსამე კაცთან, რომელიც ითვლებოდა საქმროს წარმომადგენელად და საქმროსაც ეკურთხებოდა გვირგვინი ერთს რომელსამე კაცთან, რომელიც საცოლოს წარმომადგენელად ითვლებოდა. ეს ჩვეულება გამოწვეული იყო იმით, რომ ხშირად ლაშქრობაში მყოფი მამაკაცი მარხვის დადგომამდე ესწრაფებოდა ქორწინებას, მაგრამ, რად-

გან ამ ვადაში არ შეეძლო საკოლოსთან წასვლა ქორწინებისათვის, ამიტომ ჯვარს იწერდა მაზედ შორითგან. ვინც ამ ნაირად ყოფილიყვენ შეუღლებულნი და დახოცილიყვენ, კრებამ შეუნდო, ვინც იმ დროს ცოცხლები იყვენ, ისინი უკანონო ცოლქმრად შერაცხა, ხოლო საკვლავოდ ამისთანა ქორწილი მკაცრად აკრძალა და კანონის დამარღვეველად ჩათვალა ის ოთხი პირი, რომელნიც ამ ნაირად შეუღლებაში მონაწილეობას მიიღებდენ და ის ორი მღვდელიც, რომელნიც გვირგვინს უკურთხებდენ მათ.

15) ბოლოს კრებამ მიაქცია ყურადღება იმ ბილწს ჩვეულებას, რომელსაც უწოდებს სოდომიას. კრებამ, აღნიშნა-რა სიმდაბლე და სისაძაგლე ამ ჩვეულებისა, ვალდებულ-ჰყო ყოველი ამ ჩვეულებით შეპყრობილი ხელი აეღო მაზედ, ხოლო ვინც არ აიღებდა ხელს, მათზედ წამოსთქვა წყევა-კრულვა. აგრეთვე წყევა-კრულვა გააჩინა კრებამ იმ პირებზედ, რომელნიც არ მოიშლიდენ კაცის გინებას და პირით იკადრებდენ იმის წამოთქმას, რის შესრულებაც საქმით სისაძაგლეს შეადგენს.

ეს ძეგლი კრებამ წაუდგინა დავით მეფეს, რომელმაც იგი დაამტკიცა და დახმარება ამოუჩინა კათოლიკოზს მის სისრულეში მოყვანისათვის.

V.

სამშვილდის აღება.—თრიალეთზედ თურქების დამარცხება.—გიორგი მეფის სიკვდილი.—რუსთავის აღება.—ტაოში თურქების დამარცხება.—გიშის დაჭერა და გრიგოლიძეების შეპყრობა.—დიმიტრის გალაშქრება შირვანში.—მეფის გალაშქრება არაქსის ნაპირებზე.—ლორისა და აგარანის დაჭერა.

შინაურს ცხოვრებაში წეს-წყობილების გაუკეთესების შემდეგ შესაძლებელი იყო უფრო ადვილად ბრძოლა მტრებთან, რომელთაც ჯერ კიდევ ხელთ ეჭირათ საქართველოს დედა-ქალაქი ტფილისი და ზოგიერთი ადგილები ციხე-ქალაქებითურთ. თურქებს შიში მიეცათ მხნე და მძლავრის დავით მეფისა და ამიტომ ისინი ბეჯითად ადევნებდენ თვალყურს მის მოძრაობას. მოსაზღვრე თურქები მუდამ ფხიზლად იყვენ, თუ დავით მეფის სიახლოვე იცოდენ, ხოლო როდესაც შორს დაიგულებდენ, მაშინკი თამამად იქცეოდენ და სიფრთხილე აღარ იცოდენ. თურქების ასეთის ქცევით მეფე სარგებლობდა მათვე დასამარცხებლად. ხშირად განგებ გადადიოდა ქართლითგან იმერეთს, რომ მოსაზღვრე მტრებში სიფრთხილე მოესპო, ხოლო შემდეგ უცებ დაესხმოდა მოულოდნელად მტრებს და ამარცხებდა მათ. ასე მოიქცა მეფე 1110 წელს. მის ბძანებით, მწიგნობართ-უხუცესი გიორგი ჭყონდიდელი, ამის დის-

წული თევდორე ორბელიანი და აბულეთ და ივანე ორბელიანები მოულოდნელად დაესხენ სამშვილდის ციხეში უშიშრად მყოფს თურქებს და თითქმის უბრძოლელად დაიჭირეს ეს ციხე, რომელიც მთელს სომხეთს მბძანებლობდა. ამ ციხის დაკარგვის შემდეგ თურქები იძულებულები შეიქნენ დაეტოვებინათ სომხეთის ციხეების მომეტებული ნაწილი, რადგან უსამშვილდოდ მათში თავის შენახვა არ ეხერხებოდათ. ქართველებმა დაიჭირეს ეს მიტოვებული ციხეები.

ეს ამბავი რომ შეიტყო სპარსეთის სულთანმა, გამოგზანა საქართველოს წინაამდეგ დიდი ჯარი, რომელიც ჩვენის მატიანის თქმით 200,000 კაცისაგან შესდგებოდა. ამ დროს დავით მეფე ნაჭარმაგევში იდგა თავის ტაძრეულით. საღამო ხანს მოუვიდა ამბავი თურქების თრიალეთზე მოსვლისა. მან ხელად შეკრიფა იქვე მყოფი 1500 კაცი და იმავე ღამეს გაემართა თრიალეთისაკენ. დილით შეხვდენ მას თურქები, რომლებსაც გაუმართა ფიცხელი ბრძოლა. ბრძოლა გაგრძელდა მთელს დღეს და მებრძოლნი გაჰყარა საღამომ. დავით მეფე მეორე დილისთვის ემზადებოდა საბრძოლელად, მაგრამ როგორც მეფე ისე მის ჯარი გაცვიფრებულნი დარჩენ, როდესაც მეორე დღეს დილით დაინახეს, რომ ღამით გაქცეულიყვენ თურქები და დაეტოვებინათ იქვე ყოველიფერი, რაც ავლადიდება ჰქონდათ.

1112 წ. მოკვდა მეფე გიორგი. მართალია, არა ჩანს, რომ დავითის გამეფების შემდეგ გიორგის რამე მონაწილეობა ჰქონოდეს სამეფო საქმეებში, მაგრამ ეს-კი უეჭველია, რომ მამა რჩევას და დარიგებას აძლევდა ხშირად შვილსა. ამის ნიშანს ვხედავთ დავითის ანდერძში, სადაც მოხსენებულია, რომ დავითს დაუტოვებია გიორგის რჩევით ძაგამისათვის ზოგიერთი მისი მამული, თუმცა მას სდომებია სრულებით წართმევა, რადგან ძაგამი ყოფილა კახეთის მეფის მომხრე. გიორგის სიკვდილის შემდეგ დავითი არა რჩება მარტოდ-მარტო გამოცდილისა და ერთგულის მრჩევლის უყოლად. ამისთანა მრჩეველი იყო გიორგი ჭყონდიდელი, რომელიც ჩვეულებრივად ჭყონდიდლობასთან ერთად მწიგნობართ-უხუცესის თანამდებობასაც ასრულებდა.

1115 წ. დავით მეფის მუხრანში ყოფნის დროს გიორგი ჭყონდიდელი წაუძღვა ჯარს რუსთავის ასაღებად და იქიდან თურქთა გასადევნად. მტერი არ ელოდა თავდასხმას და ამიტომ ქართველებმა ადვილად დაიპყრეს რუსთავი. ამ ქალაქის დაკარგვის გამო თურქებს გაუჭირდათ მტკვრისა და ივრის პირად საზამთროდ დაბანაკება, ხოლო ქართველებს გაუადვილდათ მათი დევნა ამ ადგილებითგან. მეფეს ჰყავდა ყველგან დაყენებული კაცები, რომელებიც თვალს ადევნებდენ თურქების მოძრაობას და, შეიტყობდენ თუ არა ისინი თურქების განზრახვას ხსე-

ნებულ ადგილებში დაბინავებისას, აცნობებდენ რუსთავის მეციხოვნეებს და ესენიც არ უშვებდენ მათ.

არც სხვა ადგილებში აძლევდა ახლა მეფე თურქებს საზამთროდ დაბინავების ნებას. 1116 წ., როდესაც ისინი ზამთრობით მოვიდენ ტაოში და დაიბანაკეს, ეს ამბავი შეიტყო დავით მეფემ ქართლში. მან მაშინვე ბძანა ქართლის ლაშქრის დამზადება, ხოლო თითონ გადავიდა ქუთაისს და შეაგროვა იმერეთის ჯარი. იქითგან ქართლისა და მესხეთის ჯარს შემოუთვალა, რომ დანიშნულს ვადაზე კლარჯეთში დახვედროდენ, ხოლო თითონ იმერეთის ჯარით მივიდა ხუფთას და ჭოროხის ხეობით წავიდა კლარჯეთს, სადაც შეიყარა მთელი მისი ჯარი. თურქები გულდადებით იყვენ ტაოში და არ ელოდენ ქართველების თავდასხმას. დავით მეფე ამ დროს დაესხა თურქებს, რომელნიც გაფანტულიყვენ ბასიანამდე და კარნიფორის მთებამდე, მოსრა მრავალნი, დაატყვევა მათი ცოლ-შვილი და ხელთ იგდო მთელი მათი საქონელი: ცხენები, ცხვრები, აქლემები და სხვა ქონება.

კახეთისა და შირვანის სამზღვრად იყვენ გიშის მფლობელები ასამ და შოთა გრიგოლიძეები, რომელნიც სარგებლობდენ თავიანთ მამულის მდებარეობით საზღვარზე და თავიანთ ციხის სიმაგრით და მეფეს არ ემორჩილებოდენ. 1117 წ. დავით მეფე შევიდა მათ მამულში და შეიპყრო ორივე ძმა.

ამავე წელს დავითმა გაგზანა თავისი შვილი დიმიტრი სალაშქროდ შირვანში, სადაც მეფობდა მისი სიძე აღსართანი, მეფის ასულის თამარის ქმარი. შირვანელები აუჯანყდენ აღსართანს და გაუდგენ ზოგიერთი ადგილები. სიძის თხოვნით დავითმა გაგზანა ლაშქარი შირვანელთა დასაწყნარებლად. დიმიტრიმ ამ ლაშქრობაში გამოიჩინა დიდი სიმამაცე, რომელმაც გააკვირვა მხილველნი და მსმენელნი, აიღო ციხე ქალაძორი, დააწყნარა განდგომილნი და დაბრუნდა ალაფითა და ტყვეებით სავსე.

თურქები მაინც არ იშლიდენ თავისას და დროგამოშვებით შემოესეოდენ ხოლმე საქართველოს ამა თუ იმ მხრითგან. 1118 წ. თურქები შემოესიენ ჯავახეთს. დავითმა მის წინაამდეგ გაგზანა ჯარი, ხოლო თითონ გაილაშქრა არაქსის პირზე თურქების ასალაგმავად და დასაწყნარებლად. გზაში მან შეიტყო, რომ ჯავახეთში შემოსეულთ თურქთ მოეკლათ ჯავახეთის ერისთავი ბეშქენ ჯაყელი. თუმცა დიდებულები უშლიდენ მეფეს ლაშქრობის გაგრძობას, მაინც არ დაიშალა, დაეცა არაქსის პირზე მდგარს თურქებს, მოსრა და დაატყვევა მრავალი და წამოიღო დიდი ალაფი.

ამ ლაშქრობითგან გამობრუნებულმა მეფემ დაიჭირა ციხეები ლორი და აგარანი და გადევნა იქითგან თურქები.

VI.

ყივჩაყების გადმოყვანა.

მტრებთან გამუდმებულის ბრძოლისათვის დავით მეფე დიდად საჭიროდ ჰპოვებდა მუდამ მზა და გაწვრთნილს ჯარს. ქართველი ერი კარგი მეომარი და მებრძოლი იყო, მაგრამ ამ ბრძოლა-ომებში იგი მეტად სუსტდებოდა და თავის კეთილდღეობისთვის მშვიდობიანის შრომის შეძლება აღარ ჰქონდა. დავითი მიხვედრილი იყო, რომ მშვიდობიანის შრომის ნაყოფი მაშინ გავითარდებოდა, როდესაც ეს მშვიდობიანობა უზრუნველყოფილი იქნებოდა ყოველთვის. ამიტომ, მისმა გამჭრიახმა გონებამ მოიფიქრა სამუდამო ჯარის დაწესება. მაგრამ როგორ შეიძლებოდა რამოდენადმე დიდის სამუდამო ჯარის დაწესება ქართველთაგან, რომელნიც ხანგრძლივის ომების გამო ისე შემცირებულიყვენ საომრად გამოსადეგის ვაჟკაცების რიცხვით. ამიტომ მას მოუვიდა აზრად მოეწვია უცხო ხალხი და დაესახლებინა საქართველოში იმ პირობით, რომ სამაგიეროდ ეწია სამხედრო სამსახური და მუდამ საომრად ყოფილიყო მზად. იმის მოსაზრება შეჩერდა ყივჩაყებზე. ყივჩაყები იყვენ კავკასიის ჩრდილოეთით მცხოვრები გაუვითარებელი, მაგრამ მეტად მამაცი და მეომარი ხალხი. ისინი ცხოვრებდენ ტომ-ტომებად და თვი-

თეულს ტომს თავისი მთავარი ჰყავდა. თუმცა მათში ქრისტიანებიც ერიენ, მაგრამ მომეტებულად წარმართები იყვენ. თვით დავით მეფეს პირველ ცოლად ჰყავდა ყივჩაყთა ერთის ტომის მთავრის ათრაქა შარალანიძის ასული გურანდუხტ და ამიტომ ამ ყივჩაყებს ის კარგად იცნობდა. დავითმა წინადადება მისცა თავისს სიმამრს და ცოლის ძმებს, რომ გადმოსულიყვენ მთელის ტომით საქართველოში და ეწიათ სამხედრო სამსახური მისთვის, რისთვისაც ის დაჰპირდა შესაფერს დაჯილდოებას. მისმა სიმამრმა და ცოლის ძმებმა მიიღეს მეფის წინადადება და დათანხმდენ საქართველოში გადმოსვლას. საჭირო იყო მხოლოდ, რომ გზაში გამოვლის დროს ოსებს ხელი არ შეეშალათ მათთვის. დავითი შევიდა ჯარით ოსეთში და მოსთხოვა ყივჩაყებისთვის გამოსავლელი გზა მიეცათ. დავით მეფეს წინ გამოეგებენ ოსების უფროსები და დათანხმდენ ყივჩაყების გამოვლას ოსეთზე იმ პირობით, რომ ყივჩაყებსაც არა წაეხდინათ-რა მათთვის. დავითმა პირობის მტკიცედ შესრულებისათვის გამოართვა მძევლები ოსებსაც და ყივჩაყებსაც. ამას გარდა დაიჭირა ყველა ციხეები და სიმაგრეები, რომლებიც ოსების ქვეყანაში საქართველოსაკენ მიმავალის გზის პირად იყვენ და ამნაირად გადმოიყვანა მთელი ერთი ტომი ყივჩაყებისა (1118 წ.). მატიანის თქმით, მეომართ ყივჩაყთა რიცხვი იყო 40,000, მათი ცოლშვილი და

მშობლები ხომ სხვანი იყვენ. დავით მეფემ ეს ყივჩაყები დააბინავა საქართველოს სხვა-და-სხვა ადგილებში, გააწყო მათგან რაზმები გვარ-გვარად, დაუყენა სპასალარნი და მმართველნი და მისცა ყველას საჭირო იარაღი და ცხენები.

ამნაირად დავით მეფემ შეიძინა ყივჩაყების გადმოყვანით სამუდამო ჯარი, რომელიც მუდამ მზად იყო სალაშქროდ. ამათ გარდა დავითმა შეადგინა ჯარი 5,000 მონათაგან, რომელნიც იყვენ მუსულმანთაგან ტყვედ წამოყვანილნი, ხოლო საქართველოში გაქრისტიანებულნი. ყივჩაყთა და მონათაგან შემდგარს ჯარს მეფე დავითი საჭიროების დროს უმატებდა კარგად გაწყობილს ქართველთა ჯარს და ამნაირად იგი შეიქნა უძლეველი და თავზარდამცემი მტერთათვის. ყივჩაყები მცირე ხანში შეეთვისენ საქართველოს, შეისწავლეს ქართული ენა, მიიღეს ქრისტიანობა და შემდეგში სრულიად გაქართველდენ.

ყივჩაყების გადმოყვანის დროს დავით მეფეს და მთელს საქართველოს დააკლდა დიდად გამოცდილი და ბრძენი მოღვაწე გიორგი ჭყონდიდელი. იგი გადაიცვალა მეფესთან ოსეთში ყოფნის დროს (1118 წ.). მეფემ დიდის ამბით დაასაფლავა იგი გელათში და იგლოვა 20 დღე, *) სანამ არ დაიბადა

*) იხ. Chronique arménienne (Additions p. 58). მართალია, „ქართლის ცხოვრება“ ამბობს 40 დღეო, მაგრამ

მეფის ძე ვახტანგი და ამ სასიხარულო ამბის გამო არ შეამოკლა გლოვის ხანი.

VII.

ლაშქრობანი 1120 და 1121 წლებისა.

საქართველოს საზღვრად მყოფი თურქები, რომლებიც ბოგანო ცხოვრებას მისდევდენ, მაინც ვერ ითმენდენ, რომ საზამთროდ არ შემოსულიყვენ საქართველოს არე-მარეში, თუმცა იცოდენ, რომ დავით მეფე მათ ხეირს არ დააყრიდა ამისთანა გაბედულობისათვის. თურქებს მოსწონდათ ძალიან მტკვრის პირად ზამთრობა, რადგან აქ თბილოდა და კარგი იალაღი იყო საქონლისათვის. 1120 წ. მეფის შავის ზღვის პირად ხუფთაში ყოფნის დროს თურქები ჩამოვიდენ ბოტორას და დაიზამთრეს. მეფეს ეს მაშინვე შეატყობინეს. ისიც სწრაფად წამოვიდა და თავს დაესხა თურქებს მოულოდნელად (14 თებერვალს). თურქებმა ძლივს მოასწრეს ცხენებზე შეჯდომა და გაქცევა. ვინც ვერ გაიქცა, მეფემ დაატყვევა, ხოლო მათი ქონება ალაფად წამოიღო თან.

ჩვენ 20 დღე უფრო ნამდვილი გვგონია, რადგან 40 დღის გლოვა ჩვეულებრივია და რაღა მეორმოცე დღეს დაიბადა მეფის ძე ვახტანგი, როცა უამისოდაც უნდა გათავებულიყო გლოვა.

აქედგან დავით მეფე მივიდა ღანუხს და 1 მარტს შევიდა შირვანში, სადაც აჯანყებული იყო რამდენიმე მაზრა და არ ემორჩილებოდა მეფის ერთგულს და მორჩილს შირვანის მფლობელს. პირველად მიადგა ქალაქს ყაბალას და აიღო. მაგრამ სხვა ადგილების დასაჭერად მას ჯარი არა ჰყავდა საკმარისად და ამიტომ უკანვე დაბრუნდა ქართლს, ახლად შეკრიფა ჯარი და 7 მაისს შევიდა ხელახლად შირვანში, მოილაშქრა ყველა განდგომილი მაზრები არაბიალიჟათით დაწყებული ქურდევანამდე და შიშტლანთამდე, დაუმორჩილა შირვანშას და დაბრუნდა ქართლს.

მოაწია ზამთარმა და დავითმაც მიიღო ცნობები, რომ თურქები ეპირებოდენ საქართველოში საზამთროდ შემოსვლას აშორნის მხრით. ახლა თითონ მეფემ გადასწყვიტა დაესწრო თურქთათვის. გიორგობისთვეში გაილაშქრა აშორნისკენ, შევიდა ამ მაზრაში და მოსრა და აიალაფა იქაური თურქობა. აშორნითგან დავით მეფემ ჩამოიარა სევგელმაჯისკენ და იგივე დღე დააყენა თურქებს, რაც აშორნაში.

ამ ლაშქრობითგან დაბრუნებული მეფე გადავიდა იმერეთს და იქ აპირებდა ზამთრის გატარებას. ზამთარი იყო მეტის-მეტად ცივი და თოვლიანი. თურქებმა შეიტყეს მეფის იმერეთში ყოფნა და მოურიდებლად შემოვიდენ და დაიზამთრეს მტკვრის

ნაპირებზე იმ იმედით, რომ დავითი იმერეთითგან ამ დროს ვერ მოახერხებს გადმოსვლასაო. გაიგო თუ არა თურქების ჩამოსვლა მტკვრის ნაპირებზე, დავითმა დაუყოვნებლად გამოსწია ქართლისკენ. ლიხის მთაზედ გადმოსასვლელად მეფემ გააჭრევინა თოვლი, რომელსაც სიმაღლე ჰქონდა სამი მხარი. ქართლის ჯარი მზათ დახვდა მეფეს. ამ ჯარით მეფე დაესხა თურქებს, მოსრა მრავალი და დაინარჩუნა მთელი მათი საცხოვრებელი (1121 წ. მარტში).

ამავე წელს მერდინის მფლობელი ელღაზი, თითქო თურქების გაწყვეტისათვის სამაგიეროს გადასახდელად, შემოესია საქართველოს საზღვარს 20,000 კაცით *). მოაოხრა ადგილები, წაიყვანა ტყვეები და დადგა ბარდავში. ამ დროს მტკვარიც ადიდდა და თურქები უზრუნველ ყოფილად სთვლიდენ თავს ქართველების თავდასხმისაგან მტკვარზე გაუსვლელობის გამო. დავით მეფემ არ დახედა მტკვრის სიდიდეს და ყივჩაყების ჯარით გასცურა მტკვარში ალონთან. მეფე დაესხა მოულოდნელად თურქებს, რომელნიც თავგადადებით შეებრძოლენ მის ჯარს. ბრძოლამ გასტანა ორს დღეს. ქართველებმა გაიმარჯვეს თურქებზე **), დაატყვევეს ბლომად, ხელთ ჩაი-

*) მათე ედესელი (იხ. H. d. G. Additions p. 228).
**) იქვე.

გდეს ურიცხვი საქონელი და წამოვიდენ ბევრის სხვა საშოვრითაც სავსენი (თიბათვეში 1121 წ.).

დავით მეფისაგან სუსხმიცემული საქართველოს მოსაზღვრე თურქები ძალიან შეწუხდენ; ლრტვინვა იწყეს აგრეთვე ტფილისისა, დმანისისა და განჯის ვაჭრებმა, რომელთა აღებ-მიცემობას ქართველების ლაშქრობა სარგებლობას არ აძლავდა. თურქებმა არჩიეს და გადაწყვიტეს მიემართათ სპარსეთის სულთანის მაჰმუდისათვის შემწეობის თხოვნით და ამ აზრით გაგზანეს მასთან მოციქულები. ამათ დაიფხრიწეს ტანისამოსი, თავზედ მტვერი დაიყარეს, შავი ტანისამოსი ჩაიცვეს *), ხელ-პირიც შავად შეიღებეს და ისე მივიდენ თავიანთ გასაჭირის მოსახსენებლად და შემწეობის სათხოვნელად როგორც სულთანთან, ისე სხვა მფლობელებთან. ამ მოწოდების გამო შეერთდენ ირანის მფლობელი მელიქ-თოლრული, მერდინისა ელლაზი და ჰილახისა დურბეზი. მათე ედესელის თქმით, მელიქ-თოლრულს ჰყავდა 40,000 კაცი, ელლაზს 150,000 და დურბეზს 10,000. ეს შეერთებული ჯარი ელლაზის წინამძღოლობით წამოვიდა საქართველოში. ამათ კიდევ შეუერთდენ განძის ათაბაგი და სასომხეთის ამირები თავიანთ ჯარებით **). ერთის ევროპიელის

*) იქვე.

**) იქვე გვ. 228, 229.

ისტორიკოსის (გოტიეს) თქმით, მუსულმანთა ჯარი შესდგებოდა 600,000 კაცისაგან [1]), ხოლო არაბების ისტორიკოსის აბულ-ფარაჯის სიტყვით მხოლოდ 30,000 კაცისაგან [2]). შეიძლება გოტიეს ციფრა გაზვიადებულიც იყვეს, მაგრამ ისიც ცხადია, რომ აბულ-ფარაჯის ციფრაც უნდა გადამეტებით დაპატარავებული იყვეს.

ეს უშველებელი მუსულმანთა ჯარი შემოვიდა საქართველოში 1121 წ. მარიამობისთვეში და მოიცვა თრიალეთი, მანგლისი და დიდგორი. დავით მეფემ ჩვეულებრივის სისწრაფით თავი მოუყარა თავის ჯარს, მათე ედესელის სიტყვით, 55,600 კაცს, ხოლო გოტიეს სიტყვით 80,000 [3]) და მიეგება მტრებს. საომარს ადგილად აირჩია ვიწრო გასავალი ორს მთას შუა და მიმართა ჯარს სიტყვით, რომ ან უნდა გაემარჯვათ მტრებზედ ან უნდა დახოცილიყვენ ყველანი. გოტიეს თქმით, ქართველებს უკან გაქცევის შეძლება რომ არა ჰქონოდათ, დავითმა ხეობითგან გამოსასვლელს ადგილზე თხრილები გააკეთა [4]). ამნაირად ქართველი ჯარი გადადებული იყო სასიკვდილ-სასიცოცხლოდ. გაიმართა ბრძოლა და ქართველების სიმამაცემ და სიფიცხემ დასძლია

[1]) იქვე გვ. 229.
[2]) იქვე გვ. 237.
[3]) იქვე.
[4]) იქვე.

რამდენჯერმე დიდს ჯარს. პირველსავე შეტაკებაზედ მტერთა წინა რიგებმა უკან დაიწიეს და ამით არეულობა და შიში დაჰბადეს უკანა რიგებში. ზარდაცემულებმა ქართველებს ზურგი მიუშვირეს და გაიქცენ. ქართველები გამოედევნენ და მტრების აუარებელი რიცხვი გაჟლიტეს. ქართველებმა სდიეს მტერს, მათე ედესელის სიტყვით, რვა დღის გამავლობაში [1]) ანის ქალაქამდე [2]). ელღაზი დაჭრილ იქნა. დახოცილთ მტერთა რიცხვი იყო 40,000 [3]), ტყვეთა რიცხვი იყო 30,000 [4]). ქართველებს დარჩათ აუარებელი დავლა: ოქრო-ვერცხლი, ცხენები, ჯორები, კარავები, სრა-ფარდაგები, სხვა-და-სხვა იარაღი და ჭურჭელი,

---

[1]) გოტიეს სიტყვით სამის დღის გამავლობაში (იხ. იქვე გვ. 230).

[2]) აბულ-ფარაჯის სიტყვით ათის აღაჯის მანძილზე (იხ. იქვე გვ. 237).

[3]) გოტიეს სიტყვით, 400,000 (იქვე გვ. 230). აბულ-ფარაჯის სიტყვით-კი 4,000 (იხ. იქვე გვ. 237).

[4]) იხ. იქვე გვ. 229.

VIII.

აღება ტფილისისა.—გალაშქრება შირვანში ორჯერ.—
აღება დმანისისა.—გალაშქრება დარუბანდზე.—აღება
სასომხეთის ციხეებისა.— აღება ანისა. — გალაშქრება
შირვანში. — ყივჩაყების მოწყობა.

ახლა-კი დრო მოვიდა, რომ დავით მეფეს ტფილისი აეღო. თურქებზე გამარჯვების შემდეგ მეფე მიადგა ტფილისს (1121 წ.), მაგრამ უცებ მისი აღება არ მოხერხდა. მეფემ შემოავლო გარს ალყა, რომელიც რამდენსამე თვეს გაგრძელდა. ბოლოს მეფემ მიიტანა იერიში და ძალით აიღო ციხე (1122 წ.). მუსულმანთა და სომხის ისტორიკოსები ამბობენ, ვითომ დავით მეფეს ტფილისის აღების დროს ამოეწყვიტოს კარგა ბლომად მუსულმანი მცხოვრებლები *), მაგრამ პირველნი იმასაც უმატებენ, რომ დავითი ძალიან კარგად მოეკიდა იმ მცხოვრებლებს, რომლებიც-კი დამორჩილდენო.

მუსულმანთა ისტორიკოსის ელ-აინის თქმით, ტფილისის აღების შემდეგ დავით მეფემ მოიღო მუსულმანს მცხოვრებლებზედ სხვა-და-სხვა წყალობა, რომელიც-კი ითხოვეს. მაგ. აკრძალა ღორების დაკვლა ტფილისში; ნება დართო, რომ ელოცნათ იძანით და ხოტბით; ქრისტიანებს აუკრძალა მუსულ-

*) H. d. G. Additions pp. 230, 232, 237 —240.

მანებთან ერთად აბანოში შესვლა და საზოგადოდ რაიმე ცუდის კადრება მუსულმანთათვის. ამათ გულის მოსაგებად მეფემ განაგრძო ტფილისში ფულის ჭრა არაბულის წარწერით: „სახელითა ღვთისა, მის წინასწარმეტყველისა და მის ხალიფისა“ და მისცა საჩუქრები და დაუნიშნა სარჩო მუსულმანთა სჯულის მოძღვრებს, პოეტებს და ნასწავლს კაცებს. ერთის სიტყვით, მუსულმანთ გაცილებით უკეთ ექცეოდა დავით მეფე ვიდრე მუსულმანი ხელმწიფეები *).

დავით მეფის მფარველობის და შემწეობის მოიმედემ შირვანის მფლობელმა აღსართანმა გაილაშქრა დარუბანდელების წინაამდეგ. დარუბანდელებმა შირვანშას და დავით მეფის წინაამდეგ შემწეობა სთხოვეს სპარსეთის სულთანს მაჰმუდს. 1123 წ. სულთანი შევიდა შირვანში, აიღო შამახია, შეიპყრო შირვანშა და მოსწერა დავით მეფეს, მე შევიპყარ შირვანშა და ვითხოვ ხარაჯასაო; შენ, ტყეთა მეფევ, ან ძღვენი გამომიგზანე, ან შენ თითონ მოდი ჩემთანაო. მათე ედესელის თქმით, ამ დროს სულთანს ჯარში ჰყავდა სამოცი ათასი კაცი. წერილის მიღებისათანავე დავით მეფემ ბძანება გასცა, რომ შეგროვილიყო ჯარი. ჯერ მარტო ყივჩაყები გამოცხადდენ 50,000, ქართველი ჯარი სხვა

*) იქვე გვ. 240 და 244.

იყო. ამ ჯარით მეფე გაემართა შირვანში. რამდენად მძიმე იყო ეს ლაშქრობა, იქითგან ჩანს, რომ დავით მეფე გალაშქრების წინ მივიდა შიო მღვიმელის მონასტერში და აქ იმ მოსაზრებით, რომ იქნება ლაშქრობითგან ველარ დავბრუნდე ცოცხალიო, სასწრაფოდ დაწერა ანდერძი იმის შესახებ, თუ რა ნაირად უნდა დაეთავებინათ ჯერ კიდევ დაუსრულებელი მისგან დაწყებული უმთავრესი ეკლესია მონასტრისა და რა უპირატესობა უნდა ჰქონოდა მონასტერს.

შირვანში შესვლისათანავე პირველად დავით მეფემ მოაშლევინა ის ხიდი, რომელიც სულთანს გაეკეთებინა მტკვარზე გასასვლელად და ამოხოცა ამ ხიდის მცველი ჯარი *). სულთანმა რომ გაიგო ეს ამბავი და აგრეთვე რაოდენობა მის ჯარისა, ძალიან შეშინდა და თავის ვეზირის რჩევით კიდევაც აპირებდა გაქცევას სპარსეთში. ეს რომ შირვანელებმა შეიტყეს, ისინიც მეტად შეშინდენ და სულთანს შეეხვეწენ არ მიეტოვებინა ისინი ქართველთა ანაბარად, რისთვისაც დაჰპირდენ თავგადადებით ბრძოლას მტრების წინააღმდეგ. სულთანი იძულებული იყო დარჩენილიყო და გამაგრდა შამახიაში. დავით მეფე მიემართებოდა კიდეც შამახიისკენ, მაგრამ გზაში რაღაც უთანხმოება მოხდა ქართველთა

*) იქვე გვ. 230.

და ყივჩაყთა შორის და ამ გარემოებამ შეაჩერა იგი. შეშინებული მუსულმანები ამ ამბის გაგონებაზე სიხარულს მიეცენ *). დავით მეფე არ მისულა ახლო შამახიასთან, მაგრამ გზები-კი შეუკრა, რომლებითაც სურსათი მისდიოდა სულთანს სპარსეთითგან. რანის ათაბაგი აღსუნღული ოთხი-ათასის კაცით წამოვიდა შამახიაში სულთანის საშველად და სურსათის მისაწოდებლად. დავითი გადაეღობა მას და ამოწყვიტა მთლად ეს ჯარი. გადარჩა მხოლოდ აღსუნღული, რომელიც მარტოდ-მარტო მივიდა სულთანთან. სულთანის მხრით-კი გამოგზანილი მოციქულები სპარსეთისკენ თავისუფლად გავლის ნების სათხოვნელად სწორედ იმ დღეს მოვიდნენ დავითთან, რა დღესაც მან ამოსწყვიტა აღსუნღულის ჯარი. ათაბაგის დამნახავმა სულთანმა აღარ დაუცადა თავის მოციქულების დაბრუნებას და იმავე წუთს გაიქცა შამახიითგან სპარსეთში სხვა გზით. ამნაირად გამარჯვებული დავით მეფე დაბრუნდა ქართლს. მაგრამ ეს გამარჯვება არ იყო სრული. ქართლში მან წესიერება დაამყარა ყივჩაყთა შორის და მეორე თვეს (ივნისში) ხელმეორედ გაილაშქრა შირვანს, აიღო გულისტანი და დაიპყრა მთელი შირვანი.

ზაფხული დავით მეფემ შირვანით დაბრუნების შემდეგ ქართლში გაატარა, ხოლო შემოდგომაზედ

*) ელ-აინი (Additions p. 239).

გადავიდა იმერეთს და იქ გაატარა მთელი ზამთარი 1123—1124 წლისა. გაზაფხულზედ, მარტში, მეფე გადმოვიდა ისევ ქართლში და გაილაშქრა დმანისის ასაღებად. ამ ქალაქის აღების შემდეგ მეფემ გაილაშქრა დარუბანდისკენ და აიღო ციხეები ლასანი და ხოზანდი მათ მიმდგომის ქვეყნებით. აქედგან დაბრუნებულმა აიღო სასომხეთის ციხეები გაგნი, ტეროონაკალი, ქავაზინი, ნორიბედი, მანასგომი და ტალინჯაქარი. ივნისში გაიარა ლაშქრით ჯავახეთი, კოლა, კარნიფორი და ბასიანი სპერამდის, ბუიათყური და ოლთისი. ეს ის ადგილები იყო, სადაც თურქები მალვით და მეკობრულად შემოდიოდენ და ცოტას თუ ბევრს ხანს რჩებოდენ. ამ სამხედრო გასეირებით მეფემ შიში მისცა მტრებს საკვლავოდ არ გაებედნათ შემოსვლა. ამის შემდეგ მეფე მოვიდა თრიალეთს და აქ დაითხოვა თავისი ჯარი. თითონ-კი წავიდა ჯავახეთში და ბოჟანოს წყაროზე დადგა მოსასვენებლად.

ბოჟანოში ყოფნის დროს მეფესთან მოვიდენ ანის სომხებისგან გამოგზანილი მოციქულები და სთხოვეს, რომ დაეჭირა როგორც ანის ქალაქი ისე მისი მიმდგომი ქვეყნები. დავით მეფემ მაშინვე მოიწვია ჯარი და სამის დღის შემდეგ მის წინაშე შეიკრიფა 60,000 კაცი. მეფე წავიდა ანის ქალაქისკენ და სამის დღის შემდეგ აიღო. ანის ქალაქთან დაიჭირა ყველა მის მიმდგომი ციხეები და ქვეყნები.

ტყვედ ჩაიგდო ანის ამირა აბულ სევარი მისი ოჯახით. ქალაქის მცველებად დააყენა მესხი აზნაურები, რომელთაც უფროსად დაუდგინა აბულლეთ ორბელიანი და მისი შვილი ივანე. ანში მცხოვრების სომხების სასიხარულოდ დავითმა ხელახლად აკურთხებია ის უმთავრესი საყდარი, რომელიც მეჩეთად ჰქონდათ გადაქცეული მუსულმანებს *).

ქართლში დაბრუნებულმა დავითმა აბულ სევარი თავის სახლობით გაგზანა საცხოვრებლად ათხაზეთში. რავდენსამე ხანს მოისვენა მეფემ და შემდეგ გაილაშქრა ისევ შირვანში, სადაც ქართველთა წინაამდეგი დასი მუდამ ინტრიგებს მართავდა შირვანშაჰის წინაამდეგ და განდგომილებას ახდენდა სხვადა-სხვა ქალაქებსა და მაზრებში. დავით მეფემ ამ გზობითაც აიღო შამახია, ციხე ბივრიტი და დაიჭირა მთელი შირვანი. ახლა კი საჭიროდ დაინახა ქართველი ჯარი ჩაეყენებინა შირვანის ციხე-ქალაქებში და გამგებლადაც ქართველი კაცი დაენიშნა. ციხე-ქალაქებში მცველებად დასტოვა ერელიკახელები, ხოლო გამგებლად ბედიელ-ალავერდელი ეპის ოპოსი სიმონი, რომელიც შემდეგში იყო ჭყონდიდლად.

ყივჩაყები თუმცა დიდს სამსახურს უწევდენ მეფეს და საქართველოს, მაგრამ თავიანთ მოუსვენ-

*) მათე ედესელი და ვარდანი (Additions p. 231, 232).

რობით აგრეთვე დიდს შეწუხებასაც აყენებდენ დავითს, რომელიც ხანდახან მისის სიმკაცრისათვის სასიკვდილოდაც არ დაუნდვიათ მათ მღელვარების დროს. დავითი ძალიან ბევრს სცდილობდა როგორმე დაემშვიდებინა და დაეწყნარებინა ეს უწესოებას შეჩვეული ხალხი, და ბოლოს კიდევაც მიაღწია თავის მიზანს. შირვანითგან დაბრუნებულმა უკანასკნელად კიდევ მოაწყო საუკეთესოდ ყივჩაყების საქმე, მიუჩინა მათ საზამთრო ბინები, გაუჩინა საზრდელი და დაუყენა გამგებლები.

გაზაფხულისათვის მეფე ახალს პლანებს აწყობდა, უნდოდა თავისგან ადგენილი და გაძლიერებული საქართველო გაემტკიცებინა და საშვილიშვილოდ გაემაგრებინა მტერთა წინაამდეგ, მაგრამ ბედმა აღარ მასცა მას ნება გაეხორციელებინა თავისი აზრები. იმ ზამთარს ავად შეიქნა და გამოესალმა წუთისოფელს 24 იანვარს 1125 წ. *)

*) მათე ედესელის თქმით, 1125 წ. საქართველოს შემოესიენ ამირა იბრაიმი, ანციოის მთავარი დაუთი და სხვა ამირები დიდ-ძალის ჯარით. დავით მეფე შეეგება მათ და უკუაგდო დიდის ზიანით. მტერთა დევნის დროს ხუთის დღის გამავლობაში დავითმა აავსო მთა და ბარი მათ სისხლითა და გვამებით (იხ. H. d. G, Additions p. 231). ჩვენის ფიქრით, ეს ამბავი უნდა მომხდარიყოს 1124 წ., როდესაც ჩვენ ვხედავთ დავით მეფეს მტრებთან მებრძოლს სხვა-და-სხვა მხრით.

IX.

დავით მეფის მოღვაწეობა.

დავით მეფე იყო ტანადი და ღონიერი კაცი მშვენიერის სახისა, მამაცი და მეტად გამბედავი, გონებით მკვირცხლი და წინდახედული, ხასიათით მშვიდობიანი, აუჩქარებელი და მაგარი, გულით მოწყალე და შემბრალებელი. ამ მშვენიერის თვისებებით სავსემ, დავითმა მიიღო თავის დროსთვის საუკეთესო აღზრდა და სწავლა, რისგამო იგი შეიქნა ნამდვილი დროის შესაფერი მოღვაწე. დავით მეფის მოღვაწეობა ბევრნაირია.

პირველად, საქართველო საჭიროებდა მტრების ხელითგან გათავისუფლებას და გაერთიანებას. როგორც ზევით მოთხრობილია, დავითმა ეს მოახერხა თავის ვაჟკაცობით, გამჭრიახობით და მხედართმთავრულის ნიჭით. მის გამეფების დროს დაცემული, მტერთა ხელთ მყოფი და განაწილებული საქართველო მის ხელში გაძლიერდა, მტერთაგან გათავისუფლდა და დაიკავა მთელის კავკასიის სამხრეთი ნაწილი შავის ზღვითგან თეთრს ზღვამდე. დავითმა არ იცოდა შიში არავითარის დიდის მტრისა, ხშირად დაჰხვედრია ათჯერ და უფრო მეტჯერ დიდს ლაშქარს. იგი თითონაც ისე იბრძოდა, როგორც სხვა მეომრები ჯარის წინა რაზმებში და

მტერს სჯობნიდა არა მხოლოდ გულადობით და ვაჟკაცობით, არამედ ჭკვიანურად და მოსაზრებით არჩეულს დროს, ადგილს და რიგზე მტერთან შებმითაც. მას შეგნებული ჰქონდა მტრების მაგარი და სუსტი მხარე. აგრეთვე კარგად იცოდა თავისი ხალხის და ჯარის თვისება და ხასიათი და ამ ცოდნით სარგებლობდა მტრებთან შებრძოლების დროს.

ყივჩაყების მოწვევით დავითმა შეჰქმნა სამუდამო ჯარი, რომელიც ყოველს დროს იარაღში მზად იყო საომრად გასასვლელად. ამას გარდა, დააარსა-რა სამუდამო ჯარი, თვით ქართველთაგან ყოველის ცალკე შემთხვევისათვის გამოსული ჯარი გააუმჯობესა, რადგან სალაშქროდ გამოდიოდენ მხოლოდ კარგად შეიარაღებული და მხნე მეომრები.

გარეშე მტრების მოგერების შემდეგ საჭირო იყო შანაურის წესიერების გამტკიცება. დავითმა ესეც მოახერხა. მან ჩააჩუმა და მოიმორჩილა დიდებულნი, რომელთაც წინად მხოლოდ ვნება მოჰქონდათ ქვეყნისთვის თავიანთ გავლენით და მძლავრობით. მეფის სიტყვა კანონი შეიქნა ყველასათვის. ხელისუფლები ყველანი მის ბძანებას და დადგენილებას ასრულებდენ და ვისაც მეფე შენიშნავდა სისუსტეს ან ღალატს, მოურიდებლად სჯიდა, ხოლო აწინაურებდა მათ, ვინც მის ბძანებას რიგიანად და ერთგულად ასრულებდა. ასეთი წესიერება შეიტანა არამც თუ საერო უწყებაში, არამედ სასულიერო

უწყებაშიაც, რისთვისაც მან მოახდენინა საეკლესიო კრება. ისეთი ადმინისტრატიული და პოლიციური წესი შემოიღო დავითმა, რომ ყველაფერი, რაც სახელმწიფოში ხდებოდა, მეფის გაუგებარი არა რჩებოდა.

ამის გამოვე დამყარდა სამართლიანობა. ყველას ერთნაირის მიუდგომლობით ასამართლებდენ მეფისაგან დაყენებული მოსამართლეები, რომლების მოქმედებასაც თვალ-ყურს ადევნებდა იგი.

მეფე თავის სამეფოს ყოველის კუთხისთვის ერთგვარად ზრუნავდა. ამიტომ იგი მუდამ გადადიოდა ერთის ადგილითგან მეორეში, იგი ხან ქართლში იყო, ხან კახეთში, ხან იმერეთში და ხან აფხაზეთში.

შინაურის წესიერებისათვის და ეკონომიურის გავითარებისათვის საჭირო იყო გზები და ხიდები. დავით მეფეც არაფერს იშურებდა და აკეთებდა მკვიდრს ხიდებს და ქვაფენილს გზებს.

ხოლო თავი და თავი საშუალება, რომელსაც შეეძლო ხელი შეეწყო დავითის მოღვაწობისათვის ქვეყნის საკეთილდღეოდ, იყო ქართველობაში სწავლა-ცოდნის გავრცელება და ქრისტიანულის სარწმუნოების დამყარება. სომხის ისტორიკოსი ვარდანი მოგვითხრობს, რომ დავით მეფემ აარჩია 40 ქართველი ყმაწვილი და გაგზანა ბიზანტიაში იმ მიზნით, რომ შეესწავლათ უცხო ენები და შემდეგ

გადმოეთარგმნათ ამ ენებითგან ქართულად წიგნები *). თვითონაც ისეთი დიდი მოყვარული იყო წიგნებისა, რომ მათ კითხვას ნადირობისა და ლაშქრობის დროსაც არ სტოვებდა. მემატიანის თქმით, ერთის წლის გამავლობაში სამოციქულო ორმოცჯერ ჰქონდა წაკითხული. არა მხოლოდ საქრისტიანო სასულიერო წიგნებს კითხულობდა, არამედ მუსულმანთა წიგნებსაც, მაგ. ყორანს და სხვათა. როდესაც მეფემ ტფილისი აიღო, დიდის მოწყალებით მოეკიდა მუსულმანთა სჯულის მოძღვრებს, პოეტებს და მეცნიერებს. მისცა მათ უხვად საჩუქრები, დაუნიშნა პენსია და, რომელთაც არ ინდომეს დარჩენა ტფილისში, მათ მისცა საგზაო ფული სპარსეთში წასასვლელად.

როგორც ყველგან მაშინ, საქართველოშიაც სწავლა-ცოდნის მიმდევრები და გამავრცელებლები უმთავრესად სასულიერო პირები იყვენ და სასწავლებლებიც მონასტრებში ჰქონდათ. ამისათვის მეფე დიდად ზრუნავდა სასულიერო პირებისათვის და საყდარ-მონასტრებისთვის.

დავით მეფემ დაიწყო 1106 წელს შენება გელათის მონასტრისა, რომელიც მის აზრით უნდა გამხდარიყო მეორე ათონად, ე. ი. ბინად სწავლა-განათლებისა და მწიგნობრობისა. თვით ეკლესიის

*) H. d. G. (Additions, p. 233).

მოთავება დავითმა თუმცა ვერ მოასწრო თავისს სიცოცხლეში, მაგრამ დააწესა-კი მონასტერი, სადაც თავი მოუყარა ყველა იმ ქართველთ, ვინც-კი გათქმულნი იყვენ მაშინ თავიანთ მოღვაწეობით, როგორც საქართველოს ისე უცხოეთის სხვა-და-სხვა

გელათის ეკლესია.

მონასტრებში. დავითმა ააშენა აგრეთვე შიო მღვიმელის უდაბნოში უმთავრესი ეკლესია და აგრეთვე ბევრგან სხვაგან. საქართველოს გარეშე მან ააშენა ეკლესიები სინას მთაზე და იერუსალიმში. დავითის შემწეობით და მფარველობით გაიხსნა რავდენიმე უმაღლესი სასწავლებელი ანუ აკადემია.

საყდარ-მონასტრების აშენებასთან და მათთვის მამულების შეწირვასთან დავითი მფარველობდა უბრალო სამღვდელოებასაც, რომელიც იყო ნამდვილი ამზრდელი და გამანათლებელი ხალხისა. მის დრომდე დაბალი სამღვდელოება არაფრით გაირჩევოდა დაბალის საერო წოდებისაგან, რომლითგანაც ის გამოდიოდა. დავით მეფემ გაათავისუფლა სამღვდელობა ყოველის სახელმწიფო გადასახადისაგან და ბეგრისაგან და ამნაირად დიდი უპირატესობა მისცა თავიანთ დანიშნულების შესასრულებლად.

მართლ-მადიდებელის ქრისტიანის სამღვდელოების და სარწმუნოების მფარველობა დავით მეფეს ფანატიზმით და ბრმა მორწმუნეობით-კი არ მოსდიოდა, არამედ იმ სარგებლობის შეგნებით, რომელიც მათ მოჰქონდათ ქვეყნისთვის. ეს იქითგან ჩანს, რომ დავით მეფე დიდის პატივისცემით ეკიდებოდა როგორც სომხის სამღვდელოებას და საყდარ-მონასტრებს, ისე მუსულმანთა სასულიერო პირთ და მეჩითებს. სომხის ისტორიკოსის მოწმობით, მეფე დავითი ხშირად მიდიოდა სომხის სამღვდელო პირებთან და იღებდა მათგან ლოცვა-კურთხევას. *) ხოლო მუსულმანთა ისტორიკოსნი მოწმობენ, რომ მეფეს კარგათ ჰქონდა გაცნობილი

*) ვარდანი (Additions, p. 233).

მუსულმანთა სარწმუნოება, დადიოდა მუსულმანთა მეჩითში, ისმენდა იქ ლოცვას და ხშირად ებაასებოდა ყადებს ყორანის შესახებ *).

დავითს, როგორც ნამდვილს ქრისტიანს, არ მოსწონდა ის განხეთქილება, რომელიც არსებობდა მართლმადიდებელთა და გრიგორიანთა შორის. იმას გულით სურდა ამ განხეთქილების მოსპობა და ერთობის დამკვიდრება და ამიტომ მოახდინა კრება მართლმადიდებელთა და გრიგორიანთა სამღვდელოების წამომადგენელთა საერთო სარწმუნოებრივს კითხვებზე მოსალაპარაკებლად და მოსათანხმებლად. მართლაც კრებაზე გაიმართა მოლაპარაკება. თვით დავითმაც მიიღო მონაწილეობა, მაგრამ არაფერი შედეგი არ მოჰყვა ამ მოლაპარაკებას და ორივე ეკლესია გაცალკევებულნი დარჩენ. მხოლოდ დავით მეფის მიერ წამოთქმულმა აზრებმა საშინლად გააკვირვა გრიგორიანთა სამღვდელოება თავის გონივრულობით და საფუძვლიანობით, რაიცა მან ხმამაღლა აღიარა მეფისავე წინაშე.

დავრდომილთა და სნეულთა თანაგრძნობამ აფიქრებინა მეფე დავითს დაეარსებინა ქსენონი ანუ საავადმყოფო სახლი, სადაც იკრიბებოდენ ყოველგვარის სენით შეპყრობილნი და სადაც მათ უვლიდენ და სწამლობდენ ამ სნეულთა მოვლასა და

*) მაჰმედ ელ-ჰამექი (Additions, p. 237).

წამლობაში დახელოვნებულნი პირნი. მეფე თითონაც ხშირად დაიარებოდა ამ ქსენონში, ყურს უგდებდა რანაირად უვლიდენ ავადმყოფებს და როგორ სწამლობდენ. თვითონ ავადმყოფებსაც ელაპარაკებოდა, ამხნევებდა და ანუგეშებდა.

კაცთ-მოყვარეობით აღსავსე მეფე დავითი ათავისუფლებდა ბლომად ტყვეებს, რომლებიც ქართველებს რჩებოდათ მტრებზედ გამარჯვების შემდეგ, ხოლო გლახებს და ღარიბებს უხვად ურიგებდა მოწყალებას.

ამისთანა საქმეების ჩამდენი მეფე, ცხადია, შეუყვარდებოდა ხალხს და მართლაც არამც თუ უყვარდა, არამედ წმინდანადაც ხდიდა მას. თითქო თვით განგებაც მოწმობდა მის სიწმინდეს. განგების წყალობის ნიშნებს ხალხი ხედავდა როგორც მის საზოგადო საქმეებში, ისე კერძო ცხოვრებაშიაც. ერთხელ, ერთის ციხის აღების შემდეგ, მეფეს ზედ გულზედ მოხვდა მარჯვედ გამოსროლილი ისარი, მაგრამ გადარჩა სიკვდალს იმიტომ, რომ ისარს და გულს შუა მოჰყვა გულზედ საკიდი მაცხოვრის ხატი. გელათის ეკლესიის შენების დროს მეფე ჩამოვარდა კედლითგან და მძიმედ დაშავდა, აგრეთვე რამდენჯერმე ჩამოვარდა ცხენითგან და ძლიერ დაშავდა, რამდენჯერმე მძიმედ დაიჭრა გაცხარებულს ომში, რამდენჯერმე მის ხასიათის სიმტკიცით და წესიერებით უკმაყოფილო ყივჩაყებმა გაიზრახეს

ღალატით მოკვლა მისი, მაგრამ ყველა ამ განსაცდელს სასწაულებრივ გადარჩა მეფე და სიკვდილამდე მიაწია ჯანმრთელად.

აი, ამ ღვაწლისათვის დავით მეფეს ერმა უწოდა აღმაშენებელი, ხოლო ეკლესიამ ჩარიცხა წმინდათა შორის და მის ხსენების დღესასწაული დაუწესა 26 იანვარს.

X.

დავით მეფის ოჯახი.— დიმიტრის მეფედ გამოცხადება.— დავითის ანდერძი.

დავით მეფე იყო ერთად-ერთი შვილი გიორგი მეფისა და ელენე დედოფლისა. *) მას ამიტომ ადრევე შერთეს ყივჩაყთ მთავრის ათრაქა შარაღანიძის ასული გურანდუხტი, რომელიც დიდხანს არ შერჩა. მის სიკვდილის შემდეგ დავითმა შეირთო, როგორც მოწმობენ სომხის ისტორიკოსნი, სომხის ქალი. მეფეს პირველის ცოლისაგან ეყოლა ასული თამარ, ხოლო მეორე ცოლისაგან ასული კატა და ძენი დიმიტრი და ვახტანგი (ანუ ცვატა). პირველი ქალი მეფემ მიათხოვა ცოლად შირვანის მფლობელს აღსართანს, ხოლო მეორე საბერძნეთის იმპერატორის შვილს ალექსის (1116 წ.) **).

*) ქრონიკები თ. ჟორდანიასი, ტ. I, გვ. 234.

**) იქვე გვ. 240.

დავით მეფეს განზრახვა ჰქონდა თავის სიცოცხლეშივე გაემეფებინა ძე თვისი დიმიტრი და თითონ დაესვენა, მაგრამ უდროოდ მოასწრო სიკვდილმა. სიკვდილის წინა დღეებში დავით მეფემ შეკრიბა დიდებულნი და მათ დასწრებით დალოცა მეფედ თავისი შვილი დიმიტრი, რომელსაც თითონვე დაადგა მეფის გვირგვინი. უკანასკნელი თავისი სურვილი მეფემ გამოსთქვა ანდერძში, რომელიც მის სიტყვით დაწერა მისმა მოძღვარმა არსენ იყალთოელმა.

ამ ანდერძით მეფე უტოვებს დიმიტრის სამეფოს. მასვე მიანდობს დედოფალს და და-ძმათა, რომელთათვისაც ეკედრება პატივისცემას, ხოლო კერძოდ ცვატას შესახებ სთხოვს აზარდოს და, თუ ვარგოდეს, თავის შემდეგ მეფობა მას გადასცეს. დიმიტრის აძლევს აგრეთვე ძელს ცხოვრებისას, დროშას, სამეფო აბჯარს და საჭურჭლეებს (ზემოთა და ქვემოთა). ცვატას უტოვებს კონსტანტინეს დრაკანებს; ლალებს და თვალ-მარგალიტებს სწირავს ხახულის ღვთის მშობელს. ატენის საჭურჭლის დუკატების და ბოტინატების *) შესახებ მეფე სთხოვს დიმიტრის, რომ, თუ შეეძლოს, მათი ნახევარი გადასცეს მის მოძღვარს, რომელმაც უნდა

*) დრაკანი, დუკატი, ბოტინატი—ბიზანტიურის ფულის სახელებია.

მონასტრებს მისცეს მის სულისათვის სალოცავად. მეფე სთხოვს აგრეთვე დიმიტრის, რომ დაასრულოს გელათის ეკლესია „სალოცავი მისი და საძვალე შვილთა მისთა“ და რაც ამ მონასტრისათვის შეუწირია, არა მოაკლოს-რა მათგან, ხოლო იმ ადგილთაგან, რომელნიც მეფემ უმკვიდრონი დასტოვა, შესწიროს მონასტერს, რაც ბერმა არსენმა და კათალიკოზმა გამოარჩიონ.

მიცვალებული მეფე ტფილისით წაასვენეს გელათს და დაკრძალეს ცალკე ადგილს, დიდის ეკლესიის გარეთ. საფლავის ქვაზედ ამოაჭრევინეს შემდეგი წარწერა: **ესე ჰრს განსასვენებელი ჩემა უკუნითი უკუნისამდე. ამას დაგემკვიდრო, რამეთუ მთნავს ესე.**

დიმიტრი I და დავით III.

I.

ბრძოლა მტრებთან.

დიმიტრის მეფობაზე, რომელიც გაგრძელდა 1125 წლითგან 1155 წლამდე, ჩვენი ქართული მატიანე თითქმის არავითარს ცნობას არ იძლევა და, თუ რავდენიმე ფაქტი ვიცით იმის დროსი, ეს სომხის ისტორიკოსების წყალობით. ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, რომ დიმიტრის მეფობის ისტორია იქნებოდა დაწერილი თავისს დროზე, მაგრამ იგი დაკარგულა, ან მოსპობილა რამე მიზეზით.

პირველი ფაქტი დიმიტრის მეფობის დროსი არის ანის ქალაქის დაჭერა, რომელსაც ასე მოგვითხრობს თანამედროვე სომხის ისტორიკოსი თვით ანის მცხოვრებელი, საშუელ ანელად წოდებული.

დავითისაგან დატყვევებულის და აფხაზეთში დასახლებულის ანის ქალაქის მფლობელის აბულ სევარის შვილი ფადლონი მამის დატყვევებამდე სპარსეთში იყო წასული და მას აქეთ ის ცდილობდა

ანის ხელახლად დაჭერას. დავით აღმაშენებელის სიკვდილის შემდეგ ფადლონმა იშოვა სპარსეთის ჯარი, მიადგა ანს და ალყა შეჰკრა. ამ ქალაქის გამგებელი აბულეთ ორბელიანი და მისი შვილი ივანე მხნედ იცავდენ ქალაქს და იგერებდენ მტერს, მაგრამ მტერმა ძალიან გაუჭირა საქმე მცხოვრებლებს. სანოვაგის შეტანა ქალაქში გაძნელდა და ამის გამო გაჩნდა სიმშილობა. ბევრმა მოინდომა ქალაქითგან გამოსვლა და სიმშილისაგან გადარჩენა, მაგრამ ფადლონი არც იმათ ასვენებდა, თავს ესხმოდა, ხოცავდა, ატყვევებდა და ჰყიდდა. შეშინებულმა მცხოვრებლებმა გამართეს მოლაპარაკება ფადლონთან, აუთქვეს გადაეცა მისთვის ქალაქი, თუ იგი შურს არ იძიებდა მათზე მისი მამის აბულ-სევარის ღალატისათვის. ფადლონი დაჰპირდა ამ პირობის შესრულებას და ანელებმა გაუღეს კარები. ქართველი ჯარი და ქალაქის გამგებელი ორბელიანი იძულებულები შეიქნენ დაენებებინათ თავი ანისათვის *).

თუმცა სამუელ ანელი ამბობს, რომ ფადლონისაგან ანის გარემოცვა ერთს წელიწადს გაგრძელდაო, ეს დასაჯერებელი არ არის, რადგან ძნელი წამოსადგენია, რომ ასე დიდის ხნის გამავლობა-

*) სამუელ ანელი (იხ. Collection d'historiens arméniens, t. II, p. 461).

ში დიმიტრის არ გაეგზანოს მეშველი ჯარი. შესაძლებელია, ფადლონი ერთის წლის გამავლობაში რავდენჯერმე მისდგომოდეს ანს და ყოველთვის უკუქცეულს მხოლოდ უკანასკნელად მოეხერხებინოს ქალაქის ხელში ჩაგდება, მაგრამ უფრო ჭკუას ახლო იქნება ვიფიქროთ, რომ ფადლონმა ანი ხელთ იგდო სწრაფის და მოულოდნელის თავდასხმით, რის გამოც დიმიტრიმ ვერ მოასწრო შველა. ამას ემოწმება ვარდანი, რომელიც სწერს, რომ ხორასანში მყოფი აბულ სევარის შვილი ფადლონი, გაიგო თუ არა დავით აღმაშენებელის სიკვდილი, გამოემართა ანისკენ და მოსთხოვა აბულეთ ორბელიანს და ქალაქის წარჩინებულს მცხოვრებლებს გადაეცათ ქალაქი მისთვის. ორბელიანმა მცხოვრებთა უბედურების ასაცილებლად აიღო და ქალაქი გადასცა *).

ჩვენ ვფიქრობთ, ფადლონს უნდა გამოეცხადებინოს საქართველოს მეფის მორჩილობა და ერთგულობა და ამიტომაც დიმიტრიმ დაამტკიცა იგი ანის გამგებლად და წინაამდეგობა არ გაუწია. ამას გვაფიქრებინებს მათე ედესელის სიტყვები, რომ დიმიტრიმ ანი დაუბრუნა აბულ სევარის შვილებს და ჩამოართვა ფიცი მორჩილობისა და ერთგულობისაო **). ამნაირად, მართალია, ანში ძველის მფლო-

*) იხ. Additions, pp. 233—234.

**) იქვე გვ. 231.

ბელის ჩამომავალი დაბრუნდა, მაგრამ ქალაქი მაინც საქართველოს ხელქვეითად დარჩა. მეფე დიმიტრი არ გამოეკიდა ფადლონის თავნებობით და თავდასხმით ანის დაჭერას, უეჭველია, იმიტომ რომ ორბელიანის ანში გამგებლად ყოფნა სასურველი არ იყო მისთვის. ეს ამბავი სომხის ისტორიკოსთა მოწმობით მოხდა 1126 წ.

ფადლონის საქციელმა მუსულმანებს აფიქრებინა, რომ საქართველოს ის ღონე აღარა ჰქონდა, რაც დავითის დროსა, და გააბედვინა როგორც თვით საქართველოში მცხოვრებთ ისე მოსაზღვრეთ იარაღის აღება საქართველოს წინაამდეგ. ადირბეჟანის მმართველი ყარასონღული შემოესია 1128 წ. საქართველოს საზღვრებს და მისგან დაიმედებულმა ხუნანისა და დმანისის მცხოვრებმა მუსულმანებმაც მოინდომეს დიმიტრისაგან გადგომა. დიმიტრი მეფემ ყარასონღულის წინაამდეგ და აგრეთვე ხუნანისა და დმანისის დასაჭერად გაგზანა ჯარი, რომელსაც უფროსობდენ აბულეთ ორბელიანი შვილით ივანეთი და ივანე ორბელიანი შვილით სუმბათითურთ. ქართველებმა დაიჭირეს გადგომილი ქალაქები ხუნანი და დმანისი და დაამარცხეს ყარასონღული, რომელიც გაიქცა და გამაგრადა ადირბეჟანის ერთს ციხეში *).

*) სამუელ ანელი (Collection, t. II, p. 463).

დამარცხებულმა მუსულმანებმა კიდევ სცადეს საქართველოს საზღვრებზე თავდასხმა 1130 თუ 1132 წ. ადირბეჟანის ამირა კლინი დაეცა დოვინს და ტყვედ ჩაიგდო ანის მფლობელი და კიდევაც მოაკვლევინა საწამლავით. ანის მფლობელად შეიქნა ჯერ ერთი ძმა ქუშლერი, მის შემდეგ მეორე ძმა მაჰმადი *).

სამაგიეროს გადასახდელად და ადირბეჟანის მუსულმანების დასაწყნარებლად დიმიტრი მეფემ გაგზანა ქართველი ჯარი 1135 წ. აბულეთ და ივანე ორბელიანების წინამძღოლობით. ქართველები შეებრძოლენ გარნისზე ამირა ელდიგუზს, რომელმაც დაამარცხა ქართველები და დაატყვევა თვით ორბელიანებიც მამა-შვილი. ელდიგუზმა დახოცილის ქართველების თავები დააჭრევინა, მოახარშვინა და თავის-ქალები დააწყობინა მინარეთის სახურავებზე და ქალაქის კედლებზე **).

1137 წ. დიმიტრი მეფემ ხელ-ახლად გაილაშქრა და ტყვეობითგან დაიხსნა ორბელიანები, ხოლო ორის წლის შემდეგ 1139 წ. იმავე ორბელიანთა წინამძღოლობით გაგზანა ჯარი ყარასონღულის წინაამდეგ. მოხდა ბრძოლა ხაჩინში, სადაც მუსულ-

*) ვარდანი (იხ. Additions, p. 245).

**) ვარდანი (იქვე გვ. 246), სამუელ ანელი (იხ. Collection, p. 463).

მანებმა გაიმარჯვეს ქართველებზედ. *) ამის გაგებისათანავე თვით მეფემ გაილაშქრა ადირბეჟანში. სწორეთ ამ ლაშქრობის დროს მოხდა მიწის ძვრა, რომელმაც დაანგრია განჯა. დიმიტრი მეფემ ისარგებლა ამ შემთხვევით და ვაეშურა განჯისკენ, აიღო ეს ქალაქი და აიალაფა. გამარჯვების ნიშნად მეფემ ჩამოაღებინა ქალაქის რკინის კარები და გადმოატანინა საქართველოში, სადაც შესწირა გელათის ტაძარს **).

საქართველოს მტრები ამის შემდეგ მიწყნარდენ და აღარ შემოსულან მის საზღვრებში 1153 წლამდე, როდესაც ერზრუმის მფლობელი სალდუხი თავის ჯარით მიადგა ანის ქალაქს. მეფემ ანის დასაცველად გაგზანა ჯარი, რომელმაც დაამარცხა მტრები და დატყვევა თვით სალდუხი ***).

II.

შინაური არეულობა.

დიმიტრის მეფობაში თავი იჩინა შინაურმა განხეთქილებამ. მეფეს ჰყავდა ორი შვილი—დავითი და

*) სამუელ ანელი (Additions, p. 246).

**) კირაკოზი (Additions, p. 246), ქრონიკები თ. ჟორდანიასი ტ. I, გვ. 248.

***) სამუელ ანელი (Collection, p. 465) და იბნალათირი (იხ. არაბთა და სპარსელთ მწერალთა ცნობანი „მოამბეში“

გიორგი, რომელთაც ერთმანეთში უსიამოვნება და ქიშპობა ჰქონდათ. მამას უფრო უმცროსი შვილი უყვარდა. ამით სარგებლობდენ ზოგიერთი დიდებულები, მაგ. ორბელიანები, და თავიანთ პირადის ინტერესით უფროსს შვილს დავითს აღელვებდენ დიმიტრი მეფისა და გიორგის წინაამდეგ *). ამის გამო დავითი შეიქნა მამის ურჩი და უფრო შეაძულა მას თავი. საქმე ისე გამწვავდა, რომ დიმიტრიმ წესის მიუხედავად მოინდომა თავის მემკვიდრეობა უმცროსის შვილის გიორგისთვის გადაეცა და კიდევაც შეასრულა ეს სურვილი 1150 წ., როდესაც მეფედ გამოაცხადა გიორგი და ცოლად უთხოვა ოსეთის მეფის ქალი ბურდუხან. ამ ამბით აღელვებული დავითი გაუდგა თავის მამას და თავის მხრით

1897 წ. № XI გვ. 9). ეს ამბავი მოხსენებულია აგრეთვე თამარ მეფის მემატიანისაგან.

*) ვარდანი ამ შინაურს განხეთქილებას ცოტა სხვანაირად მოგვითხრობს. მის სიტყვით გამოდის, ვითომ დიმიტრი მეფის და მის ძმის გიორგის შორის ყოფილიყვეს უსიამოვნება და მათ ურთიერთობაში მიეღოთ მონაწილეობა ორბელიანთ. დიმიტრი მეფეს არა ჰყოლია ძმა გიორგი და არც არავითარი ნიშანი ჩანს ქართულს წყაროებში დიმიტრის და მის ძმის (ვახტანგის ან ცვატას) შორის განხეთქილებისა იმ დროს, როდესაც დიმიტრისა და მის შვილის დავითის შორის განხეთქილება ცხადია. ვარდანს, უეჭველია, დიმიტრის შვილი გიორგი მის ძმად მიუღია და საქმის გარემოებაც აურ-დაურევია (Additions, p. 245).

მოინდომა მამა ტახტითგან ჩამოეგდო და თვით გამეფებულიყო. დავითის უმთავრესი წამქეზებელნი იყვენ ივანე და თირქაშ ორბელიანები, აბულეთის ძენი. დიმიტრი მეფემ მოაკვლევინა ივანე ორბელიანი, თითქაში-კი გაიქცა შაჰერმანთან, რომელმაც ის დააბინავა არშარუნში. აქედგან თირქაში მუსულმანთა ჯარით ხშირად ეცემოდა საქართველოს საზღვრებს და აოხრებდა *). ერთის ამისთანა თავდასხმის დროს თირქაში დაიჭირეს და მეფემ იგი დაამწყვდევინა ციხეში.

თუმცა ამხანად დავითს არ წაემართა ხელი, ის მაინც თავისას არ იშლიდა და ცდილობდა ძალით აეღებინებინა დიმიტრისთვის მეფობაზე ხელი და თითონ გამეფებულიყო. 1155 წ. დავითმა კიდეც შეასრულა თავისი წადილი ჩამოაგდო თავისი მამა ტახტითგან და თითონ გამეფდა. ამ ცვლილების დროს დავითმა ამოხოცა და გადევნა საქართველოთგან ბევრნი დიდებულნი, რომელნიც მის მამის ერთგულნი იყვენ. მამა-კი იძულებული ჰყო ბერად შემდგარიყო. ბერობაში დიმიტრიმ თავი იწოდა დანიელად **).

*) ვარდანი (იხ. Additions, p. 247).

**) ქრონიკები თ. ჟორდანიასი, ტ. I, გვ. 258.

III.

დავით III-ის მეფობა.

დავითმა იმეფა ძალიან მცირე ხანს—ექვსს თვეს. თავის საქციელით იმან შეაძულა თავი მამას, ძმას და ბევრს დიდებულს, რომელთაც ის სდევნიდა, სამაგიეროდ სწყალობდა თავის მომხრეებს. ვარდანის თქმით, თირქაშ ორბელიანი გამოიყვანა საპყრობილითგან და ამირსპასალარობა მისცა, რითაც ძალიან აწყენინა სუმბატ ორბელიანს, რომელსაც ეჭირა ეს თანამდებობა დიმიტრის დროს და რომლის ჩაგონებითაც დავით მეფე მოწამლეს *). სიკვდილის წინ დავითმა მიიწვია თავისთან ძმა თავისი გიორგი, კათოლიკოზი და დიდებულები და მათ გამოუცხადა სურვილი, რომ მის სიკვდილის შემდეგ მეფედ ყოფილიყო ყრმა შვილი მისი დიმიტრი, რომლის სრულ-წლოვანობამდე სამეფოს გამგებლად უნდა ყოფილიყო ძმა მისი გიორგი. დიმიტრის ამზრდელად დავითმა დანიშნა ივანე ორბელიანი, სუმბათის შვილი. ამასთან დავითმა აიყვანა ხელში იქვე მყოფი დიმიტრი, გამოეთხოვა კოცნით და გადასცა ხელში ივანე ორბელიანს, ხოლო დამსწრე დიდებულებს სთხოვა ერთგულობა გაეწიათ ყრმისა-

*) Additions, p. 247.

თვის *). ამის შემდეგ მოკვდა დავით მეფე (1156 წ.). მართალია, დავითმა თავისი ტახტი უანდერძა თავის შვილს დიმიტრის, მაგრამ გიორგიმ კანონიერად არ ჩათვალა მისი განკარგულება. დავითის სიკვდილის დროს ცოცხალი იყო კიდევ დიმიტრი მეფე, რომელიც დავითმა ძალით ჩამოაგდო ტახტითგან და იძულებულ-ჰყო ბერად შესულიყო. რიგით ტახტი ისევ დიმიტრის უნდა დაბრუნებოდა, მაგრამ მან აღარ ინება ბერობის მიტოვება და თავისი უფლება დაუ-ლოცა გიორგის, როგორც ეს წინადაც ჰქონდა გადაწყვეტილი. ამ საფუძვლით დავითის შემდეგ მეფედ შეიქნა ძმა მისი გიორგი 1156 წ. ამავე წელს მოკვდა მამა მისი დიმიტრი მეფე, ბერობაში დანიელი.

*) სტეფანოზ ორბელიანი (Histoire de la Siounie, pp. 216—217).

მეფე გიორგი III.

I.

ლაშქრობანი და ბრძოლანი.

პირველი საგანი, რომელსაც გიორგიმ გამეფებისათანავე მიაქცია ყურადღება, იყო ანის ქალაქის საქმე. 1156 წ. სომხის სამღვდელოების დახმარებით ფადლონმა წაართვა ამ ქალაქის გამგებლობა თავის ძმას შადადს *). როგორც ერთი ისე მეორე ცდილობდენ დაეღწიათ თავი საქართველოს მეფეთა დამოკიდებულებისაგან. ძმათა დავიდარაბის მოსასპობად და ქალაქის დასამორჩილებლად გიორგი მეფე გაემართა ანისკენ 1161 წ. ქართველები გარს ადგენ ქალაქს სამის დღის გამავლობაში და აიძულეს ქალაქი დამორჩილებოდა. მეფემ ჩამოართვა ფადლონს ქალაქის გამგებლობა და გამგებლად დააყენა მანდატურთუხუცესი ივანე ორბელიანი და მის თანაშემწედ ამირსპასალარი სარგის მხარგძელი.

შაჰერმანის დასასჯელად გიორგიმ ანის დაჭერის შემდეგ გაილაშქრა მის სამფლობელოში—აშორნის

*) იხ. არაბთა და სპარსელთ მწერალთა ცნობანი, „მოამბე“ 1897 წ. № XI, გვ. 9.

ქვეყანაში. იქითგან დაბრუნებულმა ანში დასტოვა მეციხოვნეები და დაბრუნდა ქართლში.

შაჰერმანმა თავის მხრით მოინდომა სამაგიეროს გადახდა და ანის წართმევა. მან ამ აზრით სთხოვა შემწეობა შამის (სირიის), ჯაზირის (მესოპოტამიის), დიარბექირის და ერზრუმის მფლობელებსა და დიდის ლაშქრით მიადგა ანს ამავე წლის (1161) მკათათვის გასულს. გიორგი მეფემ ეს ამბავი შეიტყო ნაჭარმაგევში და გასცა ბძანება ჯარი შეკრებილიყო ფიცხლად. მაგრამ მთელის ჯარის შეკრების ცდა აღარ შეიძლებოდა და ამერეთის ზოგიერთის კუთხით მოსულის ჯარით მეფე გაემართა ანისკენ. მეფეს ურჩევდენ მწიგნობართ-უხუცესი ივანე და სუმბატ ორბელიანი (მაშინ ბერად შემდგარი სახელად სვიმონ), რომ ასეთის მცირე ჯარით არ შებმოდა მტერს. მეფემ არ დაუჯერა მათ და გასწია მტრისაკენ. როდესაც მტერთა აუარებელი რიცხვი გამოჩნდა, გიორგი მეფე გადმოხტა ცხენითგან და დაიწყო ლოცვა, შემდეგ მისცა იოანე მწიგნობართ-უხუცესს ძელი ცხოვრებისა, რომ წინ გასძღოლოდა ჯარს, ხოლო თითონ მიმართა მას გამამხნევებელის სიტყვებით. ამის შემდეგ გიორგი მეფე თავის რაზმით მიესია მტერს, გულდაგულ გააპო მათი რაზმები და მივიდა მტრის დროშამდის, რომელიც ძირს დასცეს ქართველებმა. მტერი გაიქცა, ქართველებმა სდიეს მზის ჩასვლადე. გამარჯვებულებს

დარჩათ მრავალი ტყვეები და მტრის მთელი ბანაკი დიდის სიმდიდრით. სამუელ ანელის თქმით, ეს გამარჯვება მოხდა 1 მარიამობისთვეს 1161 წ. ამ ბრძოლაში მტრის რიცხვი იყო 80,000, ქართველთა 7,000. ტყვეთა რიცხვი იყო 23,000, ხოლო ვარდანის თქმით 40,000-იც *). ტყვეთა შორის იყო ერზრუმის მფლობელი სალდუხი, რომელიც, როგორც ზევით გვქონდა მოხსენებული, რვა წლის წინადაც ჩაუვარდა ტყვედ ისევ ანის ქალაქთან დიმიტრი მეფეს. როგორც წინად დიმიტრი მეფემ, ახლაც გაათავისუფლა გიორგი მეფემ სალდუხი მის დის ქელათის მეფის შაჰერმან სოკმანის ცოლის შაჰბანუს თხოვნით **).

გიორგი დარჩა ანში სამს დღეს. ამ ქალაქის ამირად დააყენა ანელი სომეხი სათუნი. ქალაქში დასტოვა მეციხოვნენი და წამოვიდა ტფილისს, სადაც დიდის ამბით დაუხვდენ ძლევამოსილს მეფეს.

ტყვეთა აუარებელის რიცხვის უკან დასაბრუნებლად მოსულის ათაბაგმა გამოუგზანა გიორგი მეფეს მოციქულად სირიის პატრიარქი ეგნატე. გიორგიმ დიდის პატივით მიიღო მოციქული და გაუშვა მრავალი ტყვე. პატრიარქს თითონაც გააყოლა ათა-

*) Collection, p. 465; Additions, p. 253.

**) იბნალათირი (არაბელთ და სპარსელთ მწერალთა ცნობანი, „მოამბე“ 1897 წ. № XI, გვ. 10).

ბაგთან თავისი მოციქული მხლებელის დარაჯით. როდესაც ქართველი მოციქული შევიდა მოსულის ქალაქში, მის სადარაჯო ჯარის კაცებს ეჭირათ შუბები, რომელთა წვერებზედ გაკეთებული იყო ჯვრები *).

ანში გამგებლად დაყენებული სათუნი არ გამოდგა სანდო კაცი. თავის მოქმედებით მან მალე აღძრა ეჭვი საქართველოს მთავრობისა: მეფის ნება-დაურთველად დაიწყო ქალაქის კედლების აგება და გამაგრება. მეფემ ამის გამო ჩამოართვა მას გამგებლობა და მის ადგილას გააწესა სარგის მხარგძელი. სათუნი გაიქცა ელდიგუზთან, მაგრამ მალე ჩაუვარდა ხელთ შაქის ერისთავს. ამან შეიპყრო იგი და გადასცა გიორგი მეფეს, რომელმაც დასაჯა იგი **).

სამეფოს ერთს მხარეზედ რომ სუსხი მისცა მტრებს, გიორგი მეფემ ახლა მეორე მხრითაც მოინდომა ეჩვენებინა თავისი ძალა, ამიტომ მან გაილაშქრა 1162 წელს მარიამობისთვეში დოვინისკენ, სადაც 1135 წ. ელდიგუზი ისე მხეცურად მოეკიდა დახოცილს ქართველებს. ქართველისა და კავკასიელთა მეშველის ჯარით გიორგიმ აიღო დოვინი და მისცა ცეცხლსა და მახვილს. დაიფარა მხოლოდ ქრისტიანები. მეფემ ჩამოაღებინა მინარეთითგან ქარ-

*) S.-Martin, t. II, p. 241.

**) ვარდანი (Additions, p. 253).

თველების თავის-ქალები, ჩაალაგებინა კუბოებში, რომელთაც ზევითგან გადააფარებინა ოქროქსოვილი, აჰკიდა მუყრებს და წააღებინა ფეხშიშველებს ტფილისში. *) თვით მინარეთი დაარღვია და ტყვეთ წამოიყვანა 60,000 კაცამდე **).

ადირბეჯანის მფლობელმა ელდიგუზმა სამაგიეროს გადახდა მოინდომა 1163 წ. და მოიწვია სხვა მუსულმანთა მფლობელნიც საქართველოზე გასალაშქრებლად. ჯერ კიდევ ყველა მოკავშირეებს არ მოეყარათ თავი, რომ ელდიგუზი შემოვიდა საქართველოს საზღვრებში, დაიჭირა გაგის ციხე და დაიწყო მის მიდამოების აკლება-აოხრება. ამის შემტყობმა გიორგი მეფემ ფიცხლად შეაგროვა ჯარი და გაემართა გაგისკენ. როდესაც ქართველები გადავიდენ ბუბაქრის მთაზე, მტერმა შეიტყო მათი მიახლოვება, სისწრაფით დასტოვა ყოველივე თავისი სანოვაგე და გაბრუნდა. ქართველების მოწინავე ჯარი დაეწია მტერს, როდესაც ის გადავიდა ეკლეცის წყალს. გიორგი მეფეს უნდოდა გამოსდევნებოდა გაქცეულს მტერს, მაგრამ დიდებულთ დაუშალეს იმ მოსაზრებით, რომ მძლავრი მტერი თითონ გარბის და ესეც საკმარისი გამარჯვებაა. გიორგიმ დაითხოვა ამის შემდეგ ჯარი და მცი-

*) იქვე გვ. 253 და 254.

**) სამუელ ანელი (Collection, p. 465) და მიქელ ანბორი (Additions, p. 255).

რეოდენის რაზმით დადგა ლორისა და დმანისის შორის, სადაც ნადირობა დაიწყო.

გაგითგან გაქცეული მტერი მივიდა გელაქუნს, სადაც მას შეუერთდა სულთან არსლანი. აქედგან ისინი გაემართენ ანისკენ. აქ მათ შეუერთდა კიდევ შაჰერმანი ჯარით. მტრების რიცხვი 50,000-მდე იყო *). ანის ციხის უფროსი თორელი მაგრა დაუხვდა გარშემორტყმულს მტერს და დიდის მოხერხებით იცავდა მისგან ქალაქს.

მტერთაგან ანის ქალაქის გარემოცვა შეიტყო გიორგი მეფემ ლორისა და დმანისის შუა მყოფობის დროს, როდესაც მასთან მივიდა სულთან არსლანის მოციქული. ამ მოციქულმა კარგად დაათვალიერა მეფის ძალ-ღონე და ყველაფერი მტერს შეატყობინა. მტერი მაშინვე გამოემართა გიორგისკენ ღამით და განთიადისას მივიდა მოულოდნელად მეფის ბანაკთან, სადაც ყველას ეძინა. შეიტყეს თუ არა მტრის თავდასხმა, ქართველები მოახტენ ცხენებს. გიორგის უნდოდა შებრძოლებოდა მტერს, მაგრამ ამირსპასალარმა ივანე ორბელიანმა და სხვა დიდებულთ თითქმის ძალად წამოიყვანეს, რომ გადაერჩინათ აუარებელის მტრისაგან. გამოქცეულს ქართველებს დაედევნენ მტრები. ქართველები გზა-

*) იბნალათირი (არაბელთ და სპარსელთ მწერალთა ცნობანი, „მოამბე“ 1897 წ. № XI, გვ. 11).

გზა უცებ შეჩერდებოდენ ხოლმე და ბრძოლას უწევდენ მეტად დაწინაურებულს მტრის რაზმებს, რითაც ბევრს აზიანებდენ მათ. ბოლოს იმისთანა ადგილს მოაწიეს, სადაც შეიძლებოდა გაჩერება და მტრის დახვედრა. მტრებმა რომ ვერაფერი დააკლეს ქართველებს, უკან გაბრუნდენ. შესანიშნავი ის არის, რომ ქართველებმა ამ უკან დაწევის და მტრების მოგერების დროს დაჰკარგეს მხოლოდ ორი კაცი: ჯვარის მტვირთველი ქანიძე და ერთი უბრალო აზნაური.

ანის ქალაქის მფლობელთა ჩამომავალნი არ ისვენებდენ და ცდილობდენ საქართველოს წინაამდეგ მოსაზღვრე მუსულმანთა მფლობელების აღძვრას თავიანთ ძველის სამფლობელოს დასაბრუნებლად. გიორგი მეფე ხედავდა, რომ იმათი დაწყნარება შეიძლებოდა მიფერებით და ძველის სამფლობელოს დაბრუნებით და ამიტოთ ამჯობინა თავის ნებითვე ანის ქალაქი მიეცა შადადიანთა გვარის წამომადგენელისათვის, თუ იგი მორჩილობასა და ერთგულობას შეჰფიცებდა. ამასვე სთხოვდენ გიორგის ხორასნის სულთანი და ელდიგუზ ათაბაგი. გიორგის და რუსუდან დედოფალიც, ხორასნის სულთნის ნაცოლარი, მათთან ზავის შეკვრას და ანის საქმის მშვიდობიანად გადაწყვეტას ურჩევდა. გიორგიმ მისცა ანი ასლანს, მაჰმადის შვილს, რომელმაც მორჩილობა და ერთგულობა შეჰფიცა.

ამ ნაირად ჩამოვარდა მშვიდობიანობა, მაგრამ ეს მშვიდობიანობა არაფრად ესიამოვნებოდათ ლაშქარს და დიდებულთ, რომელნიც მიჩვეულ იყვენ ლაშქრობით სიმდიდრის შეძენას. იმათ მოახსენეს მეფეს: „არა არს ღონე დარჩენისა ჩვენისა თვინიერ ლაშქრობისა და რბევისა“. მათ სათხოვრის დასაკმაყოფილებლად მეფემ ბძანება გამოსცა, რომ მოელაშქრათ და მოერბიათ ტაოელთ, კლარჯთ და შავშთა ოლითისი და ბანი, მესხთა და თორელთა ყარსი და აშორნი, ამირ-სპასალარის ჯარს და სომხითართ მტკვრის მარჯვენა მხარე განჯამდის, ლიხთ იმერთ და ქართლელთ განჯის ქვეით მტკვრის პირი ამიერ და იმიერ ხოლთამდის, ერელთა და კახელთა ალაზნის შესართავით ვიდრე შირვანამდის. ამ განკარგულების თანახმად ჯარმა მოილაშქრა და მოარბია ანიშნული ქვეყნები და დაიკმაყოფილა საშოვრის სურვილი.

ეს ლაშქრობა უნდა ყოფილიყო 1166 წ., როდესაც მუსულმანთა ისტორიკოსი იბნალათირი მოიხსენიებს, რომ ქართველები შევიდენ არანში და განჯამდის მიაღწიეს, ბევრი მუსულმანი დახოცეს და მრავალი ქალი ტყვედ წაიყვანესო *).

როგორც უკვე მოთხრობილითგან სჩანს, შირვანსა და დარუბანდს შუა გამუდმებული მტრობა

*) იხ. „მოამბე“ 1897 წ. № XI. არაბელთ და სპარსელთ მწერალთა ცნობანი, გვ. 15.

იყო. დარუბანდელების წინაამდეგ საქართველოს მეფეები ყოველთვის შველოდენ მათ ერთგულს და მორჩილს შირვანის მფლობელებს, რომელნიც ნათესავობდენ ქართველს მეფეებს. გიორგის მეფობაშიაც დარუბანდელთ გამოაძიეს შირვანის მფლობელი აღსართანი, რომელიც მოვიდა საქართველოში და შემწეობა სთხოვა თავის დედის ძმის შვილს გიორგის. გიორგი მეფემ შეჰყარა ჯარი, შევიდა შირვანში და მივიდა დარუბანდამდე, სადაც დაიპყრო მუსკურისა და შარაბამის ქვეყნები და აიღო ქალაქი შაბურიანი. შემდეგ შირვანი ჩააბარა აღსართანს და დაბრუნდა უკან (1167 წ.).

შირვანითგან დაბრუნებულმა გიორგი მეფემ გაილაშქრა ბასიანში და მოარბია ეს ქვეყანა. მატიანის თქმით, გიორგი დრო-გამოშვებით გზანიდა თავისს ლაშქარს ხან ნახჩევნისკენ, ხან მასისისკენ და ლალვისკენ, ხან ბარდავისა და ბალყუნისკენ. ამნაირის ლაშქრობით მდიდრდებოდა თვითონ მეფეც და მისი ლაშქარიც. მეფე თავის მრავალს საჭურჭლეს ინახავდა უჯარმის ციხეში.

1174 წ., ვარდანის თქმით, გიორგიმ ჩამოართვა ანი მის მფლობელს ამირ-შაჰს და გამგებლად იქ დააყენა ამირ-სპასალარი ივანე ორბელიანი. ამის გაგებაზე თურქების სულთანი ალპარსლანი წამოვიდა ჯარით ანის დასაჭერად და აიკლო შირაქის ქვეყანა. ივანე ორბელიანი აპირებდა ქალაქის გა-

დაცემას, მაგრამ მცხოვრებლებმა არ შეასრულები ნეს მას ეს განზრახვა. მტერმა ვერ აიღო ქალაქი და იძულებული შეიქმნა უკან დაბრუნებულიყო *).

II.

შინაური არეულობა.

გიორგი მეფის ძმის-წული დიმიტრი, რომელსაც დავით მეფემ უანდერძა ტახტი, იზრდებოდა ივანე ორბელიანის ოჯახში და, უეჭველია, გიორგის თვალში არავითარს ეჭვს და შიშს არ ჰბადავდა, რადგან მის მამის ანდერძს არავითარი სავალდებულო ძალა არა ჰქონდა. ივანე ორბელიანს და მის ნათესავებს-კი თავისი აზრი ჰქონდათ და იმას ზრდიდენ, როგორც თავიანთ პატივმოყვარეობის იარაღს. ივანე ორბელიანმა თავის ქალიც მიათხოვა და ამნაირად სრულს თავის გავლენას ქვეშ მოაქცია **). ის და სხვა ორბელიანები ფიქრობდენ მის გამეფებით თავიანთ მნიშვნელობის და გავლენის გადიდებას. ამ განზრახვით ორბელიანებმა და გიორგის სხვა უკმაყოფილო დიდებულებმა ივანეს მეთაურობით მოინდომეს გიორგის ტახტითგან ჩამოგდება და მის ძმისწულის გამეფება. 1177 წ. ისინი შეიყარენ ერთად

*) Additions, p. 256.

**) სტეფანოზ ორბელიანი (Histoire de la Siounie, p. 220).

ორბელიანთ სოფელს დარბაზში და დაიწყეს მოლაპარაკება იმის შესახებ, თუ როგორ გაემეფებინათ დიმიტრი გიორგის მოულოდნელად შეპყრობით. ორბელიანთ გარდა ამ შეთქმულობაში იყვენ მონაწილენი ერეთისა, კახეთისა, სამცხისა და სომხეთის დიდებულები. მეფემ ეს შეთქმულობა შემთხვევით შეიტყო სახატეში ყოფნის დროს. მაშინვე დაბრუნდა ტფილისს და შეუდგა თითონაც მზადებას. ყუბასარმა სწრაფად შეკრიფა ჯარი 5000 კაცამდე. შეთქმულებმა რომ შეიტყეს გიორგის მზადება, სახტად დარჩენ. იმათ მისი მოულოდნელად შეპყრობა უნდოდათ, ახლა-კი გამარჯვების ეჭვი დაებადათ, გონება დაჰკარგეს და ჯარის შეგროვება ველარ მოახერხეს, ხოლო ზოგიერთთ არჩიეს გიორგის მხარეზე გადასვლა, როგორადაც გამრეკელმა, მაგისტროსიანმა და სხვათა. გიორგიმ კარგად მიიღო, ვინც მის მხარეზე გადავიდა, და დაჰპირდა წყალობას. ამნაირად ძალმოცუმული გიორგი შევიდა სომხეთში გადგომილთა დასაწყნარებლად. ივანე ორბელიანმა ახლა-კი გამაგრება არჩია და შევიდა დიმიტრით და თავის თანამოაზრეებით ლორის ციხეში *).

სომხეთში გიორგი მეფემ დაიჭირა ციხეები და სიმაგრეები, რომლებიც გადგომილთ ეკუთნოდათ,

*) იქვე, გვ. 218, 219.

და მოარბია მათი მამულები სომხეთში და ტაშირში. შემდეგ დაიბანაკა აგარანში. აქ გიორგიმ გაიგო, რომ გადგომილები ელოდენ შემწეობას კახეთითგან, სადაც ამზადებდენ ჯარს მის წინაამდეგ. ამიტომ მეფემ ხელად გაგზანა კახეთისკენ ჯარი მეჯინიბეთ-უხუცესის ჭიაბერის წინამძღოლობით. კახეთში ამ ჯარს წინ შეხვდა გადგომილთა ჯარი, შემდგარი ქართველ-მთიულთაგან. ჭიაბერმა დაამარცხა გადგომილნი და შეიპყრო უმთავრესი მოთავენი: გრიგოლ ასათიძე, ივანე ვარდანიძე და შოთა ვაჩოძე.

ამის შემდეგ გიორგი მეფე მიადგა ლორის ციხეს. ორბელიანებმა დიმიტრის სახელით გაგზანეს შაჰვერმანთან და ადირბეჟანის მფლობელებთან შემწეობის სათხოვნელად ქართლის ერისთავი ლიპარიტ სუმბატის ძე ორბელიანი თავის ორის შვილით ელიქუმით და ივანეთი *), მეჯინიბეთ-უხუცესი ქავთარ ორბელიანი, ივანეს ძე, და ეპისკოპოსი ანანია დვინელი. ვიდრე ისინი დაბრუნდებოდენ რამე პასუხით, გიორგი მეფემ ძალიან შეაწუხა ლორეში გამომწყვდეულნი, ბევრმა გამარჯვების იმედი დაჰკარგა, ციხითგან ივანე ორბელიანის გაუგებრად საბლებით ჩამოეშვენ კედელზე და გამოცხადდენ გიორგისთან. აგრეთვე მოიქცა თვით დიმიტრიც, რომელიც მივი-

*) იქვე, გვ. 221.

და საბელ-ყელმობმული ბიძასთან და სინანული გამოუცხადა. ამნაირად ციხეში დარჩენ მხოლოდ ორბელიანები და მცირეოდენი მათი მომხრენი, რომელნიც ბოლოს იძულებულნი იყვენ დანებებოდენ მეფეს *).

გიორგი მეფემ მკაცრად დასაჯა გადგომილები. დიმიტრი დააბრმავა და გამოასაჭურისებინა, ივანე ორბელიანს თვალები დასწვა, ქავთარ ორბელიანი, ძმა ივანესი, მისი შვილი სუმბატ და მისი ძმისწული ზინი მოაკვლევინა, დანარჩენნიც გასწყვიტა სხვადა-სხვა საშუალებით. ასე რომ გაქრა სრულებით ორბელიანთ გასაგისი საქართველოში. ამის გარდა მეფემ ბძანება გასცა, რომ ამოეშალათ ქვეყნის ისტორიითგან ამ გვარის ხსენება და დაეწერათ ამ ამბოხების მოთხრობა ორბელიანთა ღალატის დასამტკიცებლად. აგრეთვე აკრძალა მათის სახელის ხსენება და კვლავ უცხოეთითგან რომელისმე ორბელიანთ გვარის შვილის შემოშვება საქართველოში **).

საქართველოში რომ ეს ამბავი ხდებოდა, სპარსეთში წასულმა შემწეობის სათხოვნელად ლიპარიტ ორბელიანმა შვილებით ელიქუმით და ივანეთი შეაგროვა 60,000 მხედარი და წამოვიდა დიმიტრის მისაშველებლად. მაგრამ გზაში შეიტყო ამბავი და

*) იქვე, 220.

**) იქვე, გვ. 220, 221.

ულანვე გაბრუნდა. ორბელიანთა მამულის ერთი წილი მეფემ მისცა ერთგულს დიდებულებს, მეორე ყუბასარს, რომელიც დანიშნა ამირსპასალარად *).

გიორგი მეფის სიმკაცრე დიმიტრის მიმართ აიხსნება იმ უპატივცემულობით, რომელიც მან გამოიჩინა თავის ბიძისადმი, იმ ბიძისადმი, რომელსაც ვაჟიშვილი არ ჰყავდა და, მაშასადამე, მემკვიდრედაც ის უნდა ჰყოლოდა ძალა-უნებურად. დიმიტრიმ იმდენი სულგძელობა არ გამოიჩინა, რომ თავისი მოხუცებაში შესული ბიძა არ შეეწუხებინა და სიტკბოებით მიეცილებანა სამარემდე, რის შემდეგაც იგივე გახდებოდა მეფედ. ამას მან ორბელიანების ინტერესი არჩია, მათ რჩევას აჰყვა და შეიქნა მათ იარაღად ბიძის წინაამდეგ. რაიცა შეეხება ორბელიანების მიმართ სიმკაცრეს, ეს უფრო ადვილი გასაგებია. ორბელიანები გიორგი მეფეს დიდს პატივში ჰყავდა, მათ ეჭირათ სიუკეთესო თანამდებობანი, მაგრამ თავიანთ მამა-პაპის ჩვეულებით, გამართეს შინაური განხეთქილება სულ ტყუილუბრალოდ, მხოლოდ საკუთარის ინტერესების მისაღწევად. გიორგიმ ახლა გაითვალისწინა ამ გვარის მთელი ისტორია და გადასწყვიტა ერთხელ და სა-

*) იქვე, გვ. 221.

მუდამოდ ბოლო მოელო ამ მეფეთა ურჩის და ორგულის გვარისათვის *).

III.

საეკლესიო კრება.—თამარის სამეფოდ დანიშვნა.—ყაჩაღობის გავრცელება და მისი მოსპობა.—ბურდუხან დედოფლის და გიორგი მეფის სიკვდილი.

ერთის მხრით დიდმა სიხარულმა და მადლობის გრძნობამ ღვთისადმი, რომელმაც მიანიჭა გამარჯვება შინაურს მტრებზედ, მეორე მხრით შიშმა ღვთის წინაშე იმ სიმკაცრისათვის, რომელიც ჩაიდინა თავის მოწინააღმდეგეებზედ, გიორგი მეფეს აფიქრებინა ეკლესიისთვის

ბეჭედი გიორგი მეფისა.

სამსახური გაეწია და ამით მისი მფარველობა მოეპოვებია. ამ აზრით გიორგი მეფემ მოიწვია საეკლე-

*) ბ-ნის ჟორდანიას აზრი, დაფუძნებული აფხაზთა ქრონიკის ცნობაზე, ვითომ დიმიტრის გადგომა მომხდარიყვეს ორჯერ 1167 და 1178 წლებში, ჩვენ დამტკიცებულად არ

სიო კრება, რომელმაც იქონია მსჯელობა ეკლესიის საჭიროებათა შესახებ და მოახსენა თავისი განაჩენი მეფეს. მეფემ მიიღო სახეში კრების განაჩენი, გააამშვენიერა ეკლესიები და მონასტრები, გაათავისუფლა ისინი ყოველისავე ბეგრისაგან და ხელი შეუწყო საეკლესიო წესების ადგენას და დაცვას (1178 წ.) *).

როგორც ვთქვით, გიორგი მეფეს არა ჰყავდა ვიეიშვილი და, უეჭველია, მის მემკვიდრედ შეიქნებოდა მისი ძმისწული დიმიტრი, მაგრამ ამან თავის მოუფიქრებლობით გაარისხა გიორგი, რომელმაც იგი გამოასაჭურისებინა და ამნაირად შეუძლებელი გახდა მისი გამეფება. ახლა გიორგი შეიპყრო იმ ფიქრმა, თუ ვინ უნდა გამხდარიყო მისი მემკვიდრე საქართველოს ტახტზე. მახლობელი ნათესავი

მიგვაჩნია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქრონიკაში შეცდომაა და 1167 წლის მაგიერ უნდა იყვეს 1177 წ. მექრონიკეს ცალცალკე მოუხსენებია დიმიტრის თვალების დაწვა 1177 წ. და ორბელიანთა ამოწყვეტა 1178 წ., თუმცა ორივე ეს ამბავი ერთისა და იმავე შემთხვევით იყო გამოწვეული. ორჯერ რომ ყოფილიყო გადგომა, საოცარი იქნებოდა „ქართლის ცხოვრების“ და სტეფანოზ ორბელიანის სიჩუმე, რადგანაც „ქართლის ცხოვრების“ დამწერს უთუოდ უნდა სცოდნოდა ეს ამბავი, ისე როგორც ორბელიანსაც. ამას გარდა დაუჯერებელია, რომ 1167 წ. თვალდამწვარი დიმიტრი კიდევ აჰყოლოდეს ორბელიანებს და მოენდომებინოს ბიძის ჩამოგდება და მის ტახტის დაპერა 1178 წ.

*) ქრონიკები თ. ჟორდანიასი, ტ. I, გვ. 265.

მას ალარავინა ჰყავდა და ამიტომ აზრად დაებადა თავის ერთად-ერთის ასულის თამარის გამეფება. მანამდე არ მომხდარიყო ქალის მეფობა საქართველოში და ამიტომ ადვილი არ იყო ქალის დანიშვნა ტახტის მემკვიდრედ. ამის შესახებ გიორგი მოელაპარაკა დიდებულებს და, როდესაც შეიტყო, რომ ისინი უარს არ იყვენ ქალის გამეფებაზე, საქვეყნოდ გამოაცხადა თავისი სურვილი. თამარის გამეფების წინააღმდეგი არავის შეეძლო ეთქვა რამე, რადგან ის ცნობილი იყო როგორც მეტად ჭკვიანი და კარგის ხასიათის და ყოფა-ქცევის ქალი. თვით გიორგი მეფის ცოლი ბურდუხან დიდად საყვარელი და პატივცემული იყო ხალხისგან. უფრო მეტად სახელ-გათქმული და პატივცემული იყო მეფის და რუსუდანი, ხვარასნის სულთნის ნაცოლარი. ამ ორის ქალის მცნობი ერი კარგის თვალით უყურებდა მათ გაზდილს თამარსაც და ამიტომ მისი გამეფება არავინ იუცხოვა. 1178 წ. გიორგი მეფემ მიიწვია ნაჭარმაგევში კათოლიკოზი, ეპისკოპოზები და დიდებულები და მათ თანადასწრებით დააგვირგვინა თამარი, როგორც მომავალი მეფე.

ორბელიანთ გარდა, გიორგი მეფემ სასჯელი მიაყენა ბევრს სხვას, განდგომილებაში მონაწილეებს, თუ სიკვდილით არა, მამულის ჩამორთმევით მაინც. მდიდრულად ცხოვრებას შეჩვეულებს, ახლაკი უსახსროდ დარჩენილს დიდებულებს და აზნა-

ურებს გაუჭირდათ ცხოვრება და ამიტომ იმათ მიმართეს ყაჩაღობას და მცარცველობას. ქვეყანა მეტად შეწუხდა თამამის და გამბედავის ყაჩაღების ძარცვისაგან. ამ ძარცვა-ყაჩაღობის მოსასპობად გიორგი მეფემ შეადგინა 1180 წ. ჯარის რაზმები და უბძანა მათ მოეარნათ საქართველოს ის კუთხეები, სადაც ავაზაკობა ხდებოდა, ეძიათ ყაჩაღები და მცარცველები და პოვნის შემდეგ ჩამოერჩოთ იმ ნივთებით ერთად, რომლებიც მათ ამოაჩნდებოდათ ნაცარცვი. ამგვარის ღონისძიებით, ვარდანის თქმით, მალე მოისპო ყაჩაღობა და დამყარდა სრული მშვიდობიანობა და უშიშრობა *)

1182 წ. გიორგი მეფეს და თამარს ეწვიათ მწუხარება მით, რომ გადაიცვალა ბურდუხან დედოფალი. ორის წლის შემდეგ გადაიცვალა თვით გიორგი მეფეც და საქართველოს მეფედ შეიქნა მისი ქალი—თამარი (1184 წ.).

---

*) Additions, p. 257.

თამარ მეფე.

I.

დიდებულთა ამბოხება და მათი დაწყნარება.—საეკლესიო კრება.—შემოსევა და განდევნა მტრებისა თამარის მეფობის პირველს წლებში.

თამარის წინაპრებმა საქართველოს დიდებულები მაგრად დაიმორჩილეს და მათ აფასებდენ იმდენად, რავდენადაც ისინი ქვეყნისა და მათი ერთგულები იყვენ. ამის გამო ბევრი დიდებულთა გვარი დამცირებულ იქნა და ის გავლენა და პატივი აღარ ჰქონდათ, რაც წინად. მათ მაგიერ მეფეებმა წინ დააყენეს სხვანი, რომელნიც წინად სხვებზედ დაბლა იდგენ. ამ გარემოებამ დაბადა უკმაყოფილება დამცირებულის დიდებულებისა. ისინი გულში ინახავდენ თავიანთ უკმაყოფილებას და ეძიებდენ უკეთესს შემთხვევას, რომ დაებრუნებინათ თავიანთი ძველებური გავლენა.

ამ ნაირს შემთხვევად უკმაყოფილო დიდებულებმა სცნეს თამარის გამეფება. იმათ ეგონათ, რომ თამარი, როგორც ქალი, ვერ შეიძლებდა ისე მტკიცედ მართვას, როგორც მისი წინაპრები; მიეცათ იმედი

თავიანთ უფლების აღდგენისა და ხმა-მაღლა დაიწყეს ლაპარაკი: „აღარ დავემორჩილებით ძველთა ხელისუფალთა და გამგებელთა, ვინაითგან მათგან დაძვრცილნი და უპატიონი ვართ, და გვარიანნი და თვით მსახურეულნი სახლნი უპატიოდ და უსახოდ დარჩენილვათ უგვანთა და უხამთაგან“. მეთაურად ამ უკმაყოფილოთა გამოუჩნდა მეჭურჭლეთ-უხუცესი ყუთლუ-არსლან. მის თაოსნობით უკმაყოფილო დიდებულები შეიკრიბენ და დადგენ ტფილისის ახლო ავლაბრის ველზე. აქ იმათ გადასწყვიტეს თამარისთვის შეეტყობინებინათ თავიანთი სურვილი იმის შესახებ, თუ რომელი მოხელე გამოეცვალა და ვინ გაემწესებინა. თვითონ ყუთლუ-არსლანს უნდოდა ამირსპასალარობა. თამარ მეფემ ამისთანა კადნიერებისთვის დააჭერინა ყუთლუ-არსლან. მისმა მომხრეებმა შეჰყარეს ლაშქარი და უნდოდათ თავიანთი მეთაური ძალით გაეთავისუფლებინათ. თამარმა მათ დასამშვიდებლად მიუგზანა ორი მანდილოსანი ქალი: დედა ქართლის ერისთავის რატი სურამელისა **ხოშაქ ცოქელი** და დედა სამძივარებისა **ჯარაგ ჯაყელი**. ამათ პირით თამარმა მოსთხოვა დაწყნარება და დაჰპირდა პატივებას, თუ დამშვიდდებოდენ. მოციქულების ჩაგონებით გადგომილები დაწყნარდენ, მივიდენ თამართან და ერთგულობის ფიცი მისცეს. ამის შემდეგ თამარმა მიღებულის წესისამებრ მოილაპარაკა დიდებულებთან და მათ რჩე-

ვით გამოსცვალა მხოლოდ ის მოხელენი, რომლებიც სიბერისა ან ავადმყოფობის გამო აღარ ვარგოდენ სამსახურისათვის. მაგალ., ამირ-სპასალარობა ჩამოართვა ფილენჯისაგან დაუძლურებულს ყუბასარს და მისცა სარგის მხარგძელს, ყუბასარსავე ეჭირა მანდატურთ-უხუცესობა. ეს თანამდებობაც ჩამოართვა თამარმა და მისცა ჭიაბერს. მსახურთ-უხუცესობა ჩამოართვა აფრიდონს და მისცა ვარდან დადიანს, თვით მეამბოხეთა მეთაურს ყუთლუ არსლანს ჩამოართვა მეჭურჭლეთ-უხუცესობა და მისცა კახაბერ ვარდანიძეს.

სამოქალაქო გამგეობაში წესის ჩამოგდების შემდეგ თამარმა მოახდინა საეკლესიო კრება საეკლესიო წესების გასაუმჯობესებლად. ამ კრებისათვის თამარმა დაიბარა იერუსალიმითგან ქართლის კათოლიკოზად ნამყოფი ნიკოლოზ გულაბრიძე, რომელსაც კათოლიკოზობა დატოვებულ ჰქონდა სიმდაბლისა გამო და რომელიც გათქმული იყო თავის წმინდა ცხოვრებით და სწავლით. კრებას დაესწრენ საქართველოს მღვდელ-მთავარნი, მონაზონნი და მეუდაბნოენი. ვერ დაესწრო ავადმყოფობის გამო კათოლიკოზი მიქელ, რომელიც თითონვე იყო საეკლესიო წესების დამრღვეველი. ამ კრებას ხელმძღვანელობდენ ნიკოლოზ გულაბრიძე და ანტონ ქუთათელი. კრებამ ჩამოაგდო წესიერება ეკლესიაში, გამოცვალა ბევრი ეპისკოპოზი და თვით მი-

ქელ კათოლიკოზის გადაყენებაც უნდოდა, მაგრამ არა ჰქნა კრებამ და მიანდო განგებას სიკვდილის პირად მყოფის დასჯა *).

საქართველოში ქალის გამეფება იამათ მტრებს, რომელთაც ეგონათ, რომ მეფე ქალს ვერ შეეძლო ისეთი წინაამდეგობა გაეწია მათთვის, როგორსაც მის წინაპრები უწევდენ. ამიტომ ისინი გათამამდენ და იწყეს შემოსევა საქართველოში. პირველად შემოესიენ რანისა და გელაქუნის თურქები და დაარბიეს პალაკაციოს მხარე, ძალოის-ხევად წოდებული. მათ წინაამდეგ გავიდა გამრეკელი კახაძე და მცირე ჯარით ბევრად უმეტესი მტერი გარეკა. ამათ შემდეგ შემოესიენ შავშეთისა და კლარჯეთის მხარეს კარნუქალაქელი, შამელი და გარმიანელი თურქები. ესენიც სწრაფად გადევნეს კლარჯეთის ერისთავმა გუზან აბულასანიძემ და სამცხისამბოცო ჯა-

*) უეჭველია, მიქელ კათოლიკოზის კრებაზე დაუსწრებლობის მიზეზი უნდა ყოფილიყო მისი ავადმყოფობა, რადგან სხვანაირად შეუძლებელია აიხსნას ერთის მხრით მისგან არად ჩაგდება მეფისა და საეკლესიო კრებისა, როცა არ ესწრებოდა ამ კრებას, და მეორე მხრით საეკლესიო კრების გაუბედავობა და მორიდება, როცა არ გადააყენა წესების დამრღვევი და მის არად ჩამგდები კათალიკოზი. ამას გვაფიქრებინებს „ქართლის ცხოვრების“ სიტყვები მიქელის შესახებ: „თვით განაყენა ადრე სასჯელმან ღვთისამან“, ე. ი. ღმერთმა თითონ მოჰკლაო.

ყელმა. მტრების დასაწყნარებლად თვით ქართველებმაც გაილაშქრეს მხარგძელების ზაქარია და ივანე სარგისის შვილების და ზაქარია და სარგის ვარამის შვილების წინამძღოლობით დვინის ქვეყანაში, საითგანაც დაბრუნდენ გამარჯვებულნი და ალაფით დატვირთულნი. მტრები მაინც არ სცხრებოდენ და ესხმოდენ საქართველოს სხვა-და-სხვა მხრით. მაგრამ მტრების იმედი არ გამართლდა. ქართველები ყველგან მაგრად უხვდებოდენ შემოსეულს მტრებს და თვით განაპირა ქვეყნების ერისთავები უკუ აბრუნებდენ მათ თავიანთ ლაშქრით.

II.

თამარის დაქორწინება გიორგი რუსზე.—ყივჩაყების სასამსახური საქართველოში.—გიორგი რუსის ლაშქრობანი.—გიორგის ცუდი ქცევის გამოჩენა და მისი გადევნა საქართველოთგან.

თამარის გამეფებას თან მოჰყვა იმისთანა სამძიმო და დიდის საქმის გადაწყვეტა, როგორიც მის საქმროს შოვნა იყო. ქალის გამეფებით სამეფო გვარი უნდა გამოცვლილიყო და ვინ იცის მეფობა რომელს გვარს ჩაუვარდებოდა. ამიტომაც საქართველოს დიდებულები დიდს ყურადღებას აქცევდენ იმას, თუ ვის შეირთავდა თამარი. თამარი არა ჩქარობდა ქმრის შერთვას, მაგრამ დიდებულებს-კი

ეჩქარებოდათ, რადგან ჯერ ერთი ყველას უნდოდა მალე დაენახა თუ ვინ გახდებოდა მომავალის მეფეების წინაპარი, მეორე მხრით საჭირო იყო ტახტის მემკვიდრის ყოლა, რომ ყოველის შემთხვევისთვის თამარის შემდეგ ტახტი არ დარჩენილიყო უმეფოდ. თამარის შერთვის მსურველნი, რასაკვირველია, ბევრნი იყვენ და ამათში ერთ-ერთის არჩევა იმოდენადვე დიდებულების საქმე იყო, რავდენადაც თვით თამარისა. ბევრის რჩევის და თათბირის შემდეგ დიდებულებმა მიიღეს რჩევა ტფილისისა და ქართლის ამირის აბულ-ასანისა, რომ თამარის საქმროდ მოეყვანათ რუსეთის დიდის მთავრის ანდრიას შვილი გიორგი *), რომელიც თავის ბიძის ვსევოლოდის მიერ გამოძევებული ცხოვრობდა ყივჩაყეთში. პირველის შეხედვით არ იყო ურიგო ეს რჩევა. გიორგი იყო გამოჩენილი თავის ჩამომავლობით და მასთან მართლ-მადიდებელი. ამას გარდა მისი სამშობლო—რუსეთი—ძალიან შორს იყო საქართველოზე, ასე რომ რუსის გამეფება საქართველოში არ უნდა ყოფილიყო საშიში პოლიტიკურად. გიორგის მოსაწვევად დიდებულებმა გაგზანეს ყივ-

*) ჩვენი მატიანე არ იხსენიებს თამარის პირველის ქმრის სახელს და უწოდებს ბოლოდ რუს. მისი სახელი გიორგი მოხსენებული აქვს სტეფანოზ ორბელიანს (Histoire de la Siounie, p. 222), რომელსაც რუსეთის ისტორიაც ემოწმება.

ჩაყეთს ტფილისის მცხოვრებელი მდიდარი ვაჭარი ზანქან ზორაბაბელი. ამან მცირე ხნის შემდეგ მართლაც მოიყვანა გიორგი რუსი, რომელიც დიდებულებს მოეწონათ თავის მშვენიერის გარეგნობით. იმათ მაშინათვე მოლაპარაკება გამართეს რუსუდან დედოფალთან, რომ თამარი დაეთანხმებინა გიორგი რუსის შერთვაზე. თამარმა ამ წინადადებაზე ასე უპასუხა დიდებულებს: „როგორ შეიძლება ამნაირის საქმის ქმნა, როდესაც არ ვიცით ამ უცხოკაცის არც ქცევა, არც ჩვეულება, არც მხედრობის ნიჭი და არც საქციელის საქმენი. დაიცადეთ ვიდრემდის გაიცნობდეთ მაგ კაცს". დიდებულებმა არ შეისმინეს ეს საფუძვლიანი პასუხი თამარისა და ითხოვდენ, რომ რაც შეიძლება მალე მომხდარიყო ქორწინება, რადგან, მათის თქმით, საჭირო იყო წინამძღოლი მხედრობისა. გიორგი რუსის შერთვას რომ უარობდა თამარი, ზოგიერთთ დიდებულთ ახლა მეორე საქმროდ დაასახელეს საბერძნეთის იმპერატორის ბიძაშვილი ალექსი. თამარმა ეს წინადადება უფრო შორს დაიჭირა და უარზე დადგა საზოგადოდ ქმრის შერთვაზე. დიდებულები მაინც არ ეშვებოდენ და უფრო ჯიუტად ითხოვდენ თამარისაგან გიორგი რუსის შერთვას. რუსუდანიც აჰყვა დიდებულებს და დაათანხმა თამარი, რომ გიორგი შეერთო. დიდის ამბით გადახდილ იქნა ქორწილი თამარისა და გიორგი რუსისა (1185 წ.).

იმის შესაგნებად, თუ რა ნაირად მიაგნეს ყივჩაყეთში მყოფს გიორგი რუსს და რა ნაირად მოიწვიეს თამარის საქმროდ ვაჭრის საშუალებით, საჭიროა მოვიხსენიოთ, რა ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს ყივჩაყეთთან 1118 წლის შემდეგ, როდესაც დავით მეფემ გადმოიყვანა 40,000 ყივჩაყი და დაასახლა საქართველოში. ჩვენ გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ დავით აღმაშენებელის დროს მომხდარს ყივჩაყთა გადმოსახლებას საქართველოში თან მოჰყვა მთელის მეთორმეტე საუკუნის გამავლობაში მჭიდრო ერთობა და მისვლა-მოსვლა ყივჩაყთა და ქართველთა შორის. ყივჩაყნი, ცოტანი თუ ბევრნი, მუდამ გადმოდიოდენ საქართველოში და შედიოდენ სამსახურში. ზოგიერთნი ამათგან საკმაოდ წარჩინებულს თანამდებობასაც ღებულობდენ თავიანთ სამსახურის დროს, როგორადაც ყუბასარი, რომელიც იყო მანდატურთ-უხუცესი და ამირ-სპასალარი, ყუთლუ არსლანი, რომელიც იყო მეჭურჭლეთ-უხუცესი, აბულასანი, რომელიც იყო ტფილისისა და ქართლის ამირა და გუზანი, ამ აბულასანის შვილი, რომელიც იყო კლარჯეთის და შავშეთის ერისთავი. ყივჩაყეთიოგან გამოსული ყივჩაყები არა სპობდენ კავშირს თავის სამშობლოსთან და ნაცნობებთან წერილების წერის ან მისვლა-მოსვლის საშუალებით. მეორე მხრით ქართველებსაც

თავისუფალი მისვლა-მოსვლა ჰქონდათ ყივჩაყეთში სააღებ-მიცემოდ.

დიდებულს აბულასანს, რომელმაც პირველად დაასახელა გიორგი რუსი თამარის საქმროდ, ან უნდა პირადად სცნობოდა გიორგი რუსი მის ყივჩაყეთში ყოფნის დროს, ან თავის თვისტომთაგან, იქნება თავის შვილის გუზანისაგანაც, უნდა ჰქონოდა გაგონილი მისი ამბავი. აგრეთვე უნდა სცნობოდათ სხვა დიდებულებს ყივჩაყთაგან, რომელთა რიცხვი საქართველოში მაშინ საკმაო იყო. იმათ ყველამ მოინდომეს გიორგი რუსის მოწვევა თამარის საქმროდ. ამნაირად გიორგი რუსი იყო კანდიდატი საქართველოს სამსახურში მყოფთ ყივჩაყთა, რომელთაც მის მოწვევით იქნება თავიანთ პირადის სარგებლობის მიღწევა უნდოდათ. ქართველებმაც ზემოდ მოყვანილის მოსაზრებით მოიწონეს გიორგი რუსის კანდიდატურა და ამიტომ დათანხმდენ მის მოწვევაზედ თამარის საქმროდ. იმის ვითარების და ხასიათის შესატყობად და მოსაწვევად იმ შემთხვევაში, თუ კარგი ცნობები შეიკრიბებოდა, გაგზანეს ვაჭარი ზანქან ზორაბაბელი, სარწმუნოებით ურია, რადგან ის, როგორც ვაჭარი, იყო ნამგზავრი ყივჩაყეთში და იქაურობის მცოდნე. ამას გარდა, რადგანაც ეს მინდობილობა კერძო ხასიათისა იყო და თავდაპირველად იგი საიდუმლოდ უნდა შენახულიყო, ამიტომ ვაჭრის და მასთან ურიის

არჩევა სწორედ შესაფერი იყო: მას ყურადღებას არავინ მიაქცევდა და გამოკითხვის დროს უფრო გულწრფელად მისცემდენ ცნობებს გიორგი რუსზე.

დიდებულებმა დაიმშვიდეს გული. საქართველოს მხედრობას გაუჩნდა საერთო წინამძღოლი და ქართველებმა იწყეს ლაშქრობა გიორგი რუსის წინამძღოლობით. პირველად გიორგიმ გაილაშქრა ყარსისა და კარნიფოლის ქვეყნებში, მოარბია ისინი და გამარჯვებული დაბრუნდა. ამის შემდეგ გაილაშქრა დვინის ქვეყანაში, მას უკან გელაქუნისაში და ბოლოს მოილაშქრა განჯის ქვემო მხარე ბალყუნამდე და არაქსის პირი მასისამდე.

ქართველები ყველგან იმარჯვებდენ, არბევდენ ქვეყნებს და ტყვითა და ალაფით ბრუნდებოდენ უკან. ამის შემდეგ მოსაზღვრე ხალხები იძულებულები შეიქნენ ხელი აეღოთ დროგამოშვებითს შემოსევაზე საქართველოს არემარეში და მტრობის მაგიერ მეგობრობა დაუწყეს თამარ მეფეს.

მართალია, გიორგი რუსი კარგი მხედარი გამოდგა, მაგრამ მასთანვე მან გამოიჩინა საძაგელი ზნენი: ლოთობა, გარყვნილობა და სხვა ცუდი საქციელი. თამარის სიტყვები გამართლდენ, რომ საჭიროა გავიცნოთ და მერე გადავწყვიტოთ ქორწინებაო, დიდებულებს სცხვენოდათ თამარისა და ნანობდენ, რომ თითქმის ძალად შერთეს მას ასეთი უზნეო კაცი. თამარი მოთმინებით უცქეროდა გი-

ორგი რუსის საძაგელს ქცევას და ცდილობდა, როგორმე გაესწორებინა. ჯერ მიუჩინა საპატიო და გავლენიანი სამღვდელო პირები, რომ დაერიგებინათ, მაგრამ გიორგი რუსი არ იშლიდა. მერე თითონ თამარმა პირადად დაუწყო მხილება და დარიგება. რუსმა უარესობა დაიწყო, შეურაცხებას აყენებდა საპატიო პირებს და თამარის უკმაყოფილებას არად აგდებდა. მაშინ თამარმა ხელი აიღო გიორგიზე და ახლო აღარ მიიკარა. ესლა უნდოდა რუსუდანს და დიდებულებს. იმათ გადასწყვიტეს. რომ გიორგი რუსი გაეშორებინათ საქართველოთგან. როგორც შეეფერებოდა სამეფო პირს, დიდის პატივით გაისტუმრეს გიორგი რუსი კონსტანტინოპოლს (1188 წ.).

III.

თამარის ახალი საქმროები.—მისი მეორედ დაქორწინება დავით სოსლანზე.

რუსის გაძევების შემდეგ საქართველოს დიდებულებს ხელახლა გაუხდათ ასარჩევად თამარისათვის საქმრო. რაკი პირველი ქმარი გაძევებულ იქნა, ახლა უფრო ბევრნი ამოჩნდენ თამარის ხელის მაძიებელნი. ქართველთა შორის ხომ მრავალნი იყვენ ისეთნი, რომელნიც ჩუმად იწვოდენ თამარის სიყვარულით და ტრფობით. ამას გარდა, ბევრნი უცხო

მეფენი და მეფის წულები ნატრობდენ და ეძიებდენ თამარის ხელს. მათ შორის იყვენ: ბერძენთა იმპერატორის მანუელის უფროსი შვილი პოლიკარპოსი, ასურასტანის და შუამდინარის სულთნის საღადინის შვილი, არზრუმის სულთნის ყიზარსლანის შვილი მუტაფრადინ და შირვანშა აღსართან. ორნი უკანასკნელნი დიდის ამბით მოვიდენ საქართველოში თამართან და მზად იყვენ დაეტოვებინათ მუსულმანობა, თუ თამარი გააბედნიერებდა მათ. თამარმა ისინი მიიღო და ისტუმრა, როგორც შეეფერებოდა სამეფო პირებს. მუტაფრადინი რამდენსამე თვეს დარჩა საქართველოში, მაგრამ ვერ ეღირსა თამარის თანაგრძნობას და იმედის დამკარგველმა შეირთო სხვა ქალი, რომელიც, მატიანის მოწმობით, იყო ხარჭისგან (ხასისგან) ნაშობი მეფის ასული, შეიძლება თვით თამარის უკანონო დაც. ეს იმიტომ უფროა საფიქრებელი, რომ თამარმა გადაუხადა მათ დიდებული ქორწილი და დიდი მზითევიც მისცა მუტაფრადინს. შირვანშა აღსართანმა-კი იმის მიუხედავად, რომ თამარის ნათესავი იყო (თამარის მამის მამიდა თამარი იყო აღსართანის მამის დედა), ტფილისში ყოფნის დროს ნახა გავლენიანი პირები, სხვათა შორის, თამარის მოძღვარი და კათოლიკოზი, და დიდის ძღვნის მიცემით და მუსულმანობის დატოვების დაპირებით, სთხოვა მათ, რომ მოეხერხებინათ როგორმე მისი თამართან დაქორ-

წინება. ბევრმა შირვანშასაგან მოსყიდულმა ჰკადრა მეფეს, რომ შეერთო შირვანშა. მაგრამ თამარმა შორს დაიჭირა მათი რჩევა და უსაყვედურა მათ ამისთანა რჩევისათვის. მისის ბძანებით შირვანშა გაისტუმრეს დიდის პატივით და საჩუქრებითა.

თამარისათვის საქმროს არჩევის დროს დიდებულებმა ყურადღება მიაქციეს ოსთა მეფის შვილს დავით სოსლანს, რომელიც ნათესავად მოხვდებოდა საქართველოს სამეფო სახლს და გვარადაც ბაგრატიონი იყო. დავით სოსლანი რუსუდანს პატარაობითვე შვილობილად ჰყავდა აყვანილი და ზრდიდა თავისთან. ვაჟკაცობასა და ტანადობასთან დავითი შესანიშნავი იყო თავის ზნეობრივის და გონებრივის გავითარებით, რისთვისაც უყვარდათ ქართველებს. დიდებულებმა გადაწყვიტეს, რომ ეს ვაჟკაცი, ნათესავი ქართველთა მეფის გვარისა და აზრდილი საქართველოშივე რუსუდანის ხელმძღვანელობით, იქნებოდა ღირსეული მეუღლე თამარისა. თავიანთ აზრი დიდებულებმა რუსუდანს შეატყობინეს, რუსუდანსაც მოეწონა ეს აზრი, რომელიც იმის და თვით თამარის საკუთარის გრძნობის გამომთქმელი უნდა ყოფილიყო. რუსუდანს უყვარდა, ცხადია, თავის გაზრდილი დავითი და თამარსაც, მასთან ერთად შეზრდილს, არ შეიძლება არ ჰქონოდა მისადმი თანაგრძნობა. ეს იქითგან ჩანს, რომ დიდებულების წინადადება მაშინვე მიღებულ იქნა თამარი-

საგან. დავითისა და თამარის ქორწინება დიდის ამ-ბით იქნა გადახდილი დიდუბის სასახლეში (1189 წ.). რუსუდანმა ყოველივე ღონე იხმარა, რომ დიდებულად ედღესასწაულათ ეს სასიხარულო ამბავი. ბაგრატიონთა გვარში მიღებულს ქორწილის წესს მან დაურთო ხვარასნული და ერაყული ცერემონიები, რის გამოც დღესასწაულობა მეტად ბრწყინვალე გამოვიდა.

IV.

გიორგი რუსის პირველი შემოსევა საქართველოში და ერისთავების ღალატი.—მათი დამარცხება და გიორგის ხელმეორედ გადევნა.

როგორც ჩანს, დავით სოსლანი ბევრისათვის არ ყოფილა სასურველი, რადგან მის თამართან დაქორწინების შემდეგ გაიმართა ერისთავთა შორის შეთქმულობა, რომელსაც მიზნად ჰქონდა გიორგი რუსის დაბრუნება საქართველოში და მის უფლების ადგენა, როგორც თამარის მეუღლისა. ამ შეთქმულობაში მონაწილეობა მიიღეს მსახურთ-უხუცესმა ვარდან დადიანმა და ერისთავებმა სამცხისამ, კლარჯეთისამ, ოდიშისამ, აფხაზეთისამ, სვანეთისამ და რაჭისამ. ამათ შეუთვალეს გიორგი რუსს, რომ შემოსულიყო საქართველოში თავის უფლების ასადგენად. გიორგი რუსმა დაუჯერა მათ და მოვიდა

საქართველოს საზღვრად აზრუმში, საითგანაც შემოვიდა კლარჯეთში. აქ ის მიიღეს კლარჯეთისა და სამცხის ერისთავებმა და გადმოიყვანეს იმერეთს, სადაც შეიყარენ მთელის იმიერ-საქართველოს დიდებულები და გეგუთში გამოაცხადეს თამარის კანონიერს მეუღლედ (1190 წ.).

სრულიად მოულოდნელი იყო თამარისთვის ასეთი გადგომილება. მაშინათვე მოუწოდა ერთგულს ერისთავებს და დიდებულებს ქართლისას, კახეთისას, სომხითისას და სამცხისას. დიდებულებმაც გამოაცხადეს გაცვიფრება და დაარწმუნეს თამარი, რომ იმათ არა იცოდენ-რა შეთქმულობისა. თამარი ეძიებდა გადგომილობის მიზეზს და ვერ ეპოვნა. გადგომილებთან გაგზანა მოციქულებად თევდორე კათოლიკოზი, ანტონ ქუთათელი და სხვა ეპისკოპოზები და ვეზირები, მაგრამ გადაჭრილი პასუხი ვერ მიიღო.

გადგომილებმა გეგუთში ორად გაჰყვეს ლაშქარი. ერთმა ნაწილმა გიორგი რუსის წინამძღოლობით გადმოიარა ლიხის მთა, მოაოხრა ქართლის არენი და დადგა გორსა და ნაჭარმაგევს შუა. მეორე ნაწილმა, დადიანებისა და ბედიანების წინამძღოლობით, გადმოიარა რკინის-ჯვარი და ჩავიდა ციხის-ჯვარს, სადაც დასწვა ქალაქი ოძრხე, რომელიც ეკუთნოდა ივანე ანუ ყვარყვარე ციხის-ჯვრელს, თამარის ერთგულს დიდებულს. ამათი განზრახვა

იყო აელოთ ჯავახეთი, თმოგვი და ახალ-ქალაქი, შემდეგ თრიალეთი და სომხითი და მას უკან მისულიყვენ ტფილისზე, სადაც იმავე დროს უნდა მისულიყო გიორგი რუსი. თამარ მეფის ბძანებით ამირ-სპასალარი გამრეკელი და მხარგძელები წაუძღვენ ჯარს ჯავახეთში გადგომილების წინაამდეგ, რომელთაც ისინი შეხვდენ მტკვრის პირად ხიდთან. ზედ ხიდზე შეექმნათ ომი მოწინაამდეგეებს. საღამომ გაჰყარა ისინი. გადგომილებმა არჩიეს უკეთესის ადგილის დაჭერა თამარის ჯართან შესაბრძოლებლად და გაემართენ განძის მთისაკენ, მაგრამ არც ეს ადგილი მოეწონათ და იქითგან მივიდენ ნიალის ველზე ხინგრის (ჭობარეთის) წყლის პირს, თმოგვსა და ერუშეთს შუა. თამარის ჯარი დაედევნა გადგომილებს და ნიალის ველზე გაუმართა ომი. ორისავე მხრით ვაჟკაცურად იბრძოდენ. ბოლოს თამარის ჯარმა აჯობა გადგომილებს, რომლებიც გაიქცენ. თამარის მხრით ზარალი დიდი არაფერი მომხდარა. მხოლოდ ივანე მხარგძელი დაიჭრა. მიიღო თუ არა ამ გამარჯვების ამბავი, თამარმა მაშინვე შეკრიბა დიდებულები ზრახვის (რჩევის) მოსახდენად. დიდებულებმა გადაწყვიტეს ლაშქრის გაგზავნა გორის ახლოს მდგარის გიორგი რუსის წინაამდეგ, რომელსაც კიდეც მისდგომოდენ ზოგიერთი ქართლის დიდებულები და ზოგიერთი მთიულებიც. ჯარს წაუძღვა დავით სოსლანი, მაგრამ

ისევ მალე დაბრუნდა ტფილისს, რადგან გიორგი რუსი, შეეტყო თუ არა თავის მომხრეების ამბავი, გაქცეულიყო იმერეთს ჯარითურთ.

თამარის გამარჯვებამ დააფიქრა გადგომილები და თავი დაამორჩილებინა ისევ მისთვის. ზოგნი თავისთავად გამოცხადდენ თამართან ყელ-საბელ-მობმულნი, ზოგთა ითხოვეს შენდობა რუსუდანის, კათოლიკოზის, ეპისკოპოზების და მანდატურთ-უხუცესის შუამდგომლობით. თამარმა ყველას აპატია დანაშაული. მაშინ დანარჩენნიც მივიდენ თამართან ნაჭარმაგევში და გამოუცხადეს ერთგულობა. სვანეთის დიდებულებმა თან მიიყვანეს გიორგი რუსიც. თამარმა გიორგისაც შეუნდო და მისცა ნება, რომ ხელშეუხებლად წასულიყო საქართველოთგან. გიორგი რუსი საზღვრამდე მიაცილა ივანე მხარგძელმა და წავიდა ისევ კონსტანტინოპოლს.

გადგომილების დაწყნარების შემდეგ თამარ მეფემ დააჯილდოვა, ვინც ერთგულობა გამოიჩინა. ზოგს უმაღლესი თანამდებობა მისცა, ზოგს მამული, ქალაქები და ციხეები. დამარცხებული და შეწყნარებული დიდებულები შეიქნენ თამარის ერთგულნი. მხოლოდ კლარჯეთისა და შავშეთის ერისთავმა გუზან აბულასანიძემ არ მოიშალა თამარის ორგულობა და ბოლოს კიდეც მიუდგა შაჰერმანს, რომელთანაც წავიდა და რომელსაც გადასცა თავის საერისთავოს ციხეები. გუზანის ასეთი ჯიუტობა იმით

აიხსნება, რომ მას, როგორც გიორგი რუსის პირადს მეგობარს და შვილს იმ აბულასანისას, რომლის წინადადებითაც მოიწვიეს გიორგი, თავის პირადის ინტერესებისთვის სასარგებლოდ მიაჩნდა მისი დაბრუნება. თამარ მეფემ რომ შეიტყო გუზან აბულასანიძის ღალატი, გაგზანა ჯარით კლარჯეთის და შავშეთის დასაჭერად სარგის თმოგველი და კახა საძივარი. კოლაში ამათ შეიტყეს, რომ შაჰერმანის ჯარი გუზანის შვილის წინამძღოლობით შემოსულიყო კლარჯეთში ციხეების დასაჭერად და გუზანის ცოლ-შვილის წასაყვანად. თურქები იყვენ ბლომად, მაგრამ სარგის თმოგველი და კახა საძივარი არ დაერიდენ და შეებენ. თურქები დამარცხდენ და უკუ იქცენ. ქართველებმა დაიჭირეს კლარჯეთის ციხეები და შეიპყრეს გუზანის ცოლ-შვილი. ბოლოს თვით გუზან აბულასანიძეც, რომელიც არ დაცხრა და ყაჩაღურად ესხმოდა კლარჯეთს, შეპყრობილ და დასჯილ იქნა დავით სოსლანისაგან თვალების დაწვით.

V.

დავით სოსლანის პირველი ლაშქრობანი.—გიორგი რუსის ხელმეორედ შემოსევა და გადევნა.—შანქორის ომი და განჯის აღება.— ამ ქალაქის ხელ-ახლად დაჭერა ამირ-ბუბაქრისგან და ხელმეორედ აღება მისი ქართველთაგან.—თურქების შემოსევა არტანში.

დავით სოსლანი გამოდგა ღირსეული მეუღლე თამარ მეფისა, ის აკმაყოფილებდა იმას, რასაც ერი

ითხოვდა თამარის ქმრისგან—ვაჟკაცობას და ლაშქრის წინამძღოლობას.

პირველი ლაშქრობა მის წინამძღოლობით მოხდა 1192 წ., როდესაც დაიბადა თამარის პირველი შვილი გიორგი, წოდებული ლაშად. ახლად დაბადებულის გიორგის ბედზედ დავითმა შეჰყარა ლაშქარი და გაილაშქრა ბარდავის ქალაქზედ არანში, სადაც გაიმარჯვეს ქართველებმა და მრავალი ტყვე იშოვეს. დავითმა თამარის და გიორგის დღეგძელობისათვის გაათავისუფლა 30,000 ტყვე.

ერთის თვის შემდეგ დავითი გაემართა ლაშქრით აზრუმისაკენ, საითგანაც აგრეთვე ძლევა-მოსილი დაბრუნდა.

ამავე წელს მოხდა ლაშქრობა არანის ქვეყანაში. ქართველები მივიდენ გელაქუნს, აქეთგან ჩაიარეს ხაჩინს, ჩავიდენ ყარყრის ქვეყანას და მიაწიეს ბალყუნამდის. აქეთგან გამობრუნდენ განჯისკენ და შანქორის გზით დაბრუნდენ საქართველოში. ამ ლაშქრობის დროს ქართველები ამარცხებდენ დახვედრილს მტერს და არბევდენ გავლილს ქვეყნებს.

შემდეგს 1193 წ. მხარგძელებმა ზაქარია ამირსპასალარმა და ივანე მსახურთ-უხუცესმა გაილაშქრეს არაქსის პირზე. აქ მათ შეხვდათ დიდი მტრის ლაშქარი. ქართველებმა ეს ჯარი დაამარცხეს, მაგრამ ლაშქრობა აღარ გაუგრძვიათ თავიანთ რიცხვის

სიმცირის გამო და დაბრუნდენ მაშინვე. მსახურთ-უხუცესის ივანე მხარგძელის რჩევით ახლა დავითმა გაილაშქრა გელაქუნსა, სპარსიბაზირსა და გორალაუქზე, მოარბია ეს ქვეყნები და ძლევა-მოსილი დაბრუნდა.

ამნაირად ქართველებმა ორის წლის ლაშქრობით თავ-ზარი დასცეს მეზობელს მტრებს და ერთხელ კიდევ აგრძნობინეს თავიანთი ძალა, რაიცა საჭირო იყო იმათ ასალაგმავად. ადირბეჟანის ათაბაგი ამირბუბაქარი ძალიან შეწუხებული იყო და ნატრობდა ქართველების ჯავრის ამოყრას. სწორედ ამ დრის მასთან მივიდა თავის მოუსვენარის ხასიათის გამო კონსტანტინოპოლითგანაც გამოძევებული გიორგი რუსი და მფარველობა სთხოვა. ათაბაგმა ამირბუბაქარმა სიამოვნებით მიიღო გიორგი რუსი და საცხოვრებლად მისცა არანის ქვეყანა. გიორგი რუსმა აქ იშოვა ჯარი, შემოესია ქიზიყს და მოარბია ეს ქვეყანა. გაიგო თუ არა გიორგის შემოსევა ხორნაბუჯის ციხის თავმა მახატელიძემ, მაშინვე გამოეკიდა მას თავის სამის შვილით და მცირეოდენის ჯარით, გაუმართა ბრძოლა და დაამარცხა (1194 წ.). გიორგი რუსმა უშველა თავს გაქცევით ორის მონის ამარამ. ეს იყო და ეს, ამის შემდეგ გაჰქრა სახსენებელი გიორგი რუსისა.

თავის ძალ-ღონით რომ ვერაფერი დააკლო-რა ქართველებს, ადირბეჟანის ათაბაგმა ამირბუბაქარმა

მიმართა ხალიფას და სთხოვა, რომ გაეცა ბძანება, რათა მთელის მის საბძანებლითგან შეკრებილიყო ჯარი საქართველოს წინაამდეგ გასალაშქრებლად. ხალიფამაც გასცა ასეთი ბძანება და გადასდო თავის ხაზინითგან აუარებელი ოქრო-ვერცხლი ამ ლაშქრობისთვის, რომელსაც უნდა ბოლო მოეღო მეტის-მეტად გაძლიერებულის საქართველოსათვის. ადირბეჟანის ათაბაგის ძმა ამირმირანი, გამოძევებული თავის სამფლობელოთგან—არანითგან, ამ დროს სცხოვრობდა თავის სიმამრს შირვანშა აღსართანთან. როდესაც ამირმირანმა გაიგო თავის ძმის განზრახვა, გამოუგზანა მოციქულები თამარ მეფეს და სთხოვა, რომ მიეთხოვებინა მისთვის ასული რუსუდანი, დაბადებული 1193 წ., და შესწევნოდა თავის სამფლობელოს დასაბრუნებლად. თამარმა ასულის მითხოვებაზე უარი უთხრა, ხოლო შველას-კი დაჰპირდა. იმავე დროს თამარმა გასცა ბძანება ჯარი შეკრებილიყო ყველა მხრითგან, რომ მზად ყოფილიყო მტრის დასახვედრად. ლაშქარი მალე შეიყარა და დაბანაკდა სომხითში. ამირმირანი და შირვანშა აღსართან თავიანთ ჯარით და მხლებლებით მოვიდენ საქართველოში. თამარ მეფემ და დავით სოსლანმა დიდის ამბით მიიღეს და დიდის პატივით ისტუმრეს ისინი. თამარ მეფემ ისურვა, რომ ისინი მიეღო ტფილისში კი არა, არამედ აგარაში (სომხეთშია). რუსუდან დედოფლის განკარგულებით აგარათა ჭა-

ლაში დადგეს კარავი და მორთეს დიდებულად. შიგ დადგეს ოქროს ტახტი თამარისთვის. ტფილისითგან რომ გაემართენ აგარაში თამარი, დავით და მათი შვილი გიორგი ლაშა, გზაში მათ რიგ-რიგად ეგებებოდენ სხვა-და-სხვა თემის ჯარები. პირველად მიეგებენ ყივჩაყები და ოსები, შემდეგ ერელები და კახელები, იმათ შემდეგ ქართლელები, შემდეგ მეს-

გიორგი ლაშა, თამარ მეფე, დავით სოსლანი.

ხები, თორელები და შავშ-კლარჯ-ტაოელები, ამათ შემდეგ სომხითარები და ბოლოს აფხაზები, სვანები, მეგრელები, გურულები და რაჭა-თავკვერ-არგვლები. თვით კარავის კარს თამარს და დავითს მიეგებენ ხელისუფლები და შინაურები. თამარ მეფე, დავით სოსლანი და გიორგი ლაშა რომ შევიდენ

კარავში, მათ შემდეგ პირველად შევიდა შირვანშა, როგორც ნათესავი, და მოიკითხა მეფენი. შირვანშას მიჰყვა ამირმირან, ამას მათი დიდებულები. თამარმა დიდის მოწყალებით მიიღო ყველანი და გაუმართა პურობა და ნადიმი. თამარი დარჩა აგარაში ერთი კვირა, რის გამავლობაში სტუმრებს ანადირებდა. ასეთს ქეიფსა და გართობაში იყვენ სტუმრები და მასპინძლები, როდესაც მოვიდა ამბავი, რომ ათაბაგს ჯარი შეუყრია და ნახჩევნითგან საქართველოსკენ მოდისო. თამარ მეფემ მაშინვე შეჰყარა დიდებულები და მოახდინა ზრახვა. დიდებულებმა გადაწყვიტეს ახალის ჯარის მოწვევა. ანტონ ჭყონდიდელმა გაგზანა სამეფოს ყველა კუთხეებში ბძანება, რომ ლაშქარი სწრაფად შეგროვილიყო, ხოლო მონასტრებსა და ეკლესიებს მიუწერა, რომ განუწყვეტელი ლამისობანი და ლიტანიობანი აესრულებინათ. ათის დღის გამავლობაში ყოველის მხრით მოვიდა ქართველი ლაშქარი, რომელმაც დაიბანაკა სომხითში. თვით თამარ მეფემ დაათვალიერა შეკრებილი ჯარი და მიმართა გამამხნევებელის სიტყვებით, დალოცა ლაშქარი და გაისტუმრა. ლაშქარს წინ მიუძღოდა ანტონ ჭყონდიდელი ძელი-ცხოველით, ხოლო მთავარ-სარდლობდა დავით სოსლანი. მასთან იყვენ ყველა ქართველი მხედართ-მთავარი და შირვანშა და ამირმირან თავიანთ ჯარით. როდესაც ქართველები მივიდენ

ძეგამს შანქორის ახლოს, აქ შეიტყეს მზვერავებისაგან, რომ შანქორსა და განჯას შუა დაბანაკებული იყო აუარებელი მტრის ჯარი. დავით სოსლანმა მაშინვე გააწყო ჯარი რაზმ-რაზმად და დასძრა შანქორისკენ მტერთა შესახვედრად. ქართველების ჯარი გაიყო ორად სხვა-და-სხვა მხრით შანქორის მოსავლელად. დავით სოსლანი თავის რაზმით გავიდა მტკვარს და მის მოწინავეებს შეექნათ ბრძოლა მტერთან, რომელსაც ხელს უწყობდა გზისა და ადგილის უვარგისობა. ხშირი ბალი და კაპანები (ქვაღოჯი) უშლიდენ ქართველებს თავისუფლად სიარულს. მოწინავეები შეწუხებულნი იყვენ მტერთაგან. ზაქარია ვარამის ძეს მხარგძელს და ბევრს სხვა წინამბრძოლს დიდებულს მოუკლეს და დაუჭრეს ცხენები, ასე რომ მათი საქმე ცუდად იქნებოდა, იმ დროს მათ რომ არ მიშველებოდენ ზაქარია და ივანე სარგისის ძენი მხარგძელნი, რომელთაც გაამხნევეს და გაამაგრეს ისინი. მალე თვით დავით სოსლანიც მივიდა მათთან და, რა იხილეს გაჭირებულმა მოწინავეებმა დავითი და მისი რაზმის დროშა,— დროშა, რომელიც ვახტანგ გორგასალს ჰქონდა ინდოეთში და თითქო სიბერისაგან სულ გათეთრებულიყო, უფრო გაბედულად შეუტიეს მტრებს. მტრები ახლა-კი შეირყენ, ველარ გამაგრდენ ერთს ადგილს და ზურგი იბრუნეს. ქართველები დაედევნენ და გააქციეს აურაცხველი ჯარი. ქართველებმა

სდიეს მათ კარგა შორს მანძილამდე, დახოცეს, დაატყვევეს მრავალი და მთელი მათი ქონება ხელთ იგდეს. საღამოზედ შემოიქცენ ისევ შანქორისკენ და გაათიეს ღამე იმ ალაგას, სადაც წინა ღამით სპარსელები იყვენ. მეორე დღეს დილით შანქორელები მოვიდენ დავითთან და მიართვეს ციხის კლიტე. დავითმა აიღო შანქორი და მისი მიმდგომი ციხე-ქალაქები და, დაპირებისამებრ, გადასცა ამირმირანს (1195 წ. თიბათვეში).

შანქორის აღების შემდეგ დავით სოსლანი მიადგა განჯას. წინ გამოეგებენ მას ქალაქის დიდებულები. დიდ-ვაჭრები, ყადები და მუსალიმები, თაყვანი სცეს და სთხოვეს მშვიდობა. დავითი დაჰპირდა მშვიდობას და დიდის ამბით შევიდა ქალაქში. გზა ქალაქის კარითგან სულთანის სასახლემდის დაფენილი იყო სტავრითა. მიმავალს დავით სოსლანს ხალხი ეგებებოდა თაყვანისცემითა და აყრიდა ოქროსა და ვერცხლსა. დავით სოსლიანი შევიდა სულთანის სასახლეში და დაჯდა სასულთნო ტახტზედ. მაშინათვე შეიქნა დარბაზობა. შირვანშამ და ამირმირანმა დაიჭირეს დავითთან მახლობელი ადგილი. მათ შემდეგ დასხდენ ქართველი დიდებულები თავთავის ადგილს, როგორც წესი იყო. გაიმართა პურობა და ნადიმობა. განჯელებმა დიდ-ძალი ძღვენი მიართვეს დავით სოსლანს და იტვირთეს ხარაჯა. ქალაქიც დავითმა გადასცა ამირმირანს.

ქართველების გამარჯვებისა და განჯის აღების მახარობლად დავითმა თამართან გაგზანა მანდატურთ-უხუცესი ჭიაბერი, ხოლო რავდენისამე დღის შემდეგ თითონაც ქართველის ლაშქრით წამოვიდა ტფილისს. თამარ მეფე გაეგება ლაშქარს ქალაქის გარედ, მიულოცა გამარჯვება და მოიკითხა ყველანი დედა-შვილურად. ტფილისის არე-მარე გაივსო ქართველის ლაშქრით, ტყვეებით და აუარებელის ალაფით. მატიანის თქმით, ტყვე და საქონელი იმდენი იყო, რომ ხელთ ეჭირა მთლად დიდუბის ველი ავქალამდის. სახელდობრ, ტყვე იყო 12,000, ავაზა 40 *), ცხენი 20,000, ჯორი 7,000, აქლემი 15,000, ამათ გარდა აუარებელი ოქრო, ვერცხლი, თვალ-მარგალიტი, ჭურჭელი და ფარჩეულობა. ნატყვენავითგან სამეფოდ აიღეს ერთი მეხუთედი, დანარჩენი დაურიგეს ლაშქარს და მის წინამძღოლებს. ამ ნატყვენავში ერთი უფრო ძვირფასი და შესანიშნავი, თავის მნიშვნელობით მუსულმანთათვის, იყო თვით ხალიფას დროშა, რომელიც თამარ მეფემ შეწირა გელათის მონასტერს.

დამარცხებულმა ამირბუბაქარმა ვერ მოითმინა გამარჯვება თავის ძმისა, რომელსაც ქართველებმა გადასცეს განჯა და მთელი არანი, და ძალით რომ

*) ავაზა არის პატარა ვეფხი; ნიშნავს აგრეთვე მეძებარს ძაღლს.

ვერას გახდა, მოინდომა მისი მზაკვრულად მოკვლა. მოისყიდა კაცი და გაგზანა განჯას ამირმირანის მოსაწამლავად. ამირმირანი მართლა მოწამლულ იქნა. ეს ამბავი განჯითგან შეატყობინეს თამარს და სთხოვეს შემწეობა. თამარმა გაუგზანა წამალი და თან განკარგულება მოახდინა, რომ დავითი წასულიყო ჯარით განჯის დასაჭერად, თუ ამირმირანი მოკვდებოდა ან ამირბუბაქარი მოინდომებდა მის დაჭერას. წამალმა ველარ მიუსწრო და მოკვდა ამირმირანი. ამირბუბაქარიც ამას ელოდა, სწრაფად მიადგა ჯარით განჯას, აიღო ძალით ეს ქალაქი და დაიჭირა არანის ყველა ციხე-სიმაგრეები, ხოლო თითონ უკანვე გაბრუნდა. ჯარით განჯისკენ მიმავალმა დავითმა ეს ამბავი გაიგო შანქორში და უკან დაბრუნდა, რადგან შველა დაგვიანებული იყო, ხოლო განჯის და ციხე-სიმაგრეების წართმევისათვის საკმარისი ჯარი აღარა ჰყავდა. დავითი შეუდგა დიდის ჯარის შეგრევეჟს, ხოლო ამ დიდის ჯარის შეგროვებამდე თამარ მეფემ მიანდო ივანე მხარგძელს გელაქუნზე გალაშქრება. ივანე გაემართა მცირე ჯარით და მიმავალს გელაქუნისკენ შეხვდა წინ მტრის დიდი ჯარი, განჯითგან დაბრუნებული. ივანე ამ ჯარს შეებრძოლა და დაამარცხა, დაიჭირა ანბერდი *) და უკან დაბრუნდა. ქართველი ლაშქა-

*) ვარდანი (Additions, p. 270),

რი მალე შეიკრიბა და დავითი წაუძღა განჯისკენ. 13
დავითმა მიიწვია სალაშქროდ შირვანშაც. ქართველებმა მოილაშქრეს არანი და მიადგენ განჯას, სადაც დარჩენ 25 დღეს, დაიმორჩილეს ეს ქალაქი, დაადეს ხარაჯა და დიდის ალაფით დაბრუნდენ. თამარმა შირვანშა დიდად დასაჩუქრებული გაისტუმრა თავის ქვეყანაში (1196 წ.).

ამ გამარჯვების შემდეგ თამარ მეფე და დავითი გადავიდენ ლიხთ-იმერეთს შავის ზღვის პირად დროს გასატარებლად. აქ მათ შეიტყეს თურქთა შემოსევა არტანის ქვეყანაში, ძალლის-ხევში და პალაკაციოში. მეფის ბძანებით ქართველი ჯარი გაემართა თურქების გასადევნად. ქართველები დაეწიენ თურქებს ბასიანში, სადაც ისინი დაბანაკებულნი იყვენ, იმ ადგილს, რომელსაც ერქვა სისხლის-მუცელი, და შეებრძოლენ. თურქები დიდათ დამარცხდენ და გაიქცენ (1197 წ.) *).

*) ამირმირანის მოწამლვა, განჯის ხელმეორედ აღება და თურქთა შემოსევა მოთხრობილია „ქართლის ცხოვრების“ მარიამ დედოფლის და თეიმურაზის ვარიანტებში, ხოლო განმარტებული აქვს ბ-ნს თ. ჟორდანიას თავის ქრონიკების I ტომში (იხ. გვ. 288).

VI.

ყარსის დაჭერა.—ომი იკონიის სულთანს ნუქრდინთან და მისი დამარცხება.—ტრაპიზონის იმპერიის დაარსება.—ყარსის დაკარგვა და ხელმეორედ აღება.

საქართველოს საზღვრების სიმაგრისთვის საჭირო იყო ყარსი, რომელიც ჯერ კიდევ თურქებს ეჭირათ. თამარმა ამიტომ გაგზანა ლაშქარი ამ ციხის ასაღებად. რაკი ქართველების გალაშქრება შეიტყეს თურქებმა, არც-კი გამაგრებულან, ანებეს ყარსს თავი და დაუტოვეს ქართვვლებს (1201 წ.). თამარმა ყარსის მცველად დანიშნა ივანე ახალციხელი. ივანე ახალციხელმა ყარსითგან იწყო გარემო ქვეყნების რბევა და დაიპყრო კიდეც ისინი. თამარმა უბოძა მასვე ყარსისა და მისი მიმდგომი ქვეყნები და გახადა ამირათ-ამირად და ათაბაგად ამ ქვეყნებისა.

საქართველოს მოსაზღვრე მუსულმანებმა იგრძნეს ქართველების ძალა და დაინახეს, რომ მათი მტრობა ძვირად უჯდებოდათ. ამიტომ იმათ მიმართეს ხალიფას და სთხოვეს ეშუამდგომლა თამარის წინაშე, რომ მათი ქვეყნები არ აეოხრებინათ ქართველებს. ხალიფამ გამოუგზანა თამარს მოციქულები ძღვნითურთ და სთხოვა, რომ დასჯერებოდა მუსულმანთაგან ხარაჯის აღებას და არ ეხმარა მათზე მახვილი. თამარსაც ეს უნდოდა და ასეთი პასუ-

ხი მისცა ხალიფას: „აღმისრულებიეს თხოვნა შენი: რომელთაც ინებონ მშვიდობა თავთა თვისთა და მოიღონ ხარკი წინაშე ჩემსა, ამათდა მიმინიჭებიეს მეცა ცხოვრება ვედრებისათვის შენისა“.

მაგრამ იკონიისა და მცირე აზიის სულთანს ნუქარდინს არაფრად ეპიტნავებოდა ქართველების გაძლიერება. შანქორის გამარჯვებისა და ყარსის აღების შემდეგ ნუქარდინმა გადაწყვიტა ქართველების წინააამდეგ გალაშქრება და შურისძიება მუსულმანთა დამარცხებისათვის. ამ აზრით იმან გადასდო დიდძალი ფული, მოიწვია ყოველის მხრით ჯარი და ამხედრდა. მატიანის თქმით, იმან დასძრა 400,000 *) კაცი. საქართველოში შემოსევამდის თავის ძალღონის მოიმედე ნუქარდინმა გამოუგზანა მოციქული თამარ მეფეს და მოსწერა: „მე, ნუქარდინ, სულთანი ყოვლისა ცასქვეშეთისა, უმაღლესი, ანგე-

*) მარიამ დედოფლის და თეიმურაზის „ქართლის ცხოვრების“ ვარიანტებში სწერია — „ოთხმეოცი ბევრი, რომელ არს ოთხასი ათასი“, ხოლო ბროსეს დაბეჭდილში „ოთხმეოცი ბევრი, რომელ არს რვა ათასი“. 80 ბევრი არის რვაასი ათასი, ასე რომ ყველა ვარიანტებში შეცდომაა. ჩვენის აზრით, პირველს ორს ვარიანტში უნდა ყოფილიყო „ოთხმეოცი ბევრი“-კი არა, არამედ „ორმეოცი ბევრი“, რაიცა იქნება სწორედ ოთხასი ათასი. ხოლო ბროსეს ვარიანტში, სადაც სდომებიათ ძველის ვარიანტის შეცდომის გასწორება, შეცდომად მიუღიათ არა „ოთხმოცი ბევრი“ არამედ „ოთხასი ათასი“ და მოუნდომებიათ გასწორება, მაგრამ გადასწორების

ლოსთა მსგავსი, ღვთის თანამდგომი, მოვლინებული დიდის მაჰმადისაგან, მოგიმცნობ ქართველთა მეფეს თამარს: ყოველი დიაცი რეგვენია. შენ გიბძანებია ქართველთათვის ხმლის აღება, ღვთისგან შეყვარებულის მუსლმანთა ერის დახოცვა და თავისუფალს ხალხზე ყმურის ხარკის დადება. ახლა მოვალ მე, რომ გასწავლო შენც და შენს ერსაც არ აღება ხმლისა, რომელიც ღმერთს ჩვენთვის უბოძებია. გადარჩენით მხოლოდ ისინი გადამირჩებიან, რომლებიც ჩემს მანდ მოსვლამდე თავს დამიკვრენ ჩემის კარვის წინ, აღიარებენ მოჰამედ მოციქულის ქადაგებას და უარს ჰყოფენ შენს სჯულს". მოციქულმა არ იკმარა ამისთანა წერილის მოტანა და დიდებულთა წინაშე თითონაც თქვა: „უკეთუ მეფემან თქვენმან დაუტევოს სჯული, იპყრას სულთანმა ცოლად, და უკეთუ არ დაუტევოს სჯული, იყოს ხარჭად (ხასად) სულთანისა". ამისთანა თავხედურმა სიტყვებმა საშინლად გაარისხა ამირსპასალარი ზაქარია მხარგძელი. და აღელვებულმა ისეთი ლონიერი სილა გააკრა მოციქულს, რომ უკანასკნელი გულშეწუხებული წაიქცა. როდესაც ის მოსული-

ბის დროს მოსვლიათ წერაში უფრო დიდი შეცდომა, რვაასი ათასის მაგიერ დაუწერიათ რვა ათასი.

ჩვენ უფრო გვჯერა მცირე რიცხვი 400,000, რადგან 800,000 ჯარის-კაცი ძალიან დიდი ძალა იყო მაშინდელის დროსთვის.

ერდა, ზაქარია მხარგძელმა უთრა: „მოციქული რომ არ ყოფილიყავ, სამართლიანი იყო პირველად ენის მოკვეთა შენი და შემდეგ თავისა“.

თამარმა წაიკითხა თუ არა ნუქარდინის წერილი, მაშინვე მოიწვია დიდებულები და გამართა ბჭობა. დიდებულებმა დაადგინეს, რომ ფიცხლავ მოეხმოთ ლაშქარი და ომი გამოეცხადებინათ ნუქარდინისთვის. რავდენსამე დღეს შეიკრიბა მთელის საქართველოს ლაშქარი ჯავახეთში ვარძიის მონასტერთან. ჯარს მოთავეობდა დავით სოსლანი. ვარძიითგან ქართველები დაიძრენ ყარსისკენ. თამარიც წინ მიუძღოდა ქმართან ერთად. ყარსამდის ერთის დღის სავალი რომ დარჩა, თამარმა გააჩერა ჯარი და ნუქარდინთან გაისტუმრა მისი მოციქული, რომელსაც თავისიც თან გააყოლა წერილითურთ. თამარი ამ წერილით ატყობინებდა ნუქარდინს, რომ ის გზანის მასთან თავის მხედრობას არა მის თაყვანის საცემლად, არამედ საბრძოლელად. შემდეგ გამოეთხოვა ჯარს, დაბრუნდა სამცხეს და დადგა ოძრხეს, სადაც მას ახლდენ თევდორე კათოლიკოზი, ეპისკოპოზები და ივანე შავთელი.

ქართველები მივიდენ ბასიანს, სადაც ნუქარდინი თავის ჯარით დაბანაკებული იყო. მტრის ბანაკს ეჭირა უშველებელი ალაგი. დამყარებულს თავის მრავალის ჯარის ძალაზე ნუქარდინს არც-კი ჰყავდა დაყენებული ყარაულები, რომ ქართველების

მისვლისთვის ედევნებინა თვალ-ყური. ამიტომ ქართველები ისე მივიდენ ბანაკთან, რომ თურქებმა ვერა გაიგეს-რა. დავით სოსლანმა გააწყო ჯარი თავს დასასხმელად. წინამბრძოლებად, ჩვეულებისამებრ, დააყენა მესხები, რომელთაც წინამძღოლობდენ ამირ-სპასალარი ზაქარია მხარგძელი და ძმანი ახალციხელნი შალვა და ივანე; მარჯვენა მხრით იმერნი, მარცხენა მხრივ ამერნი. ქართველებმა ააჩქარეს ცხენები და ისე გაემართენ ბანაკისაკენ. თურქებმა რომ დაინახეს ქართველების ასეთი გულდაგული თავდასხმა, შეეშინდათ და სიმაგრეებისაკენ გაეშურენ. ქართველები უმეტესის სისწრაფით მიეტიენ და გარს შემოერტყენ თურქებს. თურქები იძულებულები შეიქნენ ეომნათ. ომის დროს ივანე მხარგძელს, ზაქარია ვარამის ძეს მხარგძელს, გრიგოლ ასათიძეს, შალვა და ივანე ახალციხელებს და ბევრს სხვა დიდებულებს ცხენები დაეხოცათ და ქვეითად იბრძოდენ. მაშინ სხვა მათი ამხანაგებიც ჩამოხტენ და ქვეითად დაიწყეს ბრძოლა. მხოლოდ დავით სოსლანი და ზაქარია მხარგძელი ამირსპასალარი თავიანთ ცხენოსანს რაზმებით მოშორდენ მათ და მოუარეს მტერს,—დავით სოსლანმა მარცხენა მხრით, მხარგძელმა მარჯვენა მხრით,—მიეტიენ უცებ და დაუშინეს მედგრად. მტრის ჯარი შეირყა, იძლია ქართველთაგან და ზურგი შემოაქცია მათ. ქართველები გაედევნენ გაქცეულებს, ხოცავდენ და ტყვედ

იჭერდენ. ქართველებს დარჩათ მთელი ბანაკი, სადაც აუარებელი სიმდიდრე იყო: ოქრო, ვერცხლი, თვალ-მარგალიტი და პირუტყვი საქონელი. თამარ მეფე და დავით სოსლანი დიდის ამბით დაბრუნდენ ტფილისს. მოქალაქეებმა ძლევა-მოსილის მეფისა და ლაშქრის მისალებად მშვენიერად მოკაზმეს ქალაქი. ტფილისშივე ჩაასხეს დიდებული ტყვეები და დიდის ამბით გაატარეს ტფილისის ქუჩებზე ნუქარდინის დროშა (1202 წ.).

1204 წელს ევროპიელმა ჯვაროსნებმა აიღეს კონსტანტინოპოლი და დააარსეს ვიზანტიის ადგილს ლათინთა ქვერია. ამ ცვლილებით და არეულობით ისარგებლა ვიზანტიის იმპერატორის ანდრონიკეს შვილმა ალექსი კომნენოსმა, რომელიც, როგორც თამარის ნათესავი, ცხოვრობდა საქართველოში. იმან სთხოვა თამარს შემწეობა და ქართველის ჯარის დახმარებით აიღო შავის ზღვის პირად მდებარე ქალაქები და ქვეყნები: ~~ლაზია (ჭანეთი), ტრაპიზონი, სამსონი, სინოპი, კერასუნდი, კიტორა, ამასტია~~ და ~~ირაკლია~~, რომლებიც დამოუკიდებელ ტრაპიზონის იმპერიად გამოაცხადა, ხოლო თავის-თავი იმპერატორად (1204 წ.).

დროთა გამავლობაში ქართველებს ხელითგან წაუვიდათ ყარსის ციხე, რომელიც ~~ხლათის~~ მფლობელს ეჭირა. ქართველები ბევრს ეცადენ მის დაბრუნებას, რავდენჯერმე გაილაშქრეს ხლათის ქვეყანაში, აიღეს

ბევრი ქალაქი და დაიჭირეს ყარსის ყველა მიდამოები, მაგრამ თვით ყარსი-კი მისის მაგარის მდებარეობის გამო ვერ აიღეს *). ბოლოს 1206 წ. თამარმა კიდევ გაგზანა მის დასაჭერად ჯარი დავით სოსლანის წინამძღოლობით, თითონ ჯავახეთში დადგა და იქითგან ელოდა ამბავს. ქართველებმა ციხეს შეუკრეს წყალი და მით აიძულეს მცხოვრებლები დამორჩილებულიყვენ. შეწუხებულმა ყარსელებმა შემოუთვალეს თამარ მეფეს, რომ ისინი დამორჩილდებოდენ იმ პირობით, რომ ციხე სხვისთვის კი არ მიეცა, არამედ თავისთვის სამეფოდ დაეტოვებინა. თამარი დაჰპირდა ამ თხოვნის შესრულებას. როდესაც ყარსელებმა ციხის კლიტე მიართვეს თამარს, მან უბძანა თავის შვილს გიორგი ლაშას, რომ თვითონ შესულიყო ციხეში და ჩაებარებინა **).

VII.

დავით სოსლანის სიკვდილი.—ანის აღება და აკლება არდებილის სულთნის მიერ.—არდებილის აღება და აკლება ქართველების მიერ.

გამარჯვებათაგან გამოწვეული სიხარული და ბედნიერება თამარისა ბოლოს დაარღვია მის ქმრის

*) არაბელთ და სპარსელთ მწერალთა ცნობანი (მოამბე 1898 წ. № I, გვ. 21).

**) იბნალათირი მოუთხრობს, რომ შეწუხებულმა ციხის უფროსმა ყარსი დაუთმო ქართველებს მორიგებით და ქართ-

დავით სოსლანის სიკვდილმა (1207) წ. *) თამარს დარჩა მისგან ორი შვილი—ქალ-ვაჟი: გიორგი ლაშა თხუთმეტის წლისა და რუსუდან თორთხმეტის წლისა. ამავე წელს თამარმა, თავის მამის მაგალითით, გიორგი ლაშა აკურთხებინა მეფედ და თანაზიარი გაიხადა მეფობაში.

1208 წ. არდებილის სულთანი მოულოდნელად დაეცა ანის ქალაქს და გააოხრა. ამ დროს თამარ მეფე გეგუთში იყო. არდებილის სულთანმა ანის აოხრებისთვის აირჩია აღდგომა დღე. დიდის სიფრთხილით წამოვიდა, გზაში არავის დაუშავა-რა და მიადგა ანს დიდს შაბათს, აღდგომის ძალზე. ანელები სრულებით არ ელოდენ მტრებს და გართულნი იყვენ მზადებაში აღდგომის დღესასწაულის შესახვედრად. მოაწია ცისკრის დრომაც და ზარების რეკა ასტყდა. ხალხმა იწყო დენა საყდრებში. ამ დროს გააღეს ქალაქის კარებიც. სპარსელები დაუბრკოლებლად შეესიენ ქალაქს და იწყეს მცხოვრებლების ჟლეტა. უცებ მოედო მთელს ქალაქს

ველთაგან სამაგიეროდ დიდი ფული მიიღოვო (იხ. არაბელთ და სპარსელთ მწერალთა ცნობანი იქვე გვ. 25).

*) სომეხთა და მუსულმანთა ზოგიერთი მწერლები და ზოგიერთი ქართული წყაროებიც თამარ მეფის სიკვდილს ამ წელს უჩვენებენ. ეს შეცდომა წარმოსდგება იქითგან, რომ თამარიც და დავითიც მეფედ იწოდებოდენ და ერთის სიკვდილი მეორის სიკვდილად მიუღიათ.

მტრების შემოსევის ამბავი. ხალხი მეტის-მეტად შეშინდა. ზარ-დაცემულები იმალებოდენ, საცა-კი შეეძლოთ: საყდრებში, სახლებში და მღვიმეებში. მტრები შეუბრალებლად დაერიენ და უწყალოდ ამოხოცეს, ვინც-კი ნახეს. მარტო საყდრებში 12,000 კაცი დახოცეს. ალაფით დატვირთული მტერი წავიდა უკანვე.

ეს საზარელი ამბავი თამარმა გაიგო გეგუთში კვირაცხოვლობა დღეს. გამოუთქმელი იყო მწუხარება თამარისა და დიდებულებისა. თამარმა მაშინვე გამართა რჩევა იმის შესახებ, თუ რა ექნათ. ყველა დიდებულები იმ აზრისა იყვენ, რომ ამხედრებულიყვენ არდებილის სულთანზე შურის საძიებლად. ამირსპასალარის ზაქარია მხარგძელის რჩევით შურისძიების დროდ არჩეულ იქნა ისეთივე დღე, როგორიც სულთანმა შეარჩია ანის ასაოხრებლად—მუსულმანთა მომავალი მარხვა. თამარმა გასცა ბძანება, რომ დანიშნულის დროსთვის შეკრებილიყო ლაშქარი ანში; ხოლო ამირ-სპასალარი მაშინვე წავიდა ანს მცირეოდენის ჯარით, ვითომ და სპარსთა გასაძევად, რომელნიც დარჩენილიყვენ. დანიშნულის ვადისათვის თავი მოიყარა ანში მესხეთის, თორის, კახეთის და სომხეთის ლაშქარმა. ამირ-სპასალარის ზაქარია მხარგძელის წინამძღოლობით ამ ჯარმა გადაიარა გელაქუნი, ჩაიარა ისპიანი, გავიდა არაქსზე და მიმართა არდებილს. ქართველები მიადგენ არ-

დებილს იმ დროს, როდესაც თენდებოდა მუსულმანთა დღესასწაული—აიდი, ე. ი., მთვარის აღვსება. არდებილელებმა სრულებით ვერ შეიტყეს ქართველების მისვლა. როდესაც დილით მუყრებმა*) იწყეს ყივილი, ქართველები მიესიენ ყოველის მხრით და აიღეს ქალაქი. ქართველებმა ახლა ისეთივე დღე დააყენეს არდებილელებს, რაც არდებილის სულთანმა ანის ქალაქს: დახოცეს მრავალი ხალხი მეჩეთებში, მათ შორის თვით სულთანიც, დაატყვევეს აგრეთვე მრავალნი, მათ შორის თვით სულთანის ცოლ-შვილიც, აიღეს უთვალავი ალაფი: ოქრო, ვერცხლი, თვალ-მარგალიტი და საქონელი და გამარჯვებულნი დაბრუნდენ. ზაქარია და ივანე მხარგძელები ნაშოვნის ალაფით მივიდენ თამართან, რომელიც იმ დროს კოლაში იყო (1209 წელს).

VIII.

ქართველების გალაშქრება სპარსეთში.

არდებილზე გალაშქრების დროს დაინახეს ქართველმა მხედართ-მთავრებმა, თუ რა სუსტი იყო სპარსეთი. ამიტომ იმათ აეძრათ სურვილი ამ ქვეყანაზე ამხედრებისა. მატიანის თქმით, ამირ-სპასა-

*) მუყრი — მოლა, რომელიც მინარეთითგან იწვევს ხალხს სალოცავად.

ლარმა ზაქარია მხარგძელმა, მისმა ძმამ ივანემ და ბიძაშვილმა მათმა ვარამ გაგელმა მოახსენეს თამარს: „ძლიერო ხელმწიფეო და შარვანდედთა შორის უმეტეს აღმობრწყინვებულო, იხილე და განიცადე სამეფო თქვენი და სცან სიმხნე და სიქველე სპათა შენთა. გულისხმა ჰყავ, რამეთუ მრავალნი ახოვანნი, მხნენი და ქველნი იპოვებიან სპათა შენთა შორის და არავინ არის წინაამდგომი მათი. აწ ბძანოს მეფობამან თქვენმან, რათა არა ცუდად ვაუქმოთ სპანი თქვენნი და დავიწყებასა მიეცეს სიმხნე მათი, არამედ აღვამხედროთ ერაყს რომგვარსა ზედა, რომელ არს ხვარასანი, რათა სცნან ყოველთა სპათა აღმოსავლისათა ძალი და სიმხნე ჩვენი“. ამ წინადადების განსახილველად თამარმა შეკრიბა დიდებულები, იმათაც მოიწონეს მხარგძელების რჩევა და გადაწყვიტეს გაელაშქრათ ხვარასანზედ (1210 წ.). ღვინობისთვეში ტფილისში შეიყარა ლაშქარი, რომელიც თამარმა დაათვალიერა, დალოცა და გაისტუმრა სპარსეთისკენ. ქართველებმა გაიარეს ნახიჩევანზე, გადავიდენ არაქსზე და შევიდენ დარდარუზის ვიწრო ხეობაში. პირველი ქალაქი, რომელიც აიღეს, იყო მარანდი. მცხოვრებლებმა ქართველების მოახლოვებაზედ დასტოვეს ქალაქი და გაიქცენ მთებში. ქართველებს ეგონათ, რომ ადარბადაგანის ჯარი მარანდის მთაზედ იქნებოდა. ამის გასაგებად ზაქარია მხარგძელმა—ამირ-სპასალარმა გაგზანა ხუ-

თასი რჩეული მხედარი, დიდებული და აზნაური, თაყიადინ თმოგველის წინამძღოლობით და დააბარა, რომ არ შებმოდენ მტერს, ვიდრე მას არ აცნობებდენ გარემოებას და შესაფერს ბძანებას არ მიიღებდენ. ქართველთა რაზმი ავიდა მარანდის მთაზედ და გადავიდა ვაკეზედ. გაქცეულმა მარანდელებმა რომ შენიშნეს ქართველების ისე მცირე რიცხვი, გამოვიდენ კლდეებითგან და შეებრძოლენ მათ. ქართველები მედგრად დაუხვდენ მარანდელებს, დაამარცხეს და გააქციეს. გაქცეულებს თან დაედევნენ. როდესაც ქართველთა უმთავრესი ლაშქარი ავიდა მარანდის მთა-ვაკეზედ, გაოცებულნი დარჩენ ქართველთ მხედართ-მთავრები. იმათ იქ დაინახეს ნაომარი, სადაც ეყარენ მარანდელები და მათი ცხენები, ხოლო ქართველები აღარსად ჩანდენ. მატიანის თქმით, „ხუთასი შუბი ხუთასსა კაცსა და ცხენსა ზედა ესვა“. ქართველების უპოვნელობამ შეაწუხა ამირ-სპასალარი ზაქარია მხარგძელი, რომელსაც ვერ წამოედგინა, თუ რა დაემართა მათ. მაგრამ პატარა ხანს უკან გამოჩნდენ ის ხუთასი ქართველიც და შეატყობინეს, როგორც იყო საქმე. ზაქარია მხარგძელისათვის სასიხარულო იყო ქართველების გამარჯვება და უვნებლად გადარჩენა მათი, რადგან, მატიანის თქმით, „არცა ერთი კაცი ქართველი მომკვდარიყო“, მაგრამ საყვედური მაინც უთხრა თაყიადინ თმოგველს ბძანების შეუსრულებლობისთვის.

მარანდითგან ქართველები გაემართენ თავრიზისკენ. თავრიზელებმა ამირ-სპასალარს გამოუგზანეს მოციქულები, გამოუცხადეს მორჩილება და დაჰპირდენ დიდს ძღვენს და ხარაჯას. ზაქარია მხარგძელმა ამ პირობით დაიჭირა ქალაქი, შიგ დააყენა ქართველი მცველები, მიიღო დიდი ძღვენი და განაგრძო ლაშქრობა. როდესაც ქართველი ჯარი მიუახლოვდა მანას ქალაქს, აქაურმა მელიქმაც თავრიზელების მაგალითით მორჩილება გამოუცხადა ამირ-სპასალარს და უძღვნა დიდი ძღვენი. ამირ-სპასალარმა აქაც დასტოვა მცველი ჯარი და განაგრძო გზა. პირველი ქალაქი, რომელმაც ქართველებს ურჩობა გაუწია, იყო ზანგანი. ქართველები შემოადგენ გარს ამ მცირე ქალაქს და იწყეს თხრა მის ალიზის ზღუდეებისა. ამ ქალაქის აღებისა და აკლების შემდეგ ქართველები გაემართენ ხვარასნისკენ. ყაზმინის მცხოვრებლებმა ვერ გაბედეს გამაგრება, გაიპარენ და გაიქცენ. ქალაქი დარჩათ ქართველებს. მას უკან ქართველებმა დაიპყრეს ხორასნის ქალაქი რომგვარი და შემდეგ ბურგანი. აქეთგან აპირებდენ კიდევ ლაშქრობის გაგრძობას, მაგრამ ნაშოვნი ალაფი და სიმდიდრე ლაშქრისა ისე დიდი იყო, რომ მათთან ტარება გაძნელდა. ამიტომ ქართველებმა იკმარეს ლაშქრობა და გამობრუნდენ უკან.

როდესაც ქართველები ძლევა-შემოსილნი დაიარებოდენ ხორასანში, მანას ქალაქში ვიღამაც გაა-

ვრცელა ხმა, რომ ქართველები ამოუწყვეტიათ ხორასანში ისე, რომ ერთი კაციც არ გადარჩენილაო. ქალაქის მელიქმა დაიჯერა ეს ჭორი და შემდეგი მხეცობა ჩაიდინა დატოვებულს ქალაქის მცველებზე: დაახოცინა ისინი და ძელზე ჩამოაკიდებინა. მაგრამ მანელებმა მალე შეიტყეს, რომ ტყუილი იყო ხმა ქართველების გაწყვეტის შესახებ, რადგან ცოტა ხნის შემდეგ ქართველთა ძლევა-მოსილი ჯარი მივიდა ისევ მანას. მელიქი წინ მიეგება ქართველებს დიდის ძღვნით. როდესაც ზაქარია ამირ-სპასალარმა იკითხა თუ სად იყვენ მისგან დატოვებული ქართველი მცველები, მელიქმა იცრუვა და უთხრა, რომ ისინი თავრიზს წავიდენო. მაგრამ ამ დროს საითგანღაც გაჩნდა ერთი იმ მცველთაგანი, რომელიც კლდეში დამალული გადარჩენილიყო მუსვრას და ყველაფერი მოახსენა ამირ-სპასალარს. გაბრაზებულმა ზაქარია მხარგძელმა საშინელი ჯავრი იყარა მოღალატეებზე. მელიქი, მისი ცოლ-შვილი და ნათესავები იქვე დაახოცინა. თვით მელიქს და მის შვილებს ტყავები დააძრობინა და ძელზედ (ბოძზედ) ჩამოაკიდებინა, ქალაქი მოაოხრა, მოწვა და ტყვე ჰყო. მანითგან ქართველები წამოვიდენ იმავე გზით, რომლითაც გამოიარეს. ყველგან წინ უხვდებოდენ მორჩილებით და აუარებელის ძღვნით. ამნაირის გამარჯვებით მოვიდენ ტფილისს, სადაც თამარ მეფე მიეგება გამარჯვებულს ლაშქარს. ქალაქმაც დიდის

ამბით იდღესასწაულა გამარჯვებულის ლაშქრის დაბრუნება. იყო განუწყვეტელი ხმა ბუკთა და დუმბულთა. თამარ მეფე შევიდა თავის სასახლეში და დაჯდა ტახტზედ. პირველად შევიდა მასთან ამირ-სპასალარი, მას მიჰყვენ სხვა წარჩინებულნი და დასხდენ რიგზე წესისამებრ. მერმე შემოიტანეს და დააწყეს მეფის წინაშე ის აუარებელი განძნი, რომელიც იშოვეს ქართველებმა ლაშქრობის დროს. გაუკვირდა ისეთი სიმრავლე განძთა თვით თამარსაც, რომელსაც თავის სიცოცხლეში ბევრი სხვა მდიდარი და მრავალი ნაალაფევი ენახა.

IX.

სიკვდილი ამირ-სპასალარის ზაქარია მხარგძელისა.— მხარგძელების გვარი—ივანე მხარგძელის გაათაბაგება.— დიდოების და ფხოველების დამშვიდება.

ბოლოს გადაიცვალა (1212) *) თვით უმთავრესი გმირი როგორც ამ უკანასკნელის ლაშქრობისა, ისე ბევრის სხვისა—ამირ-სპასალარი ზაქარია მხარგძელი. შესანიშნავია თამარის დროს მხარგძელების გვარი. ზაქარიას გარდა თამარის მეფობაში ბრწყინავდენ კიდევ თავიანთ მხედართ-მთავრულის ნიჭით, ვაჟკაცობით და სამსახურის ერთგულობით პირვე-

*) ვარდანი (Additions, pp. 275, 288); სტეფანოზ ორბელიანი (Histoire de la Siounie, p. 225).

ლად მამა მისი სარგისი, მერმე ძმა ივანე, შემდეგ ბიძაშვილები მისი ზაქარია და სარგის ვარამის ძენი და შვილნი უკანასკნელებისა: ვარამ გაგელი ზაქარიას ძე და თაყიადინ თმოგველი სარგისის ძე. თითქმის ყოველს ლაშქრობაში მხარგძელები იღებდენ მონაწილეობას და თავსაც იჩენდენ. ამის გამო თამარ მეფე აჯილდოვებდა და აწინაურებდა მათ. ჯერ სარგისსა და მერე მის შვილს ზაქარიას მისცა უდიდესი თანამდებობა მთელს სამეფოში—ამირ-სპასალარობა და ლორის სამთავრო; ივანეს—მსახურთ-უხუცესობა და ქვეყნები კაენისა და კაიწონისა ქალაქებითურთ; ზაქარია ვარამის ძეს გაგის ქვეყანა და მის ძმას სარგისს თმოგვი. ეს უკანასკნელი შესანიშნავი იყო აგრეთვე როგორც მწერალი, რომელსაც აკუთნებენ „ვისრამიანის“ გადმოქართულებას. მხარგძელები მომდინარეობდენ ერთის ქურთისაგან, რომელმაც, სასომხეთის მეფის სამსახურში შესულმა, მიიღო გრიგორიანთა სარწმუნოება და დაიკავა შესამჩნევი ადგილი სამეფოში. *) მეთორმეტე საუკუნეში მხარგძელები შევიდენ საქართველოს მეფის სამსახურში და თავის ერთგულობით და ვაჟკაცობით შესამჩნევი ადგილი დაიჭირეს, ასე რომ თამარის მეფობაში ყველაზე წარჩინებული და გავლენიანი გვარი იყო მხარგძელების გვარი. ზაქარია

*) ვარდანი (Additions, pp. 267, 268).

და ივანე სარგისისის ძენი თავიანთ პირადის სამსახურის გარდა შესანიშნავნი არიან აგრეთვე მეცადინეობით ქართველებისა და სომხების მოსარიგებლად და დასაახლოვებლად სარწმუნოებრივ. ივანემ პირდაპირ მიიღო მართლ-მადიდებლობა, ხოლო ზაქარიაკი ცდილობდა, რომ მთელს სომხის ერს შეეცვალა ზოგირთი საეკლესიო წესი და რიგი, რომლებიც ერთმანერთს აშორებდენ ამ ორს ერს. ამ აზრით იმან მიმართა სასომხეთის პატრიარქს და მეფე ლეონს, რომელთაც მოახდინეს კრება ამ საგნის გადასაწყვეტად (1205 წ.). კრებამ; თანახმად ზაქარიას სურვილისა, გადაწყვიტა, რომ სომხებს მიეღოთ ხსენებული ცვლილებანი, მაგრამ ამ კრების გადაწყვეტილებას წინააღმდეგობა გაუწიეს ზოგიერთმა საქართველოს სამფლობელოში მცხოვრებმა ეპისკოპოზებმა. ბევრს ეცადა ზაქარია, რომ ისინი დაეთანხმებინა, მაგრამ მისი მეცადინეობა უნაყოფოდ დარჩა *). მხარგძელების სურვილი სომხებისა და ქართველების შეერთებისა წამოსდგებოდა ნამდვილის სიყვარულისა და ერთგულობისაგან ორისავე ერისა. ისინი ხედავდენ, რომ ამ ორის ერის სარწმუნოებრივი გასხვავება არ იყო სასარგებლო არც ერთისთვის, ხოლო ერთობა-კი ძლიერ სასარგებლო იქნებოდა საზოგადო მტრების მოსაგერებლად.

---

*) Additions, pp. 283—287.

ზაქარია ამირ-სპასალარის სიკვდილის შემდეგ თამარ მეფემ მისი თანამდებობა უბოძა მის ძმას ივანეს, მაგრამ მან სთხოვა მეფეს, რომ მისთვის არ ეწოდებინა ამირ-სპასალარი, რადგან ღირსად არ სთვლიდა თავის თავს ძმის მოადგილედ. ამირ-სპასალარობის მაგიერ ივანემ სთხოვა თამარს, რომ მისთვის მიენიჭებინა ათაბაგის სახელი. ათაბაგობა არ იყო საქართველოში მიღებული და მხოლოდ თურქების სულთნებს ჰქონდათ ჩვეულებად, რომ მათ შვილების ამზრდელებს ათაბაგად იხსენიებდენ. რადგან ივანე იყო ამზრდელი გიორგი ლაშასი, ამიტომ სთხოვა ათაბაგად წოდება. თამარმა შეიწყნარა მისი თხოვნა და უწოდა ათაბაგი. მისი უწინდელი თანამდებობა-კი — მსახურთ-უხუცესობა უბოძა მის ბიძაშვილს ვარამ გაგელს.

თუ რაოდენად დიდი ადგილი ეჭირა საქართველოში და დიდი გავლენა ჰქონდა ივანე მხარგძელს იქითგან ჩანს, რომ მუსულმანი მწერლები მას უწოდებენ მეფეს. ისინი მოიხსენებენ ბევრს ისეთს მის ლაშქრობას მუსულმანთა სამფლობელოში, რომელთა შესახებ ჩვენი მატიანე არას ამბობს. ერთის ამისთანა ლაშქრობის დროს 1211 წ. ხლათის ქვეყანაში, ივანე შემთხვევით ტყვედ ჩაუვარდა მტრებს და გაათავისუფლეს მხოლოდ მაშინ, როცა ის დაჰპირდა ტყვეების გათავასუფლებას, დიდის სასყიდლის

მიცემას და თავის ქალის თამთას მითხოვებას ხლა-თის მფლობელის ოჰადისთვის *).

იმ დროს, როდესაც ქართველები ლაშქრობდენ სპარსეთში და თრგუნავდენ გარეშე მტრებს, თვით თამარის ქვეშევრდომმა დიდოებმა და ფხოელებმა ხელი მიჰყვეს რბევას, ხოცვას და ტყვევნას მახლობელის მაზრებისას. ფხოელები და დიდოები მეტის მეტად გაუვითარებელი და მოუხეშავი ხალხნი იყვენ, მეტადრე დიდოელები. ფხოელები სახელით მაინც იყვენ ქრისტიანები, დიდოები-კი მისდევდენ წარმართობას და უმსგავსს ჩვეულებას: თაყვანს სცემდენ უჩინარს ავს სულს და ცხოველებს, მაგ., უნიშნო შავს ძაღლს. ძმებს იმათში ერთი დედაკაცი ჰყავდათ ცოლად. სჭამდენ უხარშავს ხორცს და დამხრჩვალს საქონელსა. ამ ხალხების დაწყნარება თამარმა ათაბაგს მიანდო. ათაბაგმაც შეჰყარა ისევ მთის ხალხი: დვალები, ცხრაძმელები, მოხევეები, ხადელები, ცხავადელები, ჭართალელები და ერწოთიანელები. ამ ლაშქრით ავიდა ხადის მთაზე, გადაიარა მთა-მთა და მივიდა დიდოეთისა და ფხოეთის მთაზედ. მთის მეორე მხარეს მცხოვრებმა დურძუკებმა რომ გაიგეს ათაბაგის მისვლა, მივიდენ მასთან და დაჰპირდენ შველას. ათაბაგმა იწყო ფხოე-

*) არაბელთ და სპარსელთ მწერალთა ცნობანი („მოამბე“ 1898 წ. № I. გვ. 28 და 29); Additions, p. 271.

თის და დიდოეთის რბევა. იქ დარჩა სამს თვეს: ივნისს, ივლისს და აგვისტოს. ფხოელები და დიდოელები იძულებულნი იყვენ დამორჩილებოდენ ათაბაგს და დაწყნარებულიყვენ (1212 წ.).

X.

თამარ მეფის სიკვდილი.—მის მეფობის ვითარება.

1213 წელს თამარ მეფეს, ნაჭარმაგევში ყოფნის დროს, მატიანის თქმით, რაღაც სნეულება გამოაჩნდა. ბევრს ეცადენ მკურნალები მის მორჩენას, დაუძლურებული სნეულებისგან ჰაერის გამოსაცვლელად რავდენჯერმე გადაიყვანეს ერთის საზაფხულო ადგილითგან მეორეზედ, მაგრამ ვერას გახდენ და რავდენისამე ხნის ავადმყოფობის შემდეგ თამარ მეფე გადაიცვალა. დიდად სამწუხაროდ დარჩა მთელს ერს თავის საყვარელის მეფის სიკვდილი. მისი გვამი რავდენსამე დღეს დაასვენეს მცხეთის ტაძარში და შემდეგ წაასვენეს გელათში და დამარხეს სამეფო სამარხში, სადაც განისვენებდენ მისნი მამა-პაპანი

არც ერთი მეფე ქართველს ერს ისე არ ახსოვს როგორც თამარი. ხალხს ის მიაჩნია მეტის-მეტად ჭკვიანს, მშვენიერს და გულკეთილს ადამიანად. ერთის სიტყვით, ხალხის თვალში თამარი მოჩანს სანატრელს მეფედ. არ არის არც ერთი კუთხე საქართვე

ლოსი, სადაც თამარ მეფე არ ახსოვდეთ და არ მოუთხრობდენ მაზე სხვა-და-სხვა ამბებს. ბევრგან ელიან მის მეორედ აღდგენას და გამეფებას. ცხადია, ასეთი ხსოვნა რომ დაეტოვებინა, თამარი უნ-



კაბენის ეკლესია.

და ნამდვილად შესამჩნევი ყოფილიყო. თამარი რომ ძლიერ ლამაზი და მშვენიერი იყო, ამას მოწმობენ მემატიანენი და მის დროის პოეტები. სილამაზეს-

თან ის იყო მეტად კეთილის გულის ადამიანი. მას უყვარდა ბედისაგან დაჩაგრულები — გლახები და ობლები, რომელთაც უხვად აძლევდა მოწყალებას; ებრალებოდა ყოველი ადამიანი, რის გამოც მას თავის მეფობაში ერთხელაც არავინ დაუსჯია სიკვდილით და მუდამ მზად იყო მიეტევებინა დანაშაული. როგორც მხურვალე ქრისტიანი, აქცევდა უმთავრესს ყურადღებას საყდარ-მონასტრების შენებას, *) შეკეთებას და სამღვდელოების მფარველობას. სწირავდა არა მარტო საქართველოს საყდრებს, არამედ უცხო ქვეყნებისასაც. ბლომად მიდიოდა მისი შესაწირავი იერუსალიმს, სინაზე, ათონზე, შავს მთაზე, სირიაში და სხვაგან, სადაც-კი შესანიშნავი მონასტრები იყო. მატიანის თქმით, თამარის შეწირულობათა სიუხვით ისე მოიხიბლა საბერძნეთის იმპერატორი ალექსი III ანგელოზი, რომ ერთხელ კიდეც გაძარცვა კოსტანტინოპოლში ბერები, რომელთაც თამარისაგან შენაწირევი განძი მიჰქონდათ. ხარბის იმპერატორის შესარცხვენად თამარმა იმავე ბერებს უფრო მეტი განძი აჩუქა ამის შემდეგ. თამარის საყდრების მფარველობის ბრალია, რომ ახლა ხალხი, საცა-კი ძველი ნაშენი საყდარია, მის აშენებას თამარს მიაწერს.

---

*) სხვათა შორის თამარის აშენებულია ბეთანიის და კაბენის ეკლესიები და გათავებულია გიორგი მეფისგან დაწყებული ვარძიის მონასტერი.

სამეფოს მართვაში თამარმა აშკარად გამოიჩინა სიბრძნე მით, რომ ხელისუფლებად და მხედართ-მთავრებად ირჩევდა ღირსეულს პირებს. ამ სიბრძნე-სთან გამოიჩინა აგრეთვე ვაჟკაცური სიმხნე გაჭირ-



ბეთანიის ეკლესია.

ვებულს მდგომარეობაში მტრებთან ბრძოლის დროს. ის არას დროს არა ჰკარგავდა სასოებას და მოიმედე ღვთისა და თავის ხალხის ვაჟკაცობისა, აცილებდა

შოთა რუსთაველი.

ლაშქარს მტერთან საბრძოლველად. ქართველებიც, აღტაცებულნი თამარის მხნეობით და თავმომწონენი ნიჭიერის წინამძღვრებით, იბრძოდენ თავდადებით

და იმარჯვებდენ მტრებზე. ამ გარემოებათა მეოხებით საქართველომ თამარის მეფობაში მიაწია მძლავრობის უმაღლესს ხარისხამდე. პოლიტიკურს სიძლიერესთან საქართველო თამარის დროს ნივთიერადაც მეტის-მეტად გაღონიერდა და გონებრივადაც დაწინაურდა, მთელის მეთორმეტე საუკუნის გამავლობაში მონაგროვებს სიმდიდრეს იმდენივე დაემატა თამარის დროს. მაშინ ამობრწყინდენ ქართულის მწერლობის უკეთესნი წამომადგენელნი შოთა რუსთაველი და ჩახრუხაძე, რომელნიც გატაცებით აქებენ მის ადამიანობას, გონივრობას და სილამაზეს. თამარმა თავის ბრწყინვალე მეფობით დაავიწყა ერს მისი მართლაც რომ შესანიშნავი წინანდელი მეფეები და, რადგან, საუბედუროდ, თამარის შემდეგ საქართველო აღარ შესწრებია ამისთანა დროს, ამიტომ დარჩა მარტოდ-მარტო მოკაშკაშე მეფედ ქართველის ერის მეხსიერებაში.

საქართველოს ეკლესიამ, რომელსაც თამარმა დიდი ღვაწლი დასდო თავის მფარველობით, იგი ჩარიცხა წმინდათა შორის არა მარტო ამ მფარველობისათვის, არამედ მის წმინდა ცხოვრებისათვისაც და დღესასწაულობს მის ხსოვნას 1 მაისს. თამარის თანამედროვე ქართველთათვის არ იყო საკმარისი მისი წმიდათა შორის ჩარიცხვა. იგინი უფრო მაღ-

ლა აყენებენ თამარს და სთვლიდენ ღვთისა სწორად, როგორც ეს მოხსენებულია ზოგიერთს დოკუმენტებში და წარწერებში *).

*) იხ. ქრონიკები თ. ჟორდანიასი, ტ. II, გვ. 81, და ბაქრაძის შენიშვნა ვახუშტის საქართველოს ისტორიაში, გვ. 217, სადაც მოყვანილია გუჯრები, რომლებშიაც „თამარი წოდებულია „ღვთისა სწორად". ბ-ნ ექ. თაყაიშვილს და არ. ქუთათელაძეს თავიანთ არქეოლოგიურის მოგზაურობის დროს უნახავთ გომარეთის ახლოს ერთს პატარა ეკლესიაზე წარწერა: „თამარ ღვთისა სწორის ~~[illegible]~~ ცველო".

სარჩევი.

შესავალი.

გვ.

I. საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა.—მისი საზღვრები.—ქართველები და მათი მეზობლები 3

II. საქართველოს სოციალი წესწყობილება 6

III. სამოქალაქო და სამხედრო წესწყობილება . . . 11

IV. სამღვდელოება, საეკლესიო წესწყობილება, საეკლესიო კრებანი 16

V. გონების გავითარება.—მწერლობა.—მონასტრების ღვაწლი საქართველოში და უცხოეთში.—არაბების და სპარსელების გავლენა 18

VI. ეკონომიური მდგომარეობა. 21

დავით აღმაშენებელი.

I. საქართველოს მდგომარეობა დავით აღმაშენებელის გამეფების წინ. 24

II. საქართველო დავითის გამეფების წამს.—ზრუნვა მის მოშენებისათვის.—შეპყრობა და გადევნა ლიპარიტ ორბელიანისა. — პოლიტიკური ცვლილება აზიაში და მისი შედეგი 30

III. კახეთის შემოერთება დავითის მიერ.—რატი ორბელიანის სიკვდილი და მისი მამულის დაჭერა მეფისგან 34

IV. საეკლესიო კრება და მისგან დაწერილი ძეგლი . 36

V. სამშვილდის აღება.—თრიალეთზე თურქების დამარცხება.—გიორგი მეფის სიკვდილი.—რუსთავის

ალება.—ტაოში თურქების დამარცხება.—გიშის დაჭერა და გრიგოლიძეების შეპყრობა.—დიმიტრის გალაშქრება შირვანში.—მეფის გალაშქრება არაქსის ნაპირებზე.—ლორის და აგარანის ალება 42
VI. ყივჩაყების გადმოყვანა. 47
VII. ლაშქრობანი 1120 და 1121 წლებისა . . . 50
VIII. ალება ტფილისისა.—გალაშქრება შირვანში ორჯერ.—ალება დმანისისა.—გალაშქრება დარუბანდზე,—ალება სასრმხეთის ციხეებისა.—ალება ანისა.—გალაშქრება შირვანში.—ყივჩაყების მოწყობა 56
IX. დავით მეფის მოღვაწეობა. 63
X. დავით მეფის ოჯახი.—დიმიტრის მეფედ გამოცხადება.—დავითის ანდერძი 71

დიმიტრი I და დავით III.

I. ბრძოლა მტრებთან. 74
II. შინაური არეულობა 79
III. დავითი III-ის მეფობა. 82

მეუე გიორგი III.

I. ლაშქრობანი და ბრძოლანი. 84
II. შინაური არეულობა 93
III. საეკლესიო კრება.—თამარის სამეფოდ დანიშვნა.—ყაჩაღობის გავრცელება და მისი მოსპობა.—ბუდუხან დედოფლის და გიორგი მეფის სიკვდილი. 98

თ ა მ ა რ მ ე ფ ე.

I. დიდებულთა ამბოხება და მათი დაწყნარება.—საეკლესიო კრება.—შემოსევა და გადევნა მტრებისა თამარის მეფობის პირველს წლებში . 102

II. თამარის დაქორწინება გიორგი რუსზე.—ყივჩაყეების სამსასური საქართველოში.—გიორგი რუძის ლაშქრობანი.—გიორგის ცუდის ქცევის გამოჩენა და მისი გადევნა საქართველოთგან 106
III. თამარის ახალი საქმრები.—მისი მეორედ დაქორწინება დავით სოსლანზე. 112
IV. გიორგი რუსის პირველი შემოსევა საქართველოში და ერისთავების ღალატი.—მათი დამარცხება და გიორგის ხელმეორედ გადევნა . . 115
V. დავით სოსლანის პირველი ლაშქრობანი.—გიორგი რუსის ხელმეორედ შემოსევა და გადევნა.—შანქორის ომი და განჯის აღება.—ამ ქალაქის ხელახლად დაჭერა ამირ-ბუბაქრისაგან და ხელმეორედ აღება მისი ქართველთაგან.—თურქების შემოსევა არტანში 119
VI. ყარსის დაჭერა.—ომი იკონიის სულთან ნუქარდინთან და მისი დამარცხება.—ტრაპიზონის იმპერიის დაარსება.—ყარსის დაკარგვა და ხელმეორედ აღება 130
VII. დავით სოსლანის სიკვდილი.—ანის აღება და აკლება არდებილის სულთნის მიერ.—არდებილის აღება და აკლება ქართველების მიერ . 136
VIII. ქართველების გალაშქრება სპარსეთში 139
IX. სიკვდილი ამირ-სპასალარის ზაქარია მხარგძელისა.—მხარგძელების გვარი.—ივანე მხარგძელის გაათაბაგება.—დიდოების და ფხოველების დამშვიდება. 144
X. თამარ მეფის სიკვდილი.—მის მეფობის ვითარება . 149

947.922
S 279

შეცდომების გასწორება.

გვ.	სტრიქ.	არის	უნდა
29	5 ზევ.	თუნქებთან	თურქებთან
31	9 ქვევ.	შეყვაბულს	შეყვარებულს
68	8 ზევ.	სამღვდელობა	სამღვდელოება
81	9 ქვევ.	წადილი	წადილი,
90	10 „	ამიტოთ	ამიტომ
105	11 „	გუზინ	გუზან
112	10 ზევ.	გადაწყვიტეს.	გადაწყვიტეს,
126	11 „	დიდებულები.	დიდებულები,
128	8 ქვევ.	შეგრევებს	შეგროვებას
129	1 ზევ.	წაუძღნა	წაუძღვა
„	9 ქვევ.	თურჭებს	თურქებს
133	1 ზევ.	უთრა	უთხრა
134	6 ქვევ.	ცხენოსანს	ცხენოსანის
135	12 ზევ.	იპერია	იმპერია
„	10 ქვევ.	დახმადებით	დახმარებით

ამ წიგნის სურათებისათვის ექვსი კლიშე გვათხოვა ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობამ, ხოლო ერთი—ბეთანიის ეკლესიისა—ბ-ნმა არ. ქუთათელაძემ, რისთვისაც მათ ვუძღვნით დიდს მადლობას.

347.922
ბ 279



ფასი 40 კაპ.